საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია

დიტრიხ-კრისტოფ ფონ რომმელი

# კავკასიის ხალხები

თბილისი
2011

თარგმანი გერმანულიდან **ნ. გიოშვილისა**

რედაქტორი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი
**ლია მელიქიშვილი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა **პაატა ქორქიასი**

**რომმელი** დიტრიხ - კრისტოფ ფონ (Dietrich-Christoph von Rommel) (17. IV. 1781, კასელი, – 21. I. 1859, იქვე), გერმანელი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და ფილოლოგი. მამამისი, იუსტუს - ფილიპ ფონ რომმელი იყო ქ. კასელის გენერალ - სუპერინტენდანტი და მთავარი მოძღვარი. მან თავის ვაჟს, ისევე როგორც მთელ ოჯახს, საუცხოო განათლება მისცა. დიტრიხს უნდა შეესწავლა ღვთის-მეტყველება, რათა შემდეგ გამხდარიყო პასტორი და, შესაძლოა, დაეკავებინა მამის ადგილი მშობლიურ ქა-ლაქში. თავდაპირველად, 1790-99 წლებში იგი დადიოდა კასელის ფრიდრიხის ლიცეუმში. აქ გაეცნო იგი აღმო-სავლურ ლიტერატურას და საამისოდ შეისწავლა არაბული ენა. ლიცეუმის კურსის დამთავრების შემდეგ (1799 წ.) იგი შევიდა მარბურგის უნივერსიტეტში და, მამამისის გეგმის მიხედვით, შეუდგა თეოლოგიის შესწავლას. აქვე ეუფლებოდა ბერძნულ და ლათინურ ენებს. 1800 წლის დასაწყისში ის გადავიდა გეტინგენის უნივერსიტეტში, რომელიც ითვლებოდა დიდი მეცნიერების სამჭედლოდ. თეოლოგიური პროპედევტიკის დაუფლებასთან ერთად, იგი თანდათან იქცა ისტორიკოს-ფილოსოფოსად. იგი წინასწარ აზიარეს აღმოსავლეთის ლიტერატურასა და მსოფლიო ისტორიას, მაგრამ განსაკუთრებული სიყვარულით შეუდგა ბერძნული და ლათინური ლიტერატურისა და სიძველეების შესწავლას პროფ. ჰაინეს ხელმძღვანელობით. ამის შედეგი იყო, რომ უკვე 1802 წელს რომმელმა მიიღო გეტინგენის უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდო — მედალი თავისი პირველი ლიტერატურულ-სამეცნიერო ნაშრომისათვის — "აბუ ლ-ფიდას არაბეთის აღწერა", რომელიც ძვირფასი წვლილია მეცნიერებაში, რასაც ადასტურებს მრავალრიცხოვანი გამოხმაურება.

1803 წელს რომმელის მიერ დაწერილმა "კავკასიის რეგიონებისა და ხალხების სტრაბონისეული აღწერილობის კომენტარებმა" დაიმსახურა უნივერსიტეტის მაღალი შეფასება და მას მოუპოვა ძველი და ახალი აღმოსავლეთის სპეციალისტის სახელი. ახალგაზრდა გერმანელ მეცნიერს ყურადღება მიაქციეს რუსეთშიც, და უკვე 1803 წელს მან მიიღო მიწვევა, რათა დაეკავებინა ერთ-ერთი კათედრა რუსულ უნივერსიტეტებში. იმავე წელს რომმელმა ჩააბარა სადოქტორო გამოცდა და პრივატ-დოცენტის რანგში დაიწყო ლექციების კითხვა ჰომეროსის შესახებ გეტინგენის უნივერსიტეტში. 1804 წელს რომმელი მიიწვიეს მჭევრმეტყველებისა და ბერძნული ენის პროფესორად მარბურგის უნივერსიტეტში. ამავე დროს, რომაული სიტყვიერების კურსის კითხვასთან ერთად, იგი დაკავებული იყო გეოგრაფიით, ეთნოგრაფიით და აგრძელებდა თავის არაბულ და კავკასიურ კვლევებს.

მაგრამ მალე მდგომარეობა შეიცვალა — ნაპოლეონის არმიების მიერ ჰესენის და, საერთოდ, გერმანიის დაპყრობის გამო გერმანიაში იფეთქა პატრიოტულმა მოძრაობამ, მას რომმელიც მიემხრო მხურვალედ. 1808 წლის ბოლოს რომმელს რუსეთიდან მეორე მოწვევა მოუვიდა, ხარკოვის უნივერსიტეტში დაეკავებინა ორდინარული პროფესორის თანამდებობა. ამჯერად მან მიიღო ეს შეთავაზება. 1810 წლის 12 ივნისს რომმელი ჩრდილოეთ გერმანიის გავლით გაემართა რუსეთისაკენ და მრავალი ფათერაკისა და თავგადასავლის შემდეგ 1811 წლის 17 იანვარს ჩავიდა ხარკოვში.

1811-იდან 1814 წლამდე რომმელს ღირსეულად ეკავა ხარკოვის უნივერსიტეტში ლათინური ენისა და სიძველეთა

კათედრა, იყო საუნივერსიტეტო საბჭოს წევრი, ხოლო 1813 წ. — სიტყვიერების განყოფილების დეკანი. 1811 წელს რომმელმა შეიმუშავა პედაგოგიური ინსტიტუტის გეგმა და წესდება და იმავე წელს აირჩიეს ამ ინსტიტუტის დირექტორად. ხარკოვში ცხოვრების ყველა თავისი დაკვირვება რომმელმა გადმოსცა თავის მოგონებებში.

1815 წელს რომმელი დაბრუნდა გერმანიაში, ქ. კასელში. იმავე წელს იგი მიიწვიეს მარბურგის უნივერსიტეტში ისტორიის პროფესორად. 1820 წელს მას ჩააბარეს ქ. კასელში სამეფო და სახელმწიფო არქივების გამგებლობა, ხოლო შემდეგ (1829 წ.) — სამეფო ბიბლიოთეკისაც. 1828 წელს უბოძეს აზნაურის წოდება.

დ.-კ. რომმელის შრომების ნაწილი ეხება აღმოსავლეთის ეთნოგრაფიას, ნაწილი — ბერძნულ და რომაულ სიძველეებს. დაბოლოს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის შრომებს ისტორიისა და ისტორიოგრაფიის დარგში (მათგან აღსანიშნავია "ჰესენის ისტორია", ტ. 1 - 10, ჰამბურგი - კასელი, 1820–58 და სხვ.).

# ანოტაცია

კ. რომმელის ნაშრომი წარმოადგენს ცდას, წარმოგვისახოს კავკასიისა და მისი მოსახლეობის ცხოვრების სხვადასხვა მხარე, ზნე-ჩვეულებები, ისტორიული წარსული.

ნაშრომი შედგება ორი ნაწილისაგან:

პირველ ნაწილში ავტორი მოკლედ ახასიათებს ქართულ, ჩერქეზულ, ქისტურ, ლეკურ, ოსურ და სხვა ტომებს; მათ ურთიერთობას ირანელებთან, ბერძნებთან, არაბ-თურქებთან და სხვ.

მეორე ნაწილში მოცემულია ცდა კავკასიის ხალხების ისტორიის პერიოდებად დაყოფისა. აქვეა მოყვანილი დამატებითი ცნობები კოლხების, ლაზების, მეგრელების, ალანების და სხვათა შესახებ. ავტორი ეძიებს ამორძალთა კვალს, ცდილობს დაადგინოს ავღანელების, ჰუნების, ფინელების, სამოედების და სხვათა წარმომავლობა.

ემყარება რა მოგზაურთა ფართო წრეებს, დაწყებული ანტიკური ხანიდან (ესქილე, ჰეროდოტე, ტაციტუსი და სხვ.) — ვიდრე XVIII საუკუნემდე (გიულდენშტედტი, რაინეგსი, ენგელმანი, პალასი და სხვ.), ავტორი ცდილობს, კავკასიის ხალხების შეძლებისდაგვარად ობიექტური სურათი წარმოგვიდგინოს. ავტორის, როგორც მკვლევარისა და მოქალაქის, დამოკიდებულება კავკასიელებისადმი ძირითადად ჰუმანისტურია. ამასთანავე იგი ზოგჯერ ვერ ასცდა იმ მოგზაურთა გავლენას, რომლებიც კავკასიის ხალხებს დამახინჯებულად წარმოგვიდგენენ. ამის გამო თარგმანში ზოგიერთი უხეში შეფასება გამოტოვებულია.

ნაშრომს დართული აქვს ეთნოგრაფიული მასალები.

# **კავკასიის ხალხები**

## **მოგზაურობის აღმწერთა ცნობების მიხედვით**

## დანართი — **კავკასიის ისტორიისათვის**

კ. რ ო მ მ ე ლ ი ს ა

საგანგებო ამონაბეჭდი "ეთნოგრაფიისა და ლინგვისტიკის არქივიდან"

ტ. 1, ნაწ. 1

1 რუკითა და 4 ფერადი ესტამპითურთ

ვაიმარი

სამრეწველო ბანკის გამომცემლობა

1808

## შინაარსი


შესავალი ..... 9

**კავკასიის ხალხები**

ა) ზოგადად კავკასიის ხალხთა შესახებ ..... 13

ბ) კერძოდ კავკასიის ხალხთა შესახებ ..... 21

I. ქართველები (ქართლ-კახელები) ..... 21

II. იმერლები ..... 28

III. გურულები ..... 31

IV. მეგრელები ..... 32

V. სვანები ..... 37

VI. აბაზები ..... 39

VII ჩერქეზები ..... 43

VIII. ბასიანები (ბალყარები) ..... 54

IX. ოსები ..... 57

X. ქისტები (ინგუშები) ..... 61

XI. ლეკები (ლეზგები) ..... 65

XII. თათრები ..... 73

დანართი — კავკასიის ისტორიისათვის ..... 77

გაისლერი — I—IV სურათებზე გამოსახული
კავკასიის ხალხების ჩაცმულობის განმარტება .. 99

# შესავალი

ვიდრე მსოფლიო ისეთ დიდ ოჯახებადაა დაყოფილი, ერებს რომ უწოდებენ — რადგან მათ დაბადებისა და წარმოშობის ერთიანობა უდევს საფუძვლად —, საჭიროა (ან შესაძლებელია) ადამიანთა ყოველი გონიერი აღმოჩენა და მათი მიზანშეწონილი საქმიანობა ერებს მიეწეროს. სიტყვა ეროვნება მარტო მოქალაქეთათვის ან პატრიოტთათვის როდი არსებობს. იგი მრავლისმთქმელი სიტყვაა ხელოვანთათვის და სწავლულთათვისაც. ვისაც საკმაოდ უჭრის გონება იმის დასანახად, რომ ყოველ ერს მხოლოდ თავისი ეროვნულობის ფარგლებში შეუძლია სრულყოფილად და ყოველმხრივ განვითარდეს და ჩამოყალიბდეს, ის იმაშიც დაგვეთანხმება, რომ ხელოვნებაც და მეცნიერებაც, რელიგიაც და ფილოსოფიაც, ისტორიაც და თითქმის ყველა სხვა რამ, რის შესწავლასაც ჩვენ ესოდენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, თავიანთი ბუნებით ეროვნული არიან, რომ მათ ხალხთან ან ერთან მიმართების გარეშე არც აზრი და არც მნიშვნელობა არა აქვთ, და რომ მათი შესწავლა ხალხთა შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია.

ამიტომ არაფერია იმაზე უფრო ფართო და ყოვლისმომცველი, ვიდრე სწავლება ხალხთა შესახებ; და, სწორედ ამიტომ, არც ერთი ხალხი არაა უფრო ბედნიერი და განათლებული, ვიდრე ის, რომელსაც სწორად შეუგნია, რომ იგი ხალხია — რადგან იცნობს თავის საზღვრებს, რომლებშიც უნდა განვითარდეს და პატივს სცემს კუთხეს, სადაც უნდა ჩამოყალიბდეს და გაძლიერდეს.

ნეტავ გერმანელებს ეს მუდამ ჰქონოდათ მხედველობაში და არასდროს არ გადასულიყვნენ ეროვნულობის მიჯნას, რომლის ამოვსებაა ჯერ საჭირო, ვიდრე შეძლებდე გადასვლას უნივერსალურობისაკენ! ათასობით უსარ-

გებლო წიგნი, რომლებსაც ბერძენი და რომაელი ერები არც კი იცნობდნენ; ზოგადი ისტორიები მსოფლიოს და ფილოსოფიისა, ხელოვნებისა და მეცნიერების ნაწარმოებნი, თარგმანები, ყოველგვარი მიმბაძველობანი უცხოურისადმი და კლასიკური მხატვრული ნაწარმოებებისადმი, და ბოლოს ე.წ. კოსმოპოლიტიზმის მთელი სული ვერაფერს დააკლებდნენ გერმანულ ლიტერატურას და მთელ განათლებულ გერმანიას, რომ კაცი გარანტირებული იყოს სხვადასხვაგვარი ყბედობისგან, თავგზააბნეული რიტორების და სოფისტების გამკივანი ღრიანცელისაგან, – როდესაც ამაოა ეძებო ეროვნული, მტკიცე, წმინდა, ჯანსაღი სული, რაც არა ცალკეულ პიროვნებათა გონების ნაყოფია, არამედ ერიდან იღებს სათავეს, ერიდან გამომდინარეობს. ნეტავ გერმანული კულტურა სწორედ გერმანელი ერის საზღვრებს შიგნით და მის ფარგლებში ამაღლებულიყო და ძველისა და უცხოურის მიუხედავად, ჭეშმარიტებისა და მშვენიერების მუდმივი იდეალების შესაბამისად, მხატვრული ნაწარმოებნი შეექმნა, რომლებიც მისი გენიის საკადრისნი იქნებოდნენ.

გერმანელებში ჭეშმარიტება უფრო მეტია, ვიდრე სილამაზე, რაზედაც მათი ენა მეტყველებს; და სწორედ ამიტომ, ისინი უპირატესად ლიტერატურის იმ დარგს დაამუშავებდნენ წარმატებით, რომელშიც ჭეშმარიტება, ე.ი. ბუნებასთან შესაბამისობა, უმაღლესი პრინციპია. სამხრეთელთა პირდაპირსა და ფაქიზ გონებას სამართლიანად მოსწონდათ გესნერი თავისი გულუბრყვილობით, თუმცა ერთ სფეროში, რაშიც სინამდვილე, ე.ი. სარწმუნო, იმავე დროს სილამაზესაც მორჩილებს! ხოლო ხელოვნებაში და მის გარეთ, გერმანელ სწავლულებს, რომელთაც გემოვნება, ე.ი. გენია გააჩნიათ, ბერძნულ და რომაულ იდეალურ მაღალფარდოვან დახასიათებათა ნაცვლად, ამაღ-

ლებული ფილოსოფიური გონების ქიმერისა და მსოფლიო და ადამიანთა ისტორიების მთელი გროვის ნაცვლად — თავიანთი სიბეჯითე უნდა წარემართათ ბუნების ასახვისადმი და ყოველივე იმისადმი, რაც ბუნების ასახვას ემსახურება.

მაგრამ ყველას როდი აქვს ბედნიერება, ბუნებას საკუთარი თვალით უცქიროს. ამიტომ რარიგ კარგიც არ უნდა იყოს მეორე პირის მიერ საკუთარი განცდებისა და იდეების შეზავებით მოცემული აღწერა, როგორიცაა მაგ. გერმანელების აღწერა ტაციტუსის მიერ, იგი მაინც არ გამოდგება მეცნიერულ და ისტორიულ თხზულებებში, ვინაიდან ეს უკანასკნელნი არ წარმოადგენენ წმინდა ხელოვნების პროდუქტებს. არა იდეალურობა ან მშვენიერებაა მათი უმაღლესი პრინციპი, არამედ – რეალობა და ჭეშმარიტება.

ამიტომ სისულელე უნდა იყოს ხალხის აღწერა, რომელიც კაციშვილს არ უნახავს; და თუ ყოველგვარი აღწერები ჭეშმარიტების კანონს უნდა მისდევდეს, ხალხთა ამსახველი, ანუ ეთნოგრაფია, მასვე უნდა მორჩილებდეს.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასახვის ობიექტები საფეხურებრივ განსხვავებული არიან, რადგან ისინი ცოტად თუ ბევრად რეალურნი არიან; რომ მათგან წარმოსახვის სხვადასხვა ხატები წარმოდგება, რომელთაც იდეალურობის უფრო მაღალი ან დაბალი ხარისხი შეესაბამება. და კიდევ, თუ მაგ. ფიზიოგრაფია, ანუ საკუთრივ ბუნების აღწერა, არ შეიძლება განხორციელდეს საკუთარი თვალთახედვის გარეშე, გეოგრაფია უკვე ნაკლებად რეალურია, ხოლო ეთნოგრაფია, და მასზე უფრო მაღლა მდგომი სტატისტიკა, ვინაიდან მათ ხალხებთან და სახელმწიფოებთან აქვთ საქმე, საჭიროებენ ისტორიასთან მეტ სიახლოვეს. ეს უკანასკნელი თავის ობიექტებს კი არ ხედავს, არამედ მათ ურთიერთდამოკიდებულებას წარმოსახავს იმ პირთა კვლევისა და შედა-

რებების საფუძველზე, რომლებმაც ისინი საკუთარი თვალით ნახეს.

ამის გამო, ეთნოგრაფიას უფლება აქვს, იყოს ობიექ-ტური წარმომსახველი ჭეშმარიტებისა, და არაფერია იმაზე უფრო უაზრო, ვიდრე ორჭოფულობა ხალხთა აღწერაში, როდესაც ეთნოგრაფიის ხასიათის საწინააღმდეგოდ, გვთა-ვაზობენ ამბის მოწმეთა სიტყვებს ან მოთხრობებს — დას-რულებული სურათის ნაცვლად. ასეთი მოთხრობების წა-კითხვა ჩვენც შეგვიძლია, მაგრამ არ ვკითხულობთ, რადგან ჩვენ გვაინტერესებს შედეგები და არა მოწმეთა ჩვენებები.

ვინაიდან ამბის ყოველი დამსწრე მხოლოდ კერძო მოწმეა, ამიტომ ობიექტური სურათის წამოსახვას მხო-ლოდ ოცი ასეთი მოწმე თუ შეძლებდა.

მაშასადამე, თუ ჩვენი ეპოქა უსასრულო მასალით, რაც ეთნოგრაფიისათვის მზადდება, ბურუსით მოცულ წარსულს ნათელს მოჰფენს, ხოლო მოგზაურობის აღმწერ-ნი იმ ერების ადათებსა და ჩვეულებებს, რომლებსაც ესტუმრებიან, მიუდგომლად ასახავენ — რაც ამ საუკუნის ღირსებაა, – მაშინ ისიც ადვილი დასანახია, რომ ეთნო-გრაფია დაა ისტორიისა, რომელიც ასევე ერებს, თუმცა არა სივრცეში, არამედ დროში აღწერს, და რომ, სადაც ისტორიის მუზამ თავისი საკადრისი მოძღვარი ჰპოვა, არანაკლებ ღირსია ეთნოგრაფია ტაძრისა, რომელიც მის განსადიდებლად იქნებოდა დანიშნული.

დაე მათ, ვინც ამას კითხულობს, სცნონ, რომ თუ ავტო-რი იდეალებს ისახავს, შორსაა ფიქრისაგან, რომ მას უკვე მიაღწია, და წინამდებარე აღწერა კავკასიის ხალხებისა სხვად არად მიიჩნიოს, ვიდრე იგი თვითონ ავტორს უჩანს, – სახელდობრ, მკრთალ ნაკვთებად სურათისა, რომელიც თავის სრულყოფას გამოცდილი თვითმხილველის, თავის ხორცშესხმას კი გაწაფული ხელოვანის ხელით ჰპოვებს.

# კავკასიის ხალხები

## ა. ზოგადად კავკასიის ხალხთა შესახებ

1.

ბუნებას დედამიწის არც ერთი კუთხე არ შეუმკია იმაზე უფრო წარმტაცი ფერებით, ვიდრე კავკასია; მთები, რომელთაც დასაბამიდან არ მიჰკარებია მზის სხივი, და რომელთათვის უცხოა სხვა ელვარება, თუ არა მუდმივი თოვლისა, თავზე გვირგვინად რომ ადგას; მთაგრეხილი, რომელიც თავის თვალუწვდენელ სიმაღლეზე ცას არ ეპუება და დაბლა დედამიწას მიჯნავს, ხოლო ამ მთების კლდოვან მისასვლელებთან და ამ მთაგრეხილის ქარაფებს ქვემოთ ადამიანების გუთანი და მწყემსების ხმა; ორი ზღვის მიწისქვეშა მდინარება და გუგუნი მიწისძვრისა, ვეფხვთა ბრდღვინვა და მორიელების შხამი, სიღატაკე და ბარბაროსობა, სიბინძურე და მძარცველობა — და ყოველივე ეს – მოცინარე მინდვრებისა და სამოთხის მსგავსი მიდამოების მეზობლად, მდიდარი მცენარეული საფარის და წიაღისეული სიმდიდრის პირობებში, ლამაზ ქართველ და მომხიბლავ ჩერქეზ ასულებს შორის, წარსულის შარავანდედის საპირისპიროდ, მითებთან — პრომეთეზე, ფრიქსეზე, იასონზე — ერთად; ყველაზე სუსხიანი ჩრდილოეთი — უცხელესი სამხრეთით; ყველაზე უფრო გაუგებარი ენები და საოცარი ადათები, უთვალავი კილოები და უთვალავი ხალხები; უფრო მეტი ნაშთები და ტომის უხუცესები, კოლონისტები და ნათესავები, ვიდრე დედამიწის რომელიმე კუთხეშია; დედა-სამშობლო მსოფლიოს, დედამიწის გზასაყარი, ხალხთა ჭიშკარი.

## 2.

კავკასიის ხალხებს ბევრი რამ აქვთ საერთო ადათებსა და ცხოვრების ნირში; მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას მისდევს უღარიბესიც და უმდიდრესიც, მთისა თუ ბარის მცხოვრები; თითქმის ყველას უყვარს ნადირობა, ყაჩაღობა, ჩხუბი და შფოთი; ცოტანია, ვისაც ცხენი არ ჰყავს, უიარაღო კი არავინაა; არა მარტო მშვილდ-ისარია მათი იარაღი, არამედ თოფი და დენთი, ფარ-შუბები, აბჯარკაზმულობა და ჩაფხუტი. უხეში მაუდის ტანისამოსი, ცუდად შემოსილი მუხლები და ფეხები, შეკრეჭილ თუ შეუკრეჭელ თავზე ქუდი, გულგაღეღილი, გაშიშვლებული მკლავებით — ასე წარმოგვიდგება მთიელი, რომლისთვისაც უცნობია ევროპული კომფორტი, მაგრამ აღსავსეა თავისუფლების შეუპოვრობით და სიჯანსაღის ძალით. ასეთ მთიელს არასოდეს მორევია ევროპული ავადმყოფობა, არამედ ისინი ეცემიან ბრძოლის ველზე თავიანთი ქვეყნის საზღვრებთან, ან სახლში მიაღწევენ ასაკს, რომელიც მიუწვდომელია სხვა ადამიანებისათვის. ისინი ტკბებიან სიცოცხლით, რადგან მათ არ ეშინიათ სიკვდილის; მათ არ იციან რაა დესპოტიზმი, რადგან არ იცნობენ ფუფუნებას; და მხოლოდ ბარის მცხოვრებია სუსტი და ბეჩავი, რადგან თავადაზნაურობას აქ, ისე როგორც სხვაგან, ყველაზე შესანიშნავი ადგილები და ყველაზე ღონიერი ადამიანები დაბადებით დაუმონებია და ამ დამონებით წარუყვნია.

თავის საკუთარ ძალასა და სიმკვირცხლეს მინდობილი, ან მტაცებელი ფრინველის თანხლებით, კავკასიელი ნადირობს ტყის ნადირზე, ხშირად თვითონ მხეცის მსგავსი, რომელიც წყურვილს სისხლით იკლავს და შიმშილს ნადავლით იოკებს. იგი იტაცებს ადამიანებს, რათა გაყიდოს ისინი, ხოლო ნანადირევი კი გაცვლა-

გამოცვლისათვის ხმარდება. ფულს თითქმის მხოლოდ ბარში იცნობენ, რადგან, სადაც გადაუდებელი საჭიროება იწვევს ვაჭრობას, იქ ფული არაა საჭირო. სიმდიდრე კავკასიელისა, რომელსაც მარადიული ბუნების პირობებში შეუძლია უძვირფასესი ლითონები მოიპოვოს, ხშირად მხოლოდ ბეწვეულის, თექის, მაუდის, თაფლის, სართავი ჯარას, ბამბის ან აბრეშუმისაგან შედგება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ცდილობს გაცვლით ივაჭროს და ატყუებს ან ატყუებინებს თავს მახვილის, თოფის, მარილის ან მარცვლეულის გულისათვის.

თითქმის ყველანი ცხოვრობენ სოფლებში, ცოტანი — ქალაქებში. მიწურები და მსუბუქად ნაგები სახლები, რომლებსაც უმეტესად ადგილს უცვლიან, აქა-იქ კარვებიც — წარმოადგენს კავკასიელის საცხოვრებელს; ხოლო მთებში მდებარეობს ტროგლოდიტური გამოქვაბულები, წარსული ველურობის მანიშნებელი კვალი ან თავშესაფარი წელიწადის ცხელ დროს. მხოლოდ ბარის მცხოვრებია საქართველოს მხარეებში და კასპიის ზღვასთან ქალაქებში გამომწყვდეული. წარსულის ქალაქთა შესახებ კი ღაღადებენ ნანგრევები.

კავკასიელისათვის წმინდაა ტაძრები და ეკლესიები, ხოლო მთებში პოულობენ წიგნებსა და ხელნაწერებს ძველი ქრისტიანობისა, რომელიც ბიზანტიიდან და საქართველოდან ვრცელდებოდა კავკასიაში. ამჟამად მისი ადგილი მეტწილად სუნიტურმა მაჰმადიანობამ დაიჭირა; მაგრამ არამტკიცედ, რადგან ნამდვილ კავკასიელს არად უჩანს კანონები. ზოგი მთიელი თაყვანს უნდა სცემდეს პირქუშ ბუნებას; არც ცხოველების შეწირვა უჩვეულო რამ; მორწმუნე ადამიანების თანდასწრებით მას აწყობს მთის სპეტაკი და წმინდანი კაცი.

თითქმის ყველა კავკასიელში შეინიშნება ბარბაროსობა, მემკვიდრეობითი თავადაზნაურობა. ხოლო სადაც ამათ თავიანთი გავლენა დაკარგეს, იქ პატივს სცემენ უხუცესებს, რომელთა ძალაუფლება ისევე დიდია, რამდენადაც დიდია მათდამი ნდობა თემისა ან სოფლისა. სისხლის აღების წესით, სტუმართმოყვარეობით და მთელი ბატონყმური წყობილებით ჩერქეზებს განსაკუთრებით ტაციტუსის გერმანელებთან აქვთ საერთო, მაგრამ შედარებისათვის აქ შეიძლება აგრეთვე ძველი ამერიკელებიც იქნან მოყვანილნი, და ბუნებრივი შენიშვნაა, რომ ხალხები მთელი დედამიწის ზურგზე, ბარბაროსობის ერთსა და იმავე საფეხურზე, მსგავსნი არიან.

3.

არაა გასაკვირი, რომ კავკასიის მთიელებზე ჩვენი ცოდნა ჯერ კიდევ ასე მცირეა: არასტუმართმოყვარე, მიუდგომელი, ტომებად და დიალექტებად დანაწილებული, ერთმანეთს შორის და მთავარ ტომთან მუდმივ ჩხუბში — ძნელია გამოიკვლიო ასეთი ხალხების საზღვრები, მოცულობა და საერთო დამახასიათებელი.

ენა აქ გვევლინება როგორც ყველაზე უტყუარი გამოსავალი წერტილი; თუ კი საზღვრების, მოცულობისა და დიალექტთა სხვადასხვაგვარობის მიუხედავად ყველა ტომს, რომლებიც ერთ საერთო ენაზე ლაპარაკობენ, ერთ ხალხად ჩავთვლით, ასეთ შემთხვევაში მივიღებთ ექვს მთავარ ხალხს: აბაზები, ოსები, ჩერქეზები, ქისტები, ლეზგები და თათრები; თუმცა მათი ტომები არაიშვიათად დაშორებულ ოლქებში და სხვა ხალხებს შორის ცხოვრობენ. ამგვარად, ქართველების ჩათვლით, კავკასიის მხოლოდ შვიდი მთავარი ხალხი და, შესაბამისად, 7 მთავარი ენაა აღმოჩენილი, როგორც ფიქრობენ.

მაგრამ ეთნოგრაფია არაა ენების მხოლოდ უბრალო ნუსხა, არამედ იგი ხალხთა წარმომსახველია, და რაც მას დამხმარე საშუალებად ემსახურება, ის ამის გამო არაა მისი კანონი. ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხუთი ხალხი, რომელთაც ძველ დროში ერთი მბრძანებელი ჰყავდათ და ერთი ხალხი იყო, ამჟამად განცალკევებული არიან; რადგან, მტკვრისპირა ქართველები — წარმოადგენენ რუსეთის პროვინციას; იმერლებს, გურულებს და მეგრელებს საკუთარი მთავრები ჰყავთ; სვანები — თავისუფლებამ და ადათების თავისებურებამ აამაღლა ხალხის დონეზე. და ბოლოს, ბასიანებს (ბალყარები), რომლებიც სვანების გვერდით ცხოვრობენ და ნოღაურ-თათრულად ლაპარაკობენ, თათრებისაგან გამოჰყოფს უცხო ხალხთა ძლიერი მინარევი და საკუთარი საცხოვრებელი ადგილი.

ხალხების დამახასიათებელია არა მარტო ენა, არამედ ადათებიც, და არა მარტო ეს ორივე, – სახელიც, წარმოშობაც, ფსიქიკაც, ურთიერთობაც; ხოლო კავკასიის ენები, განსაკუთრებით ამ ვიწრო საცხოვრებელ ადგილას და მცირე სივრცეში, ისე ადვილად ერწყმიან ერთმანეთს, რომ ზოგ უცხო წარმოშობისა და უცხო ქვეყნის ეროვნებას ამჟამად ადგილობრივი ანუ კავკასიური ენობრივი მსგავსება გააჩნია.

გიულდენშტედტის[1] საუცხოო ლინგვისტური ძიებანი ჯერ კიდევ არაა საკმარისი, რომ დაგვამშვიდოს საკითხში — ხომ არ უნდა ვეძიოთ ქისტების, ოსების, ბასიანების (ბალყარების), განსაკუთრებით კი ლეზგების სახით, რომ-

[1] გიულდენშტედტის მოგზაურობანი რუსეთსა და კავკასიის მთიანეთში. პეტერბურგი 1787 და 1791 წწ. 2 ნაწილად. აღნიშნული ნაშრომის გარდა, კავკასიის ეთნოგრაფიაში თავიანთი წვლილი შეაქვთ განსაკუთრებით პალასს და რაინეგსს, აგრეთვე სხვა თხზულებებს,

ლებიც დიალექტებითა და ტომებით ესოდენ მდიდარია, იდუმალი წარმოშობის, უცნობი თესლის ეროვნებები, ზოგი ნაშთი და რომელიმე ტომი ხალხებისა, რომელთა ძველ კავშირს კავკასიასთან უკვე ეჭვი აღარ მიეტანება. ავარების ლეკური ოლქი ხუნზაის ანუ ხუნძების სახელმწიფოს სახელითაა ცნობილი; ასევე ცნობილია ევროპული კულტურა კუვეშებისა (კუბაჩელებისა) ლეკეთში, რომელიც ვენეციურად თუ გენუურად იყო მიჩნეული; უფრო ნაკლებადაა — ალანელი ყარაბულახები და აღვანელი თუშები ქისტებს შორის, და უცნაური მხედრები, რომლებიც ბადილების სახელწოდებით ოსების საზღვართან ბინადრობენ. ხალხთა დიდი გადასახლების დროინდელი თითქმის ყველა ხალხი, რომლებიც არაგერმანელები იყვნენ, კავკასიასთან იყვნენ დაკავშირებულნი; თვით სლავების კვალიც უნდა იმალებოდეს ანტების (ანდიელების) სახელში ლეზგებთან, ოსების ენაში და, შესაძლებელია, ჩეხებსა და ცეხებში (ე.ი. ჩერქეზებში) და ჩეგემებში, რომლებიც ბოჰემიელთა და მორავიელთა ჩამომავლებად იყვნენ მიჩნეულნი; ალანები და ავღანელები, ავარები და ჰუნები ცხოვრობდნენ აქ; ფინელებმა და სამოედებმა ჩაიარეს აქ; აქედან გამოვიდნენ უნგრელები ანუ მადიარები, ბულგარები ანუ ვლახები; არაბები და ხაზარები, თათრები და მონღოლები ბინადრობდნენ აქ და ებრძოდნენ კავკასიას; მამლუქები კავკასიელები არიან, ხოლო ბოშები შესაძლებელია აგრეთვე კავკასიელები იყვნენ.

---

რომლებიც სტრაბონის "კავკასიისადმი" წამძღვარებულ წინასიტყვაობაში მომყავს.

## 4.

კიდევ უფრო ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რა წილი უნდა ჰქონოდათ ებრაელებს და თათრებს კავკასიის ხალხთა საერთო სურათში. რადგან თვით სალმანასარს, რომელსაც შეიძლება მოეკითხოს ანგარიში 10 დაკარგული ისრაელი ტომისათვის, და ჩინგიზ-ხანს, თემურის წინამორბედს, გაუჭირდებოდათ, პირველს — ისრაელები, ამას — თათრები მოეკრიბათ, რომლებიც კავკასიაში გაფანტულან. რაც შეეხება ებრაელებს, ისინი მხოლოდ კასპიის ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ ისევ ცალკეულ ოჯახებად, აღურევლად; თათრებს კი, რომელთა სისხლი არანაკლებ შერწყმია კავკასიის ხალხებისას, პირიქით, ჯერ კიდევ გააჩნიათ სამი დიდი ტომი, რომლებიც ფლობენ აღმოსავლეთ კავკასიას და თვით ყუბანამდე მომთაბარეობენ; ამიტომაც ისინი სავსებით სამართლიანად უნდა იქნან მიჩნეულნი კავკასიის ხალხად.

ბოლოს, კავკასიის ჩრდილოეთში არიან რუსები — ყუბანზე და თერგზე, – რომლებიც ძველი კაზაკების ან ჩერქეზების ყაიდის წყობით და მათი სახელით, დაცოლშვილებული სასაზღვრო მილიციის სახით, მიწათმოქმედებით და თევზჭერით ცხოვრობს, და აბაზთა და ჩერქეზთა თავდასხმის შეჩერება თუ არა, განგაშის ატეხა მაინც შეუძლიათ.

ყველაზე განათლებული კავკასიელები თუმცა ჩერქეზი მხედრებია ყაბარდოში, რომელთაც ძველი არაბული თუ ეგვიპტური განათლება ეტყობათ, და ქართველი დიდებულები, რომლებსაც ლიტერატურაც კი აქვთ, თუმცა თითქმის მარტო საეკლესიო; მაგრამ კავკასიის უმეტესი ხალხები ბარბაროსები არიან, ტაციტუსის ძველი გერმანელების მსგავსნი, ხოლო ზოგიერთები შეიძლება დაყენებულ იქნას იმავე საფეხურზე, რადგან ისინი

იძლევიან მონებს, რომლებიც კონსტანტინოპოლს და ეგვიპტეს ესაჭიროება. ეგვიპტეში მამლუქთა მმართველობის დროიდან ვიდრე ჩვენ დრომდე, ჩერქეზები, აბაზები, მეგრელები და გეორგიელები (ქართლ-კახელები) (ასეთია ამ შესანიშნავი მონების — მამლუქების თანრიგი მათი ღირსება-უპირატესობის მიხედვით) მიჰყავდათ ეგვიპტეში, სადაც ისინი ჯერ როგორც მამლუქები, ე.ი. მონები, საკმაოდ კარგ სამხედრო აღზრდას იღებდნენ, ხოლო შემდეგ რეგენტებად ანუ ტირანებად გვევლინებიან.

ძველთაგან ბიზანტიელები, თურქები და სპარსელები იბრძოდნენ კავკასიის ხელში ჩასაგდებად, რომელსაც ისინი თავიანთი შურისა და სიხარბის ასპარეზად აქცევდნენ ხოლმე; ამჟამად რუსეთმა წამოიწია და საქართველოს დაუფლებით კასპიისა და შავ ზღვებს შორის იმაზე უფრო მტკიცედ მოიკიდა ფეხი, ვიდრე ეს შეიძლება სპარსელებს და თურქებს სიამოვნებდეთ. დაე, ამით კავკასიის ხალხთა კეთილდღეობამ და კულტურამ მოიგოს, მეცნიერება კი ქვეყნებისა და ხალხთა შესახებ — უკვე გამდიდრდა ამით.

მაგრამ, ჩვენ ჯერ კიდევ განვიცდით კავკასიური თხზულებებისა და კორესპონდენციების ნაკლებობას; და ვიდრე ჩვენ არ გვესმის ხმა ან საჩივარი იმათი, ვისზეც ასე, გარეგნული მხარის მიხედვით მსჯელობენ, კავკასიის ხალხთა სურათი მხოლოდ ისეთი ადამიანების მიერ ღებულობს თავის მკრთალ ნაკვთებს, რომლებიც, მართალია, პატივს სცემენ მათ და მათი სამშობლოს ინტერესებს, მაგრამ ერთხელაც არ ჩაუფიქრდებიან, რა საშუალებებს აძლევს ბუნება თავის ტლანქ და გაუფუჭებელ შვილებს უცხოური პრეტენზიებისაგან საკუთარი არსებობისა და თავისუფლების, დაბადებისა და ეროვნების ყველა უფლების უზრუნველსაყოფად.

## ბ. კერძოდ კავკასიის ხალხთა შესახებ

### I. ქართველები (გეორგიელები)[2]

ქართველებს თავიანთი სახელი დიდი და კეთილ-მყოფელი მდინარის კურ (კორ, კიროს, ციროს[3]) სახელწოდებიდან აქვთ, რომელიც ამ დიდებულ ქვეყანაზე მიედინება და რწყავს მას; ამასვე ემყარება ტერმინი "გრუზინი" და ყველა სხვა სახელწოდება, რასაც მათ უცხოეთი აძლევს. გეორგიელები ანუ უფრო სწორი იქნებოდა გვეწოდებინა — გორგიელები, კურგიელები (რადგან წმ. გიორგი მათი მფარველია მხოლოდ, მიწათმოქმედთა დიდება – "γεωργοι" კი მათ არასდროს ჰქონიათ) თავიანთ თავს ქართველებს უწოდებენ, მთავარი პროვინციის — ქართლის სახელწოდების მიხედვით და უჭირავთ ძველი იბერების ადგილი; თუმცა ისინი იბერიის სიმდიდრეთაგან, რომლებზეც სტრაბონი და წარსულის სხვა მწერლები მოიარებით ლაპარაკობენ, აღარას ფლობენ. მათი ქვეყანა ხუთი პროვინციის ცალკეული სახელების მიხედვით — ზემო ქართლად, შუა ქართლად, ქვემო ქართლად, კახეთად და სომხითად აღინიშნება. ოდესღაც ისინი სპარსეთის საქართველოს შეადგენდნენ, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ მათ გულადი ხელმწიფე, სახელად ერეკლე განაგებდა,

---

[2] იგულისხმება— ქართლელები და კახელები (ნ.გ.).

[3] შეად. კავკასიის რუკა — შედგენილი რაინეკეს მიერ (ვაიმარი, 1808 წ.). ეს რუკა, რომელიც ერთგვარ შესწორებებს კიდევ საჭიროებდა, და შესწორდა კიდეც, ხელთ უნდა ჰქონდეს კაცს თხზულების კითხვისას, რომელსაც მხოლოდ ყველაზე აუცილებელი, გეოგრაფიული ხასიათის ცნობები უდევს ქვაკუთხედად, რათა მასზე ააგოს თავისი დახასიათებანი ადათებისა და აღწერა ხალხებისა (სამწუხაროდ, მკრთალი გამოსახულების გამო, რუკას აქ ვერ ვურთავთ – ნ.გ.).

ხოლო ახლა გრუზიის სახელით შეერთებულია რუსეთის იმპერიასთან.

სომხური თქმულება მოგვითხრობს, რომ ქართლის მხარე იმ ებრაელებით ყოფილა დასახლებული, რომლებიც ოდესღაც ნაბუქოდონოსორს სომხეთის მიდამოებში გაუგზავნია; მაგრამ ქართველებს, რომლებიც კიდევ უფრო ადრინდელ თქმულებებს და ამბებს იცნობენ, მიაჩნიათ, რომ სწორედ წარღვნის შემდგომ, მათ დღევანდელ ქვეყანას დაპატრონებია ნოეს შვილი, იაფეტი! ერთი რამ ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ებრაელების და იბერიელების სახელწოდებებს ერთი საერთო ძირი აქვთ, და რომ ეს ის ადგილები იყო, სადაც არა მარტო არარატი — ებრაულ წარღვნაზე მანიშნებელი, არამედ ებრაული სამოთხის მდინარეებიც მდებარეობდნენ. თვითმხილველებმა დაადასტურეს კიდეც, რომ მტკვრისპირა ვაკე უახლესი წარმოშობის საბუთებს ატარებს თურმე, რომლებიც ზღვის წყლის უკან დახევისას გაჩენილა: ესენია უცნობი წარმოშობის მოგლუვებული ქვის ნამტვრევები, რომლებიც მძლავრ დინებას მოუგორებია, ჰორიზონტალური შრეები, სხვადასხვაგვარ ნიჟარათა მძლავრი ფენები, რომლებსაც მხოლოდ მინანქარი დაუკარგავთ და ახლა სქელ მერგელში ისე აწყვია, რომ არ გაქვავებულან; და ისეთ ნიჟარათა სახეობანიც კი, როგორიც დამკვირვებლის ბეჯითმა თვალმა კასპიის ზღვაშიც აღმოაჩინა[4].

ქართველების ხასიათი, ისე როგორც არც ერთი ხალხისა, ზუსტად განსაზღვრის საშუალებას იძლევა, რადგან მასში დადებითიც და უარყოფითიც აშკარად ჩანს.

---

[4] ბიბერშტაინი — "აღწერიდან ქვეყნებისა თერგსა და მტკვარს შორის".

ისევე, როგორც ბარბაროსებში, რომლებიც მიდრეკილებას იჩენენ გარკვეული კულტურისადმი, ამათშიც მკვეთრი და თვალში საცემია წოდებრივი განსხვავება, ერთი მხრივ — გლეხობასა და ყმებს, და თავად-აზნაურობას შორის — მეორე მხრივ. მაგრამ ხალხი საბოლოო ჯამში — ლამაზია, ტანადი, ჩაუქი. არ აკლია ბუნებრივი იუმორი, უყვარს სმა და სარფა-ხეირი. ქუდები პოლონურ ყაიდაზე, ფეხის შემოსილობა — სპარსულ ყაიდაზე, და გულთან მოღეღილი ჟილეტები — ასეთია ტანისამოსი ქართველებისა, რომლებსაც ბევრი რამ სპარსელების ზნე-ჩვეულებებიდან აქვთ გადმოღებული, რადგან დიდებულებს სპარსეთის სამეფო კარი ძალზე ხშირად იმორჩილებდა და იახლოვებდა, ქვეშევრდომები კი სპარსეთის მეფეებს პირად დაცვად ემსახურებოდნენ. ეს ქვეშევრდომები, რომელთაც ხელი აქვთ შეშვებული მიწათმოქმედებაზე, იშვიათად არიან უიარაღოდ და ყანაშიც კი არ იცილებენ თოფს და სატევარს ყაჩაღი მთიელების მიზეზით, რომლებმაც საქართველო ისევე გააპარტახეს, როგორც ადგილობრივმა თავადებმა. აზნაურებმაც და თავადებმაც, ერთობლივად, მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ დაპირისპირებიან ერთმანეთს, პირველთ — უვიცობით და ანგარებით, ამათ — მმართველობის ცვლით, სამეფოს დაქუცმაცებით, უცხო ძალებთან კავშირით — უბედნიერესი მიწით და დედამიწის ყველა სიკეთით მომადლებული ეს ხალხი იმდენად ჩამოაქვეითეს, რომ მას, შიგნით ულონოს, გარეთ ლეკი ყაჩაღების ანაბრად მიტოვებულს, არ ძალუძს არც ქვეყნის კულტურის, არც ინდუსტრიის, არც ხელოვნებისა და მეცნიერების, არც სასარგებლო მწარმოებელი კლასის, არც კლასთა თანასწორობის წარმოდგენა, რომ იმედი ჰქონდეს აღორძინებისა, რომელიც ქვეყნის სიმდიდრის შესაბამისი იქნებოდა. მაგრამ ბუნების სასწაულთმოქმედი

ძალებისათვის არაფერია შეუძლებელი, და თუ რუსეთი საქართველოს არ გამოიყენებს როგორც საშუალებას საკუთარი ზრდის მიზნისათვის ან უცხო მოსაზრებით, არამედ პატივს სცემს მას როგორც ერს, ასეთ შემთხვევაში შეიძლება მოვიდეს დრო, როდესაც კავკასიის ყელი წარმოგვიდგება მეორე ელადად.

ქვეყნის შიგნით ქართველებს უმნიშვნელო ვაჭრობა აქვთ, რომელსაც, ჩვეულებრივ, სომხები ეწევიან; მაგრამ თვითონ ისინიც სიამოვნებით მოგზაურობენ და ვაჭრობენ, და უცხოელებთან ურთიერთობით ისწავლეს თავისუფლების ფასი, ხოლო ადათებსა და ცხოვრების ნირში გადმოიღეს შემწყნარებლობა, მაგრამ ზოგი მანკიც; რადგან მათ ქალებს, რომელთა სილამაზეც არანაკლებ ქებულია, ვიდრე ჩერქეზებისა — თუმცა მათ არ უნდა ჰქონდეთ სახის ისეთი თეთრი ფერი, ისეთი მუქი შავი ფერის თმა, არ უნდა გამოირჩეოდნენ ტანის ისეთი სინატიფით, როგორც ჩერქეზი ასულები, – თავიანთ ზნე-ჩვეულებებში იმდენი სიკეკლუცე აქვთ შეძენილი ურთიერთობისა და მისვლა-მოსვლის წყალობით, რომ არცთუ იშვიათად, თავიანთ ქმრებს ღუპავენ ორგულობით, ლოთობით, ან ავხორცობით. გოგონები კი, როგორც მონები, თავიანთი სილამაზის მსხვერპლნი ხდებიან. ქვრივები და ქალიშვილები მემკვიდრეობით არაფერს ღებულობენ. მამაკაცი თავის ქონებას უტოვებს ვაჟიშვილს, ვაჟიშვილი — შვილიშვილს და ასე შემდეგ. ქართველთა ქონება კი მცირეა, ხოლო მას აქეთ, რაც ქალაქებმა, რომლებზეც სტრაბონი ლაპარაკობს, ბიზანტიელთა, სპარსთა და თურქთა თავდასხმებისა და მოშურნე მთიელების მხრივ გაპარტახების შემდეგ ადგილი დაუთმეს ღარიბულ სოფლებს, ბევრი ქართველი ცხოვრობს ქოხებში, რომლებიც ნაგებია არა მიწის ზედაპირზე, არამედ მიწაში. სხვაგვარია მიწურები კახეთ-

ში, პროვინციაში, რომელსაც კულტურის მხრივ უპირა-ტესობა აქვს, თუმცა არც თუ ბრწყინვალე. მსუბუქი ხეაგური, თიხის და ძროხის ნაკელის ნარევით შელესილი წნული კედლები, ლერწმის სახურავი; 4 საჟენი სიგანისა და 5 საჟენი სიგრძის ოთახი, რომელშიც სინათლე კარებიდან ეცემა; იატაკი, რომელსაც ენდროს და ბამბის გასაშრობად იყენებენ; მის შუაში ბრტყელი ორმო ცეცხლის დასანთებად; ცეცხლს ზემოთ ჯაჭვზე ჰკიდია კვამლის ღრუბელში გახვეული სპილენძის ქვაბი; ჭერიდან, სახურავის ფრონტონიდან და ოთახის კარებიდან ბოლი იფანტება გარეთ, – ასეთია კახური სახლის ჩვეულებრივი შემადგენელი ნაწილები. ქვით ნაგებ და კვამლსადენიან სახლებს სოფლებში იშვიათად შეხვდებით; სამაგიეროდ თითქმის ყველა სოფელს აქვს სათოფურებიანი და თავდაცვითი კოშკები, რომლებშიც მამაკაცები თავს იცავენ, ხოლო ქალები — მოთქვამენ, როდესაც ლეკი ჩამოივლის. ამ უკანასკნელს მთებიდან, მტკვრის შენა-კადის დაყოლებით თვით საქართველოს ბოლომდე გაუკვალავს გზა, სადაც თურქეთის ფაშას მფარველობის ქვეშ, ახალციხეში, თავის ნაყაჩაღარს ასაღებს. ასე სუსტია ხალხი, რომელსაც 40.000-ზე მეტი შეიარაღებული კაცის გამოყვანა შეუძლია ბრძოლის ველზე.

ქართველი დიდებულები წინამძღოლებია ომში და ნადირობის მოყვარულნი მშვიდობიან დროს. ურიცხვი ტყეები — მუხნარი, წიფლნარი, თხმელნარი, თეთრი და შავი კვრინჩხნარი, თხილნარი, თელნარი — თავის წიაღში იფარავს უამრავ ნადირს; ნადირთაგან კი საქართველოში შეხვდებით — ირემს, არჩვს, მელიას, კურდღელს, ტახს და აუტანელ ტურას, რომელიც თავისი კივილით ღამეს სჭვალავს.

წელიწადის მშრალ, მაგრამ მომხიბლავ დროს, რომელიც მაისით იწყება და ნოემბრით თავდება, ქართველები იმით არიან დაკავებული, რომ რწყავენ მიწას, რომელიც მცირეოდენი გარჯის ფასად მათ ბერძნული თუ იტალიური ცისქვეშე ყოველგვარი ხილით და მცენარეულობით სწყალობს. ატამი, ჭერამი, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, კაკალი, ნუში, შინდი, კომში, ალუბალი, ლელვი და ბროწეული — აი, რა ხარობს აქ; თვალწარმტაცად ტანაყრილი ვაზი კი ქართველებს ისეთ ღვინოს აძლევს, რომ სპარსეთამდეც კი იგზავნება ხოლმე. არამდგრადია, რადგან ფეხით წურავენ, მაგრამ სიმაგრით გამოირჩევა განსაკუთრებით კახეთის ღვინო; აქ კი, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ვაზის მტევნები წითელია, ვაზს მთებისა და ბორცვების სამხრეთ კალთებზე აშენებენ; გაზაფხულზე სასუქს მოაყრიან ხოლმე, შემოდგომაზე სხლავენ იმგვარად, რომ უმნიშვნელო რაოდენობის ლერწი დარჩეს. ქებულია ქართველთა მეფუტკრეობაც. ქართველთა ცხენები სიდიდითა და სილამაზით რქოსან საქონელს ემეტოქებიან. შესანიშნავ მატყლს იძლევა მათი მსუქანდუმიანი ცხვრები.

ქართველთა რელიგია მართლმადიდებლურია (ბერძნულ-ქრისტიანული), და არა მარტო დიდ და ხალხმრავალ დედაქალაქ ტფილისში, არამედ სხვა ადგილებშიც მოეპოვებათ მათ ეკლესიები. მათი მღვდლები ხალხის მფარველის წმ. გიორგის ერთგულნი და მისი თაყვანისმცემლები არიან. მაგრამ სხვა რელიგიურ სექტებსაც ითმენენ საქართველოში, რადგან ძველთაგან საქართველოში მრავლად ცხოვრობენ უცხოელები — ნაწილობრივ გაფანტულად, ნაწილობრივ — თავ-თავისთვის. აქ განსაკუთრებით ოთხი ხალხია, რომელთა რიცხვი ერთად აღებული, არაა ნაკლები ქართველებისაზე. პროვინცია სომხითში —

სომხები ანუ არმენები, რომლებიც ნაწილობრივ ქართულად, ნაწილობრივ სომხურად ლაპარაკობენ, და ტრუხმენი (თურქმენი) თათრები, რომლებიც თურქულად ლაპარაკობენ და ისლამს აღიარებენ. ეს უკანასკნელნი, მომთაბარეთა მსგავსად, კარგ მიწებზე, საუცხოო ტყეებში ცხოვრობენ — ზამთარში სოფლად, ზაფხულობით კი თავისუფალ მიწურებში, და მესაქონლეობის შემოსავლით ირჩენენ თავს. ქვეყნის ჩრდილოეთში არიან ოსები, რომლებიც ქართველ თავადებს ემორჩილებიან; ებრაელებს ანუ ურიებს კი — ყველგან შეხვდებით. ისინი ცხოვრობენ შევიწროების გარეშე, რადგან ქართველთა ჭირს და ლხინს თანაბრად იზიარებენ.

ყურადღების ღირსია ის გარემოება, თუ როგორ არიან ქართველები უცხოეთში გაფანტულნი, რადგან ისინი არა მარტო ლეზგებს, ოსებს და ყუმუხებს შორის ცხოვრობენ; არამედ ფერიაშიც, ისფაჰანთან, მაზანდარანშიც. ერთგან მათ თითქმის მთლიანად დაუკარგავთ ენა და ადათები, მეორეგან — სათუთად შემოუნახავთ. ასე გამოდის, თითქოს სამშობლოსთან სიახლოვე უდარდელს გვხდიდეს, უცხოეთი კი — გვიფარავდეს.

## II. იმერლები

იმერლები, რომლებიც იბერებადაც იწოდებიან, ჩრდილო-დასავლეთის მხრივ ესაზღვრებიან გეორგიას (ქართლ-კახეთს) და ლაპარაკობენ ქართულ დიალექტზე. მათთვის დამახასიათებელია პატარა ქუდები, გრძელი თმა, მოპარსული ნიკაპი მოკლე წვერით, სერთუკები (ახალუხი) მუხლებამდე ძლივს რომ სწვდება, ბარძაყებთან თავმოყრილი ნაოჭები, წვივებზე — ნაწიბურები, წელზე ფართო ქამარი — ასეთია დაახლოებით იმერელის გარეგნობა.

მემკვიდრეობითი და დამოუკიდებელი მეფის ქვეშევრდომი 20-იდან 25- ათასამდე კომლი, დედამიწის პირველ მოსახლეთა მსგავსად, ცხოვრობს ნაკადულებისა და ტყეების პირას. ხოლო მათი დაბებისა და სოფლების რიცხვი იმდენად მცირეა, რომ მთელი მათი ქვეყანა შეგვეძლო შეგვედარებინა ვაკე, მაგრამ სუსტად დამუშავებული მიწის ზოლისათვის, მაღალი მდებარეობის გამო ალაგ-ალაგ თითქმის მთლიანად მუდმივი თოვლის ადგილსამყოფელი რომ გამხდარა. მიუხედავად ამისა, საძოვრებიც და მესაქონლეობაც აქ კარგ მდგომარეობაშია, ხოლო მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა იმერლებთან კულტურის უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე კავკასიის სხვა ადგილებში. მხოლოდ ბრინჯის, ქერის, სელის და კანაფის კულტურებს ექცევა აქ ნაკლები ყურადღება. შედარებით მეტ მოვლას საჭიროებს ღვინო, რომელსაც აქ ხის რობებში აცივებენ და მიწაში ჩაფლულ ქვევრებში ინახავენ. იმერლები განიცდიან მარილის ნაკლებობას, თუმცა მათ საკუთარი მარილის ტბაც აქვთ, რომლის ოხშივარი იის სურნელების მსგავსია და სიფრთხილით გამოყენებული — სახსრების ტკივილს

არჩენს, წინააღმდეგ შემთხვევაში — კაცს ჭკუაზე უნდა შლიდეს და კიდურების კანკალს იწვევდეს.

იმერლებს შორის ცხოვრობენ ებრაელები, სომხები და თურქები, ხოლო იმერთა მეფე თურქული ფულით სარგებლობს; ეტყობა იგი ვერ იცნობს თავისი ქვეყნის ნიჭსა და მადლს, ან თუ იცნობს — ვერ იყენებს. ესაა ქვეყანა, სადაც ოდესღაც რიონი ანუ ფასისი, რომელზეც ამჟამად ორჩხომელების ნაცვლად მარტოოდენ გამოფუტუროებულ ხეებს თუ დაინახავთ, 120 ხიდით იყო შებოჭილი, და სადაც საქონლის მუდმივი გადაზიდვა ფასისს — მტკვართან და მტკვარს — ფასისთან აკავშირებდა, ე.ი. კასპიის ზღვას შავ ზღვასთან და შავს – კასპიის ზღვასთან. ჯერ კიდევ შეიძლება ნახოს კაცმა სარაპანას ნანგრევები, რომელიც ახლა შორაბანად[5] იწოდება და ღია ადგილი კოტატისი (ქუთაისი), რომლის მახლობლად მეფეს აქვს თავისი რეზიდენცია. იმერთა ახლანდელი ვაჭრობა, წარსული დროის აჩრდილი და გამოძახილი, წარმოებს უმთავრესად რიონზე მდებარე ორ დაბაში: 1) ონში, სადაც სომხები და ებრაელები ვაჭრობენ იმერეთის სოფელ წადისის[6] რკინეულობით, ქართლის ბამბეულის ქსოვილებით, მარილით და ფეტვით; 2) ხონში, სადაც გასაყიდად შეხვდებით ადგილობრივ რუხი მაუდის ქუდებს, მაუდის ტანსაცმელს, სხვადასხვა ფერის ბამბეულის ქსოვილებს, კანაფს, ზაფრანით შეღებილ ცუდი ხარისხის თავთას, ყირიმულ მარილს, იმერულ ცხენებს, ცხვრებს, ჭურჭელს, სპილენძის ქვაბებს და სპილენძის რუპორებს. წადისთან ქვეყნის აღმოსავლეთში მოიპოვება უხეში ჰემატიტი, რომელსაც სამჯერადი გადადნობით ჯერ რკინად და

---

[5] შორაპნად.

[6] წედისი (სოფ. ონის რ-ნში).

შემდეგ – ნალებად, ნამგლებად, ნაჯახებად, გუთნის სახნისებად და ქვაბების ჩამოსაკიდებელ ჯაჭვებად აქცევენ. ეს უკანასკნელნი კახეთში ხორბალზე და საქონელზე იცვლება ხოლმე.

ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარეობს რაჭა, მთავარი ოლქი, რომელსაც 5 ათასი ბრძოლისუნარიანი კაცის გამოყვანა შეუძლია და მთისა და ბარის კონტრასტების გამო სავსებით განმასხვავებელი თვისებები ახასიათებს. ბარში მოიპოვება თითქმის ყველა სახეობა ბაღის და მინდვრის მცენარეულისა, რომელიც შეიძლება ხარობდეს ტენიან და ამავე დროს ცხელი ჰავის პირობებში; შედარებით ნაკლები სიმდიდრეა მთებში. ბარში მცხოვრებთა სოფლები დიდად არიან ერთმანეთისაგან დაშორებულნი. მთის მკვიდრთა სოფლები კი, პირიქით, მიჯრით არიან ერთმანეთთან. ერთგან სახლებს აშენებენ წნელის კედლებით, რომლებსაც შემდეგ ლესავენ, მეორეგან — ხის მაგარი ფიცრებისაგან. ერთგან შეხვდებით ჯიხვსა და არჩვს, სხვაგან — შველსა და ირემს. იმერეთში ყველგან არის მგლები, კურდღლები, დათვები, მაჩვები; არ უნდა იყოს აგრეთვე მელიების, ტურების, კვერნების, ფოცხვერების და ვეფხვების ნაკლებობა. მაგრამ არაფერია ცნობილი იმერელი დიდებულების ნადირობის ან სხვა საქმიანობის შესახებ, და ერთი შეხედვით გგონია, თითქოს ძველი იბერების ეს ნაშთი, თავის სამხრეთ-დასავლელ მეზობელ გურულებთან ერთად, თავის ბედნიერებას მშვიდ უვიცობასა და წყნარ სიბნელეში ეძიებდეს.

## III. გურულები

გურულები ფასისის ქვემოთ და შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები პატარა ქართული ტომია, რომელიც თითქმის მთლიანად თურქთა ბატონობის ქვეშაა და ამ ბატონობის წყალობით იმდენად ჩამოქვეითებულა, რომ თავისი მოხერხებული მდებარეობის მიუხედავად, – არც ვაჭრობას, არც ნაოსნობას, არც მეთევზეობას არ ეწევა, და თავისი უვიცობით ხელუხლებლად ტოვებს ყველა სიმდიდრეს, რითაც ბუნებას იგი მოუმადლებია. გურულებს — ჯანსაღი ჰავა, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისათვის ხელსაყრელი ნიადაგი აქვთ, ჰავა, რომლის პირობებში — ლიმონი, ზეთისხილი, ფორთოხალი ხარობს; ასეთ ხილს კავკასიის მიდამოებში მხოლოდ აქ თუ შეხვდებით. თურქებს გარდა, რომლებსაც გურული იტანს, რადგან იძულებულია აიტანოს ისინი, აქ არიან თათრები, სომხები და ებრაელები.

გურიის სამხრეთით, შავი ზღვის სანაპიროსთან ცხოვრობენ ლაზები, ანუ, თურქულ ენაზე — მეზღვაურები. შესაძლებელია, ეს იმ ძველი ლაზების ნაშთი იყოს, რომლებიც ბიზანტიელთა დროისათვის კოლხეთში მკვიდრობდნენ, ანდა მოსულ მეზღვაურთაგან შედგენილი ხალხია[7].

---

[7] შეად. დამატება № 3.

## IV. მეგრელები

მეგრელებს, იმერლებთან და გურულებთან ერთად, სამ ტომს, რომლებიც წინათ თურქეთის საქართველოდაც იწოდებოდნენ, შეიძლება შავიზღვისპირა ქართველები ეწოდოს; რადგან ისინი ქართული ენის დიალექტზე ლაპარაკობენ და ერთ დროს, მტკვრისპირა ქართველებთან, ე.ი. საკუთრივ ქართველებთან ერთად, სვანების ჩათვლით, დიდ ქართულ სახელმწიფოს შეადგენდნენ.

მეგრელები ცხოვრობენ გურულებს ზემოთ და იმერთა გვერდით, სწორედ იმავე ქვეყანაში, რომელიც ოდესღაც კოლხებს, ხოლო შემდეგ — ლაზებს ეჭირათ[8]. მაგრამ ისინი აღარ ფლობენ არც კოლხთა სიმდიდრეებს, არც დიდებას და ძალას ლაზებისას.

ძველი ქალაქების ნანგრევები, თურქული ციხესიმაგრეები ზღვაზე, მონებით დატვირთული გემები, რომლებიც თურქეთისაკენ მიემართებიან, თავადები და აზნაურები, რომლებიც ქვეყანაში დაპარპაშობენ და გლეხებს ძარცვავენ, მტრობა მეზობლებთან, უცხოელებთან ომი — ასეთია შტრიხები მეგრელთა სურათის წარმოსადგენად.

შეკრეჭილ კორტოხზე თექის ქუდი, ფეხები შიშველი ან ცხოველის ტყავით (ქალამნებით) შემოსილი, რაც ამ ტენიანი ქვეყნის ტალახისაგან ცუდი დამცველია, ავხორცი ქალების საზოგადოებაში, რომლებიც საჭმელს თითებით ჭამენ – ასე ასახავენ მეგრელს, რომელიც თავისი სხეულის კარგი და მშვენიერი აღნაგობის, იმ მზამზარეულის, რაც მას ბუნებამ უბოძა, ნიადაგის სიკეთის, ლითონების დაფარული სიმდიდრის და ზღვაზე მდებარეობის, –

---

[8] შეად. სტატია — კოლხების, ლაზებისა და მეგრელების შესახებ (დამ. №3).

რომელიც იმთავითვე ვაჭრობის ადგილი იყო, – შესაბამისად სულ სხვა მოვლენების გამომწვევი მიზეზი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ახლაა.

მეგრელები გაწაფულნი არიან მშვილდოსნობაში, შუბისა და მახვილის ხმარებაში; ომში მათ 30.000-ზე მეტი კაცის გამოყვანა შეუძლიათ. მათი ომებია თარეში — რაც უსარგებლო ძარცვა-გლეჯით და გაპარტახებით მთავრდება. როგორც კი მოახლოვდება მტერი, მეგრელები ცდილობენ, არ დაანებონ მას ნაკადულზე თუ მდინარეზე გადასასვლელი. თუ ჩაიფუშება ეს განზრახვა — მაშინ ისინი ტყეებში უკუიქცევიან და ქვეყანას მტერს მიანებებენ, რომელსაც იგი თუმცა მალე, მაგრამ მანამდე მაინც არ დატოვებს, ვიდრე არ გააპარტახებს. აღსანიშნავია ხერხი, რომლითაც მეგრელი მონებს შოულობს. სწრაფი თავდასხმისა თუ გაქცევის დროს, იგი თვალს მიაპყრობს იმ მოწინააღმდეგეს, რომლის ცხენიდან ჩამოთრევას და, ამრიგად, დატყვევებას შეძლებდა. ქამარზე გამონასკვული თოკის დანიშნულებაა ტყვის შებოჭვა, როგორც კი ეს უკანასკნელი ძირს იქნება ჩამოგდებული. მეგრელი დიდებული ასეთებს თავის მსახურებს გადასცემს; მაგრამ მათი ხვედრი ამის გამო როდია უკეთესი, რადგან მონის სიკვდილ-სიცოცხლე მისი ბატონის გუნებაზეა დამოკიდებული; იგი გაიყიდება, თუ კი ის იმ ფასად ღირს, რომელზეც მეგრელი ურიგდება ხოლმე თურქს. მაგრამ მშვიდობიან დროსაც ჩნდება მონები, რადგან სამეგრელოში ბატონი — თავის მსახურს ყიდის და ა.შ., მოგვითხრობენ, რომ წინათ, თურმე, თურქებს ყოველწლიურად რამდენიმე ათასი მონა გაჰყავდათ სამეგრელოდან, მათ შორის ქალები და გოგონები, რომლებიც სილამაზით, ბევრი გარეგნული ცერემონიით და სიამაყით გამოირჩევიან.

გარდა ამისა, თურქებს მიაქვთ — აბრეშუმი, ტილო, ბეწვეული, განსაკუთრებით თახვის ბეწვი, წითელი და თეთრი თაფლი; სამაგიეროდ შეაქვთ იარაღი, მშვილდ-ისრები, ცხენის აკაზმულობა, თავსაფრები, სუფრები, სპილენძი და რკინა, რომელიც ოქროს საწმისის მფლობელებს ამჟამად არ გააჩნიათ. ისკურიაჰ ანუ ისგაურის (დიოსკურია) მახლობლად, ქვეყნის ჩრდილოეთში, ოდიშის მხარის საზღვართან, თურქული ფულით წარმოებს პირველი მოხმარების საგნებით ვაჭრობა. თურქებისათვის სარგებლობა მოაქვს კიდევ უფრო დაბლა მდებარე ქალაქ-ნავსადგურს ანარგიასაც (ანაკლია), საიდანაც იწყება საკუთრივ სამეგრელოს პროვინცია. მონებით მოვაჭრე თურქები აქ ჩამოდიან უმეტესწილად.

მიწას ქვეშევრდომები ამუშავებენ, რომელთა ერთმანეთისაგან დაშორებით მდგარი სახლები აგებულია მონდომების გარეშე, თუმცა ქვეყანა ყველა სახეობის მასალას იძლევა. გლეხი დროს კლავს სიმღერით ქართულ დიალექტზე, რომელშიც უცხო სიტყვებიც ურევია. მაგრამ ხშირად მათი საქმიანობა მინდვრად სხვა არაფრისგან შედგება, თუ არა წყლის გადაგდებაში, რომელიც ასეთ ნოტიო და მუდმივი წვიმებით დატბორილ ქვეყანაში, მარცვალს დაღუპვით ემუქრება. ზაფხულში სიცხე ხელს უწყობს ჰაერის დატენიანებას და წარმოიშვება ჭირის-მაგვარი დაავადებანი, რომლებიც ადამიანებს და საქონელს მუსრს ავლებს. ერთი კია, რომ ყოველგვარი ხილი აქ ველურად იზრდება, თუმცა ყოველთვის როდი გამოირჩევა განსაკუთრებით კარგი გემოთი. ქებულია მხოლოდ აქაური ღვინო თავისი მარგებლიანობის და სიმაგრის გამო. ბრინჯის გარდა, აქ ნახავთ დიდი რაოდენობით ფეტვს ანუ ღომს, რომელსაც ქალები, კოლხელი მედეას მსგავსად, საოჯახო საჭიროებისათვის იყენებენ და მით თავიანთ

ქმრებსაც უნდა მკურნალობდნენ ექიმების მაგივრად. ცრუმორწმუნეობა და სიზმრის ახსნა — არაა უჩვეულო რამ სამეგრელოში. სათნო მისიონერებმაც კი, რომლებიც ამ ვერცხლის მოყვარულ ადამიანებს XVII საუკუნეში წმინდა ქრისტიანობას უქადაგებდნენ, იმათაც კი ვერ შეძლეს განედევნათ „ხარის დღეობა“, რასაც აქ აღნიშნავენ და რომელსაც ძალზე ცოტა რამ უნდა ჰქონდეს საერთო ქრისტიანულ დღესასწაულთან.

მეგრელ დიდებულებს სათავეში მთავარი უდგას, რომელიც აქ დადიანად, აგრეთვე შავი ზღვის მთავრად იწოდება. მათ უყვართ ნადირობა, ხოლო ამ მხრივ ცოტაა ქვეყანა, რომელიც შეიძლება სამეგრელოს შეედაროს. აქ შეხვდებით ხშირ და უსასრულო ტყეებს, რომლებშიც შესანიშნავი ნადირი აფარებს თავს; ამ ნადირის საგეშავად კი მტაცებელ ფრინველთა ყველა სახეობაა. მეგრული ანდაზა ამბობს: კარგი ცხენი, კარგი ძაღლი და კარგი შევარდენი ადამიანური ბედნიერების 3 აუცილებელი ელემენტიაო. მაგრამ მეგრელებს არა მარტო შევარდნები ჰყავთ, არამედ აგრეთვე ძერები და ქორები — მეგრელი დიდებულების ემბლემები, რომლებითაც ძველად დადიანი საჩუქრებს უძღვნიდა ხოლმე სპარსეთის მეფეს, რაზეც ოქროს და ვერცხლის ნივთებით, ნოხებით, იარაღით და მაგიდის სერვიზით პასუხობდნენ.

ასეთი მოშინაურებული ძერებით, ქორ-შევარდნებით, უფრო იშვიათად – ძაღლების თანხლებით, ცხენზე ამხედრებული (აქ კი საუცხოო ჯიშის ცხენთა ისეთი სიმრავლეა, რომ ქალებიც კი ცხენდაცხენ დადიან ხოლმე) იწყებს მეგრელი ირმებზე, კურდღლებზე, ტახებზე ნადირობას, ან ბრძოლას უმართავს ტურებს, მგლებს და ლეოპარდებს. სახლში იგი ჭამს მწყერებს, რომლებიც იქ ბუდობენ, სადაც ფასისი ქვეყნის საზღვრად გადის,

აგრეთვე სხვადასხვა შინაურ ფრინველებს. ღორის ხორცისა და ღვინის სიუხვე, მაშინ როცა პურის ნაკლებობაა, დიდი მაცდუნებელია განსაკუთრებით მაჰმადიანებისათვის, რომლებიც აქ მრავლად არიან.

ოდიშისა და სამეგრელოს აღმოსავლეთით მდებარეობს პატარა მეგრული მხარე ლეჩხუმი (?), რომლის ღარიბი ბინადარნი ქვის ქოხებში ცხოვრობენ: 40 ასეთი ქოხი, ჩვეულებრივ, ერთ სოფლად ითვლება. კავკასიის უმაღლესი მწვერვალის – იალბუზის მახლობლად, სვანებისაგან მათ გამოჰყოფს სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე გადაჭიმული ხევი. მაღალ ციცაბო მთაგრეხილებს შორის გველივით დაკლაკნილ გზას კავკასიონზე გადავყავართ; მოგვითხრობენ, რომ ოდესღაც ჩრდილოეთის შემოსასვლელი მთლიანად გამაგრებული იყო; ახლაც კი შეიძლება ნახოს კაცმა ნაშთი კედლისა, რომელიც მეტყველებს რკინის ხიმინჯებზე აგებულ ციხე-სიმაგრეზე; მთელი ჭიშკარი კი *რკინის კარებად* იწოდება.

## V. სვანები

სვანები, ე.ი. თავიანთ ენაზე — მაღალი მთიანეთის მკვიდრნი, ამჟამად თავისუფალნი და მხოლოდ დიალექტით დაკავშირებულნი ქართულ მხარეებთან, რიგის მიხედვით მეხუთენი არიან.

ორი ან სამი ვიწრო ტანსაცმელი ერთიმეორეზე, პერანგის გარეშე; მკერდი, წინამხარი და მუხლები შეუმოსავი, შარვლის ნაცვლად — წინსაფარი; წინდების მაგივრად — გრძელი, ბარძაყამდე დახვეული მაუდის ნაწიბურები; შიშველ ფეხებზე – უხეში, მოუქნელი ცხოველის ტყავი (ქალამნები); თავშიშველი ან იმერული ქუდით; ხუჭუჭა, ჯაგრისებრად დავარცხნილი თმები — ასეთია სვანის გარეგნობა. ქალები იცვამენ გრძელ, მეტწილად წითელი ფერის ტილოს ვიწრო ზედა სამოსს, რომელიც წინ იკვრება, ხოლო მხრებზე ისხამენ მაუდის საბურველს; თავი შემოსილი აქვთ (გოგონები თავშიშველნი დადიან) და იმგვარად იკრავენ წითელი ფერის ტილოს ხილაბანდით, რომ მხოლოდ ცალი თვალი მოუჩანთ. ამგვარად კი დაახლოებით გასაგები ხდება გეოგრაფიული არაკი ცალთვალების შესახებ.

მაღალი, თითქმის მიუვალი ფიქალოვანი მთაგრეხილი, რომელიც სამეგრელოსა და აბაზთა და ბასიანთა (ბალყართა) ქვეყნებს შორის გადაჭიმულა, და რომელსაც ბასიანთა (ბალყართა) ქვეყანა ესაზღვრება, ფარია სვანებისათვის. დაახლოებით 5000 კომლის ოდენობით ცხოვრობენ ისინი საკუთარი თავადების ხელქვეით, უმეთაუროდ. უკვე ძველი დროისათვის განთქმული ყაჩაღები, რომელთა შესახებ ბიზანტიელები საშინელ რამეებს ჰყვებიან, მათ ჯერ კიდევ აქვთ შემორჩენილი სიმამაცის სახელი; მათი ზორბა, მოხდენილ ტანი კი ამაღლებს მათ

შესახედაობას. მათ იციან ცეცხლსასროლი იარაღის ხმარება, ამზადებენ დენთს და ყოველგვარი სახეობის იარაღს, რისთვისაც მათ მდიდარი მაღაროები საკმაო მასალას აძლევს. არა მარტო ტყვიას, სპილენძსა და რკინას, არამედ ვერცხლის და ოქროს ჭურჭელსაც და ჯაჭვებსაც შეხვედრიან მათთან, ხოლო სტრაბონი მოგვითხრობს ამ სვანებში გავრცელებულ ოქროს გამორეცხვის ჩვეულებაზე, რითაც გასაგები ხდება არაკი ოქროს საწმისის შესახებ.

სვანების განსწავლულობა ჩანს ვაჭრობაშიც. უხეში მაუდის სერთუკების (ახალუხის) და თავიანთი ქვეყნის სხვა პროდუქტების სანაცვლოდ, მათ სამეგრელოდან და იმერეთიდან შემოაქვთ ყველაფერი, რაც მათ ბუნებრივ თუ ადათობრივ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდა. ბასიანები (ბალყარები) აძლევენ მათ მარილს; სტრაბონის დროისათვის კი მათ ეს პირველადი მოხმარების საქონელი შემოჰქონდათ დიოსკურიიდან, სადაც იმავე გაჭირვების გამოისობით 30 სხვა კავკასიელი ხალხიც იყრიდა ხოლმე თავს.

## VI. აბაზები

სვანებსა და მეგრელებს ზემოთ, აბაზებს ანუ აბაზგებს უჭირავთ კავკასიის უკანასკნელი ჩრდილო-დასავლეთი ზოლი, ნაწილობრივ შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც რამდენიმე გამაგრებული ადგილი და ქალაქ-ნავ-სადგური მდებარეობს და თურქების ხელშია, ნაწილობრივ კი მდინარე ყუბანის სათავეში, სადაც კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი იალბუზია აღმართული და თავს დასცქერის ალტიკეზეკად წოდებული 6 აბაზური ტომის პატარა ახალშენს. პირველი — დიდი აბაზაა, ჯანსაღი, ნაყოფიერი, ბორცვებით დასერილი ქვეყანა; ეს კი — მცირე აბაზა, რომლის მკვიდრნი მეზობელი ჩერქეზების მხრივ შევიწროებულნი და მიმძლავრებულნი, თავისუფლებას მთის ვიწროებში ეძიებენ და თანდათანობით სუსტდებიან.

აბაზები, რომლებიც თავს „აფსნებს“ უწოდებენ, ლამაზი, გამოწრთობილი, მოხერხებული ბარბაროსი ხალხია, რომელთაც თავისი ვიწრო სახით, წაგრძელებული თავებით, სახის მოკლე ქვედა ნაწილით, კეხიანი ცხვირით და მუქი წაბლისფერი თმით დამახასიათებელი ნაციონალური ფიზიონომია აქვთ. უხსოვარ დროს ისინი აქაველთა სახელით შავი ზღვის სანაპიროს ცბიერ და საშინელ მეკობრეებად იყვნენ ცნობილნი; შემდეგ აბაზგების სახელწოდებით ბიზანტიელებს შორის იმდენად გაიტეხეს სახელი ადამიანებით ვაჭრობის გამო, რომ ბოლოს და ბოლოს იუსტინიანემ აუკრძალა მათ კასტრირებული ბავშვებით არაადამიანური ვაჭრობა; უფრო ადრინდელი მოგზაურების მიერ ისინი აღიწერებიან თითქმის როგორც მთლიანად ველურები, რომლებიც მეზობელი ყუბანელი ჩერქეზებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ, რომ

მათსავით შიშველ-ტიტველნი არ იყვნენ. ერთხელ ჩერქეზებმა თავიანთ კრებაზე მიიწვიეს აბაზი თავადები და ბოროტად გამოიყენეს რა მათი ნდობა, გამოგონილი საბაბით დახოცეს თავისუფალი ხალხის თავები, ხოლო აზნაურები აიძულეს მათ ქვეყანაში დასახლებულიყვნენ. ამ დროიდან სასტიკი ჩერქეზები მდინარე ყუბანზე ბატონდებიან და ხელს უშლიან აბაზების ყოველგვარ კეთილდღეობას; ამ გზით კავკასიის ეს უძველესი ხალხი იმდენად ჩამოქვეითდა, რომ თავის იარაღს გარეშე მტრების წინააღმდეგ კი არ მიმართავს, არამედ საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ. აბაზების ენას და ადათებს ბევრი რამ აქვთ ჩერქეზული, ხოლო წარსულის მწერლების მიერ აქაველების და ზიგების (ჯიქების)[9] ურთიერთშეპირისპირება თითქოსდა ადასტურებს მათ ნათესაობას.

აბაზებთან ეგულებათ ვერცხლის მადანი; მაგრამ აბაზების მიერ არ გამოიყენება აგრეთვე მოხერხებული მდებარეობა ნაოსნობისათვის და ხელსაყრელი პირობები თევზის ჭერისათვის. აბაზი თავს ირჩენს ფეტვით ანუ ღომით, ჭვავით და ქერით, ნადირობით და მის მიერ მოტაცებული ადამიანების ვაჭრობით. ღორის ხორცი მას არ ეზიზღება, რადგან კვირა-უქმე დღეებში და სხვა ზეიმებში შემორჩენილი აქვს ქრიტიანობის კვალი. აბაზები ნადირობენ ძერის ან სხვა მტაცებელი ფრინველის თანხლებით, დიდ და უამრავი ნადირით სავსე ტყეებში; თოფი, ხმალი და მშვილდ-ისარი კი აბაზისთვის ჩვეულებრივი იარაღებია. ქალები ქსოვენ, ძაფს ართავენ და მეურნეობას ეწევიან თავიანთ სახლებში, ანუ მსუბუქი მასალით ნაგებ წნელისკედლებიან ქოხებში, რომლებიც ამ ქვეყნის ჭალებშია მიმოფანტული.

---

[9] იხ. No. VII.

აბაზების სავაჭრო საქონელია მაუდის და თექის პალტოები (ნაბდები), რომლებსაც ისინი რუსულ ხაზზე ასაღებენ; მელიის და კვერნის ბეწვი, თაფლი, ცვილი, რასაც ყირიმში ბევრი მყიდველი ჰყავს, აგრეთვე ბზა, რომელსაც თურქები განსაკუთრებული სარგებლით იძენენ. სამაგიეროდ, აბაზებს სომხების ხელით შემოსდით ზოგი აუცილებელი რამ, წვრილმანი საქონელი, ზაფრანა, იუხტი, ტილო, ქსოვილები. თურქი გამოცდილი მეზღვაურები დიდი გემებით მოდიან აბაზებთან გაცვლითი ვაჭრობისათვის, ქრთამავენ აბაზთა იმ მეთაურებს, რომლებიც მათ არ ემორჩილებიან და უმთავრესად მაჰმადიანები არიან. აპრილის დამდეგს სასწრაფოდ მიემგზავრებიან უკან, ხოლო ზაფხულის ბოლოს ბრუნდებიან ბზის მეორე პარტიის წასაღებად მარილისა და სხვა მოხმარების საგნების სანაცვლოდ. ისინი განსაკუთრებით ერიდებიან ცბიერი, მატყუარა, ხოლო სადაც ძალა შესწევთ, ყაჩაღი აბაზების თავდასხმას.

აბაზურ ტომებს შორის უპირატესად ცნობილი არიან ბეშილბაები, შაფსულები და ნატუხაები (ნათხვაჯები)[10].

ბეშილბაები — მცირე აბაზას მომიჯნავე ტყიანი და მიუვალი მიდამოს ღარიბი, მაგრამ შეუპოვარი და ყაჩაღი მცხოვრებნია. აქ მეფუტკრეობა მათრობელა თაფლს იძლევა.

ასევე ღარიბი და ასევე ტლანქი არიან კიდევ უფრო დასავლეთით მცხოვრები შაფსულნიც, რომლებშიც ყველაზე დიდი ყაჩაღი, ჩვეულებრივ, მათი მთავარი და მეთაურია. ისინი თვით ანაპამდე ხეტიალობენ, სადაც ეკალივით ესობიან თურქებს.

---

[10] შაფსულები, ნატუხაები — ადიღევლებიდან ყაბარდოელების შემდეგ დარჩენილი ტომებია.

ყველაზე ძლიერი ტომი ნატუხაები (ნათხვაჯები) სანაპიროსთან უფრო ახლოს ბინადრობენ. აქ კი, ისევე როგორც სამხრეთ კავკასიაში, მოიპოვება ნავთის წყაროები. ნატუხაები (ნათხვაჯები) მისდევენ მეღორეობას, გააჩნიათ მცირეოდენი სართავი, თითქმის სრულიად არ ეწევიან მიწათმოქმედებას, ცუდად აცვიათ და ყველა მეზობელთან ჩხუბსა და დავაში ცხოვრობენ, რადგან დასაკარგავი რა ექნებათ, რაც არ აქვთ. მათ მიდამოებში ნაპოვნია რომაული სტილით ნაგები, ოთხგასასვლელიანი მიწაყრილის გალავანი და მასთან თხრილი.

## VII. ყუბანელი და ყაბარდოელი ჩერქეზები
(ილუსტრაციები იხ. სურ. № 1, 2)

### 1. ყუბანელი ჩერქეზები

კავკასიის უკიდურესი ჩრდილოეთის უძველესი და ველური ბინადარნი, ამჟამად საკმაოდ განსხვავდებიან ყაბარდოელ მხედართა მოდგმისაგან; მართალია, ისინი ორივ ერთ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ყაბარდოელებს, გარდა ამისა, თავისი საკუთარი კარის ენაც გააჩნიათ, ხოლო უფრო მაღალი კულტურით, ძლევით და ბატონობით სხვა ამბებზე და სხვა ნათესაობაზე მიგვანიშნებენ.

ყუბანელი ჩერქეზები ჯერ კიდევ ამ რამდენიმე საუკუნის წინათ თითქმის მთლიანად ველურები იყვნენ. წარმოშობით ისინი ყირიმისა და კუნძულ ტამანის მკვიდრნი არიან და თავს ადიღეებს, ე.ი. კუნძულელებს უწოდებენ. ჰეროდოტესეული ძველი სკვითები, ყირიმის ნახევარკუნძულზე რომ ბინადრობდნენ და შემდეგ ამაზონებს რომ შეუერთდნენ[11], სტრაბონისეული ზიგები ანუ ჩერქეზულად — მამაკაცები, ბიზანტიელთა ზიჰები, კონსტანტინე პორფიროგენეტის კაზაკები (ოსები ახლაც ასე ეძახიან მათ), ცირკასელი (ჩერქეზი) მამლუქები, რომლებიც XIV-XV-XVI საუკუნეებში ეგვიპტეში ბატონობ-დნენ[12] (ადვილი შესაძლებელია, რომ მათ ყაბარდოსკენაც გამოსწიეს, იქ ძველი კავკასიელები დაამარცხეს და

---

[11] იხ. ჩემი თხზულება: De Amazonibus. Marburg, 1806 და შეად. დამატება № 4.

[12] ჩერქეზები ახლაც ითვლებიან უშესანიშნავეს მონებად ანუ მამლუქებად. მათ ეგვიპტეში რეგენტობისთვის ზრდიან....აბაზები, მეგრელები და გეორგიელები (ქართლ-კახელები) კი ღონითა და მოხერხებულობით მათ ჩამორჩებიან.

ახლანდელი ყაბარდოელთა ტომები წარმოშვეს), და ბოლოს იასები, ე.ი. კუნძულელები — რუსულ ენაზე, და ჩერკასები ანუ ჩერქეზები თურქულ და თათრულ ენებზე — ყველა აქ ზემოთ ჩამოთვლილნი — იგივე ყუბანელი ჩერქეზებია.

იქნებ მათში უნდა ვეძიოთ ციგნები (ბოშები) და ბოჰემიელი ცეხები (იხ. № 8). ხოლო მათი ძველი მკვიდრობა ყირიმში, რომელიც თათრების მიერ ადა-დ ანუ კუნძულად იწოდება, ისევე როგორც ყაბარდოელთა იგივე სადაურობა შემორჩენილა სახელწოდება ყაბარდოში და იმ ადგილების სხვა ნაშთებში.

ამ ჩერქეზებს უნდა ენათესავებოდნენ, სახელწოდების მიხედვითაც, ჩერქესეტები, რომლებიც ოსების ქვეყანაში ცხოვრობენ. უკეთეს შემთხვევაში ისინი შეგვეძლო მარტო სტრაბონის კერკეტებიდან გვეწარმოებინა, თუ კი კერკეტებსა და ზიგებს (ზიჰებს) ერთსა და იმავე ხალხად ჩავთვლიდით. ერთი შეხედვით, თითქოს ამავე აზრს ადგას სტრაბონისეული არტემიდოროსიც, როდესაც კერკეტებს ასახელებს, ზიგებს (ზიჰებს) კი არა. სინამდვილეში, ეს იმით აიხსნება, რომ "ზიგები" («ზიჰები») (ე.ი. მამაკაცები) ჩერქეზების ადგილობრივი სახელია, "კერკეტები" ანუ "ჩერქეზები" კი – უცხოური.[13] ამგვარ შეცდომას ახლაც სჩადიან მოგზაურები, როდესაც ზიგებს (ზიჰებს) და ჩერქეზებს ორ სხვადასხვა ხალხად მიიჩნევენ.

ჩერქეზები ცხოვრობენ ყუბანის მომიჯნავე შვიდ თუ რვა ოლქში. მათი შემოსავლის წყაროა — მეთევზეობა, ნადირობა და გაცვლა-გამოცვლით ვაჭრობა. მათში შეინიშნება წოდებრივი განსხვავება — აქ შეხვდებით ყმებსაც, ვასალებსაც და თავადებსაც, მაგრამ ყველა ისინი

---

[13] თურქულ ენაზე.

ერთ რამეში არიან თანასწორნი — უხეშობაში. ჩერქეზები არც მაჰმადიანებია და არც ქრისტიანები, თუმცა მათში ორივე სარწმუნოების კვალი შეინიშნება.

ყველაზე უფრო საყურადღებო ჩერქეზებია — ტომი თემირგოი[14]. შეძლებული და სისუფთავის მოყვარული ჩერქეზებია თემირგოიელები. ისინი ორმოცზე მეტ კარგად გამაგრებულ სოფლებში ცხოვრობენ და ქუდზე ორ ათასზე მეტი კაცის გამოყვანა შეუძლიათ. მსხვილი, ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ჭოგრები, რომლის ქვედა შორისეთი ამოივსება, ზედა კი კვრინჩხნარით იფარება, – წარმოადგენს მათ საცხოვრებელს და თავ-შესაფარს, ხოლო რაც შეეხება მათ დახელოვნებას საალმშენებლო საქმეში — იგი დიდად ქებულია. თემირგოიელების აღმოსავლეთით ცხოვრობენ ბესლანელები — სუფთა და შეძლებული ურდო, და მუხოშები, რომელთაც მიწათმოქმედება და მესაქონლეობა განსაკუთრებით კარგად აქვთ დაყენებული და თავიანთ მრავალრიცხოვან ნაკადულებს წარმატებით იყენებენ. თემირგოიელების დასავლეთით ცხოვრობენ ბჟედუღები; ისინი თავს ირჩენენ მიწათმოქმედებით, ვაჭრობით, კავკასიის უდაბურ ტყეებში ყაჩაღობით, აგრეთვე მესაქონლეობით, რაც ყუბანის მარჯვენა ნაპირის გადაღმაც ვრცელდება. უფრო შორს ადგილსამყოფელია ჰატუკაიებისა, რომლებიც მისი ოტომანის უდიდებულესობის ხელქვეითნი არიან; კიდევ უფრო შორს ცხოვრობენ: ტომი სანი ანუ შანი, ღარიბი ყაჩაღები, რომლებიც ვალდებულნი არიან თავიანთი ნადავლის ერთი ნაწილი თავიანთ თავადს ჩააბარონ; შაგაკები, თურქული ციხესიმაგრის ანაპას ქვემოთ. შაგაკების მთავარს ძველად საკუთარი გემები ჰყოლია შავ ზღვაზე. მას ახლაც საკმა-

[14] თემირგოი (კემირკოი) — კიმერიელების პირდაპირი შთამომავალნი.

რისი გავლენა აქვს მეზობელ ჩერქეზებზე. ამ ოლქის სოფელში იყო, თეთრი მარმარილოს დიდი ფირფიტა რომ იპოვეს ბერძნული წარწერით. რაც შეეხება კუნძულ(?) ტამანიდან არცთუ დიდი ხნის წინათ წამოსულ სხვა ჩერქეზებს, ისინი ჯერ კიდევ გაფანტულად ცხოვრობენ აქ საცოდავ ქოხმახებში და მარცვლეულითა და ხილით ირჩენენ თავს; ყუბანის ნაპირები საზღვარია კავკასიის უკიდურესი ჩრდილოეთის ხალხებისა.

## 2. ყაბარდოელი ჩერქეზები

ყაბარდოელი ჩერქეზები, რომლებიც კულტივირებულ ჩერქეზებად შეიძლება იქნან განხილულნი, ბინადრობენ ნაყოფიერ მიწებზე კავკასიის ჩრდილოეთის შუაგულში. მათ ქვეყანას საზღვრავს მდინარეები მალკა და თერგი, აგრეთვე ქისტეთის სოლივით შემოჭრილი ნაწილი. იგი იყოფა დიდ და მცირე ყაბარდოდ.

ყაბარდოელები თავიანთ თავს არა მარტო თვლიან არაბებად, არამედ მათ ნამდვილად აქვთ კიდეც არაბული ადათები სისხლის აღების და სტუმარმასპინძლობისა, აგრეთვე გენეალოგია მთავრებისა და ცხენებისა. თუ არ მივიჩნევთ, რომ ისინი თავიანთ აღრევას და სულიერ წყობას მე-7-8-9 საუკუნეების ხალიფას ჯარებს უნდა უმადლოდნენ, ეგვიპტიდან რომ მოვიდნენ და კავკასია დალაშქრეს, მაშინ ადვილი შესაძლებელია, რომ ისინი იმ ცირკასელი (ჩერქეზი) მამლუქების ჩამომავლები იყვნენ, რომლებმაც მოგვიანებით ეგვიპტე და მასთან, არაბეთის ნაწილიც დაიპყრეს. ცნობილია, რომ ისინი უპირატესად არაბულ აღზრდას ღებულობდნენ.[15]

ყაბარდოელი ჩერქეზები კავკასიის სხვა ხალხებისაგან გამოირჩევიან სილამაზითა და ზრდილობით. ზორბა, ტანადი, ჰერკულესისებრნი, გამხდარი თეძოებით და

---

[15] ჩერქეზულ თქმულებაში, რომელსაც რაინეგსი "დერბენდის ისტორიაში" გაეცნო, მოიხსენიება სახელი "სერაკუს". ყაბარდოელთა ფუძემდებელი ტომის ეს სახელი შეიძლებოდა სტრაბონისეული სირაკანისაგან გვეწარმოებინა, რომლებიც კავკასიის ჩრდილოეთში ბინადრობდნენ, აორზების ზემოთ, მაგრამ იმაზე ბევრად უფრო ჩრდილოეთით, ვიდრე ეს შესაძლებლობას მოგვცემდა, ისინი კავკასიისათვის მიგვერიცხა. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია არსებული არგუმენტები, რომლებიც ყაბარდოელთა ტავრიიდან ანუ ყირიმიდან წარმომავლობის სასარგებლოდ ლაპარაკობს!

პატარა ტერფით, ხოლო ძლიერნი მჯიღში და ხმალში — ასეთია მამაკაცები. ქალებს კი გავარდნილი აქვთ სახელი ნატიფი და მომხიბლავი გარეგნობისა. თეთრი კანი, მუქი წაბლისფერი ან შავი თმა, სახის სწორი ნაკვთები, ტანწერწეტა და ამასთან სავსე მკერდი, აგრეთვე სისპეტაკე — ყოველი სილამაზის ამმაღლებელი, – ყველაფერი ეს თითქმის ყოველ ჩერქეზ ქალს აქცევს საფოდ ან ფრინედ. ავხორცნი და გარყვნილები მათ შორის გამოიცნობიან კოსმეტიკით, რის ტარებაც წესიერ ქალიშვილს მხოლოდ ფრჩხილებზე აქვს ნებადართული.

ქალიშვილის სამკაულია ვიწრო, მკერდიდან თეძოებამდე ჩამოშვებული ქამარი; გოგონები მხოლოდ უმნიშვნელო და უბრალო საჭმლით იკვებებიან, რის გამოც ადვილად იღებენ მოხდენილ ფორმას, რასაც ჩერქეზების გემოვნება უყენებს ქალიშვილს. ხის ქოშები და ხელთათმანები მათ წინდებსა და ხელებს იცავს გაჭუჭყიანებისაგან, როდესაც ისინი სახლიდან გარეთ გამოდიან. ეს კი ძალიან იშვიათად ხდება.

ჩერქეზი აზნაური თუ თავადი (ასე იწოდება ყველა, ვინც არაა ყმა და ვისაც ცხენი ჰყავს) არასდროს ელევა ხანჯალსა და დამბაჩას. შედარებით იშვიათად თუ ნახავთ მას უკაპარჭოდ და მშვილდ-ისრის გარეშე. წელზე შემორტყმული აქვს ხმლის თასმები, მკერდი და თავი — აბჯრითა და ჩაჩქნით დაფარული.

მთელი ყაბარდო შედგება დაახლოებით 1500 აზნაურისაგან, რომლებსაც აქ უზდენებს ეძახიან და 10.000 ბრძოლისუნარიანი გლეხის ანუ ყმისაგან. ყუბანელი ჩერქეზებით გაძლიერებული და საკუთარი მამაცობით ამაღლებული მათი ეს ძალა საშიში იქნებოდა ყველა მეზობელი ხალხისათვის, ყაბარდოელი თავადები თავს

რომ არ ისუსტებდნენ გაუთავებელი შუღლით და ქიშპობით.

შესანიშნავი და უმაღლესი კულტურის უნარიანია ყაბარდოს ნიადაგიც. ყაბარდოს ჰავა და მისი ბუნების პროდუქტები ძალზე წააგავს საბერძნეთისას და იტალიისას. მაგრამ ბუნების ზოგიერთი წყალობა აქაც გამოუყენებელი რჩება. რკინის მაღაროების გაყვანის, მადნის ამოღების, მისი დნობა-ჭედვის, იარაღის დამზადების ნაცვლად ყაბარდოელებს შეეძლოთ უფრო კეთილშობილი ლითონები მოეპოვებინათ, ბუნების კვალს რომ მისდევდნენ.

მათი ცხოვრება მომთაბარულია. სახლებს ისინი იგებენ მსუბუქი მასალისაგან, თეთრად შეღებილი წნული კედლებით. ასეთი სახლები, ჩვეულებრივ, წყლისგან მოშორებით დგას, რაც კავკასიონის უთვალავი ნაკადულების სახით საკმაოდ უხვადაა. ერთ-ერთი უახლოესი ნაკადულიდან ყაბარდოელს დიდი სიმარჯვით გამოჰყავს არხი. აზნაურის თუ თავადის სახლი განცალკევებით დგას. დანარჩენი წოდება ერთმანეთთან მიჯრით და წყვილ-წყვილად სახლდება.

ჩერქეზულ სოფლებს კარგი სასტუმროები აქვს, რომლებიც სისუფთავით გამოირჩევიან. როდესაც ყაბარდოელები სხვა ადგილებში გადასვლას დააპირებენ, მაშინ წვავენ უსარგებლო ხაბაკ-ხუბაკს, დანარჩენი კი თან მიაქვთ.

მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას უძღვებიან გლეხები ან ყმები, ომში მოპოვებულ მონებთან ერთად. ყაბარდოს ნაყოფიერ მიწას 6-იდან — 8 ხარებშებმული დიდი გუთნები სერავენ. კანაფს, რომელიც აქ ველურად იზრდება, ქალები ძაფად იყენებენ; ქერისაგან ნამცხვრებსა და სასმელს ამზადებენ, ხოლო სიმინდი აუცილებელი საგზალია გათარეშების დროს. გარდა ამისა, აქ შეხვდებით

ნესვს, გოგრას და მრავალ სხვა საუცხოო ხილეულს. უთვალავი ცხვრები და თხები, რქოსანი საქონელი და ცხენები — საგრძნობლად ზრდის მათ დოვლათს. ცხვრის ნაზი მატყლი ან გააქვთ ბაზარზე, ან მისგან ზედასამოსს, თექის პალტოებს (ნაბადს), ქსოვილებს ქალებისათვის ამზადებენ.

ორთვალებში შებმული რქოსანი საქონელი გამოიყენება მთებში სამგზავროდ, და მიუხედავად ტანის სიმცირისა, მათ ჩქარი და მტკიცე ნაბიჯი აქვთ. ყაბარდოელები, როგორც კარგი მხედრები, განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიან ცხენებს. ჩერქეზული ცხენები გამოირჩევიან სილამაზით, ღონით, გამძლეობით და, რაც უფრო დასაფასებელია, სისწრაფით. თითოეულ თავადს ან აზნაურს განსაკუთრებული ნიშანი აქვს, რასაც იგი თავის წმინდა სისხლის კვიცს თეძოზე ამოსწვავს ხოლმე. თუკი ვინმემ გაბედა და დაღი შებღალა, ე.ი. იგივე ნიშანი უბრალო ცხენს გაუკეთა, სიცოცხლეს გამოასალმებენ.

განთქმულია აგრეთვე ყაბარდოელების მეფრინველეობა, ხოლო საუცხოოდ დაყენებულ მეფუტკრეობაზე მეტყველებს არა მარტო ცვილი, რომელიც თითქმის ასტრახანამდე გააქვთ, არამედ მათრობელი თაფლიც და დადუღებული ფეტვის სასმელიც, რომელსაც რუსული სახელწოდება — ბუზა ჰქვია.

თავად-აზნაურების საქმიანობა, ძველ გერმანელ თავად-აზნაურთა მსგავსად — ნადირობა, ყაჩაღობა და ომია. ყოველი უცხო ქონება, რასაც ეს ყაბარდოელები ხმლით მოიპოვებენ, მათ წმინდა ნადავლად მიაჩნიათ; ყოველმა მეზობელმა ხალხმა კი, რომლებსაც ისინი აჯობებენ, მათ უნდა მიჰგვაროს — ცხვრები, სპილენძის ჭურჭლეულობა ან სხვა ხარკი.

ყურადღების ღირსია მათში არსებული ბატონყმური ურთიერთობაც. ქვეშევრდომი სულითა და ხორცით მიჯაჭვულია თავადთან. მხოლოდ ესაა, რომ არ გაიყიდება. ღალის გადახდის ნაცვლად ასეთი ქვეშევრდომი სამხედრო სამსახურს ეწევა, ეზიდება შეშას და სამშენებლო ხეტყეს, აგებს საცხოვრებლებს, თავის ცოლ-შვილთან ერთად იწევს მოსავალს და უძღვება მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. თუკი ცოლის შერთვა გადაწყვიტა, იგი თავადს მიართმევს წინასწარ ორ ძროხას და ორ ხარს; ისე კი, ჩვეულებრივ, აზნაურის მორჩილებაშია.

აზნაურს ხალხი წესრიგში ჰყავს, თავადს სამხედრო სამსახურს უწევს და ქუდზე კაცი გამოჰყავს საომრად.

თავადი მართავს ხოლმე საჯარო ნადიმს, რისთვისაც ყველა, ვისაც ცხვარი ჰყავს, ვალდებულია თავისი წვლილი გაიღოს. ხელგაშლილობით იგი იჩენს მხლებლებს, იბარებს ლაშქარს, აზნაურებს კი ისე ექცევა, როგორც ვასალებს. ხელქვეითი, რომელიც მას მოეწონება, აზნაურობამდე ამაღლდება, ურჩი აზნაური კი ქონების ჩამორთმევით ისჯება.

ქორწინება ხდება ქონების და წარმოშობის შესაბამისად. ხოლო თუ აზნაურმა გაბედა და თავადის ქალიშვილი მოიტაცა — სიკვდილით ისჯება. როგორც კი დაიბადება თავადის ქალი ან ვაჟი, რომელიმე აზნაური კისრულობს ბავშვის აღზრდას. დედ-მამა მანამდე ვერ ნახულობს თავიანთ შვილებს, ვიდრე იარაღის ტარება — ვაჟს და გათხოვება — ქალს არ აამაღლებს დამოუკიდებლობამდე. ვაჟი თავისი მასწავლებლის ზედამხედველობით სწავლობს ყაჩაღობას, ომს და ნადირობას — გასამრჯელოდ კი მას უძღვნის ნადავლის ნაწილს. ზომიერი კვებით გოგონებს ზრდიან თავადის ასულისათვის შესაფერი გამხდარი ფიგურით და ასწავლიან ქსოვას, ტანსაცმლის

კერვას, ჭილოფის და პატარა კალათების დაწვნას. აზნაური სიცოცხლითაა პასუხისმგებელი, რომ ქალმა თავისი წოდებისათვის შეუფერებელი ქორწინება არ მიიღოს.

ამაზონებთან (ამორძალებთან) ძველ აღრევაზე მიუთითებს მთელი ის უცნაური ურთიერთობა მამაკაცებსა და ქალებს შორის, რასაც ამ ჩერქეზ მხედრებში ხვდებიან.

ახლად დაქორწინებულები ფარულად ხვდებიან ერთმანეთს ერთი წლის მანძილზე; ღამის წყვდიადში, უცხო თვალისათვის შეუმჩნევლად ოთახის ფანჯრიდან უშვებს ხოლმე ცოლი თავის ქმარს და ორივენი მანამდე არ ეჩვენებიან თავიანთ მშობლებს, ვიდრე ამ დროის განმავლობაში ბავშვი არ დაებადებათ. მხოლოდ ამის შემდეგ ატანს მამა თავის ქალიშვილს მზითევს, მოხდის ქუდს, რომელსაც იგი ქალიშვილობის დროს ატარებდა და ლეჩაქს (საბურველს) მოასხამს მხრებზე. ვერავინ გაბედავს ჩერქეზს ცოლის და ბავშვის ამბავი გამოჰკითხოს; რაც შეეხება ცოლქმრობას, იგი იმდენად დაუკავშირებელია, რომ ქმარი ვერ ბედავს მოწმე იყოს, როცა ცოლს ვინმე უცნობი ესტუმრება.

ჩერქეზებში გავრცელებულია სტუმრის უფლება, რასაც ისინი "კუნადის" უწოდებენ. ვინც მის კალთას შეეფარება, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სათანადო გამყოლის თანხლებით უხიფათოდ ჩაბარდება თავის ახლობელს. უდიდესი დანაშაულიც რომ აწვეს, იგი მაშინაც დაზღვეულია, რადგან მასპინძელი მისთვის თავსაც დადებს, თუ საჭირო გახდა. მოგვითხრობენ რომ, როდესაც ჩერქეზი ქალისთვის მიუმართნიათ უცხოელებს მფარველობისათვის, ანდა პირით შეხებიან მის მკერდს, ისეთი პატივი მიუგიათ მათთვის, როგორც ღვიძლი

ნათესავისათვის და ისინი დაცული ყოფილან ყოველგვარი უსიამოვნებისაგან.

საშინელია ჩერქეზთა სისხლის აღება, რასაც ისინი საჯაროდ ან ფარულად სჩადიან მოკლული ნათესავების სულის საოხად. დამნაშავედ მიჩნეულია ბოროტმოქმედების ჩამდენის მთელი ოჯახი, და თუ სისხლი არ იქნება გამოსყიდული, მაშინ შურისძიება გრძელდება თვით დამოყვრების შემდეგაც. სისხლის გამოსასყიდს მხოლოდ რიგითი ჩერქეზები იღებენ, თავადები და აზნაურები კი მოითხოვენ სისხლს — სისხლის წილ.

ჩერქეზული სოფლების მახლობლად, ამაღლებულ ადგილებზე, ნახულობენ ჩერქეზების ოთხკუთხა ქვებით ნაგებ, კუთხეებში სვეტებით შემოგარულ საფლავის ძეგლებს. თავადები და დიდებულები კი თავიანთთვის აკლდამებსაც (ეგვტერებს) აგებინებენ. რაც შეეხება ამისათვის საჭირო მასალას, იგი საკმაო რაოდენობითაა ქვით მდიდარ მთებში.

## VIII. ბასიანები (ბალყარები)

ბასიანები ჩერქეზთა ქვემოთ და სვანების მეზობლად მცხოვრები ყაბარდოს ძველი მკვიდრნია, რომლებიც ჩერქეზმა მხედრებმა მდელოებიდან აოტეს და აიძულეს, თავშესაფარი მაღალ, უდაბნო თოვლალპურ მთებში ეძიათ. იქ ცხოვრობენ ისინი დღესაც, სადაც მიუხედავად ამისა, მეტწილად მაინც მოხარკეებად დარჩნენ ძველი მდევრების. სახელწოდება – ბასიანი – წარმოდგება მათი უხუცესის სახელიდან. თუ დავუჯერებთ ბასიანთა მონათხრობს, ისინი ხალხთა თავმოყრა-შერწყმა ყოფილა (ბულგარები, ბერძნები; აქაურებიდან — ყუმუხები, ნოღაელები, ყალმუხები). ამათ შორის, ენის გამო, რომელზეც მეტყველებენ, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ნოღაელები, რომლებიც ჰუნი ან მონღოლი თათრები არიან. ამგვარად გამოდის, რომ მამაც ჩერქეზებს თვით ის მონღოლებიც და თათრებიც კი დაუმარცხებიათ, რომელთაც ჩინგიზ-ხანისა და თემურის ხელმძღვანელობით მთელი კავკასია შეაძრწუნეს.

ბასიანები შედგებიან უმთავრესად სამი ტომისაგან — ჩეგემის, ბალყარისა და ყარაჩაისგან. ამ უკანასკნელთ ზოგიერთები სრულიადაც არა ბასიანებს, არამედ თათრებს მიაკუთვნებენ.

იყო ცდები ჩეგემებისაგან — ცეხები[16], აქედან კი ბოჰემიელი და მორავიელი თანამოძმეები გამოეყვანათ,

---

[16] თუ ჩეგემები ნამდვილად ცეხები არიან, როგორც ეს გიულდენშტედტს მიაჩნია, რომელიც აგრეთვე სახელწოდება ყარაჩაის (ქართულად — ყარაჯიქი ანუ შავი ნიშანი) განმარტავს, მაშინ ისინი სწორედ ის ზიხები ყოფილან, ბიზანტიელთა გადმოცემის მიხედვით, ჩინგიზ-ხანის თათრებმა რომ დაიმონეს და ბოლოს მათში რომ გაითქვიფნენ. ამგვარად გამოდის, რომ ყაბარდოელებს საკუთარი თანამემამულეები გაუძევებიათ.

თუმცა თათრულ ენას არაფერი აქვს საერთო სლავურთან. უფრო ბუნებრივი იქნებოდა ბოჰემიელი და მორავიელი ცეხები ყუბანელებიდან ე.ი. ჩერქეზებიდან გვეწარმოებინა. ყველაზე ჭკვიანური კი იქნება, თუკი ხელს ავიღებთ ორივე მოსაზრებაზე, ვიდრე ისტორია მეტ შუქს არ მოჰფენს საკითხს.

ბასიანებს, ისევე როგორც კავკასიის სხვა მკვიდრთ, შემორჩენიათ ქრისტიანობის მანიშნებელი კვალი — ძველი ეკლესიები, დღეობები, კვირის დღესასწაული და ღორის ხორცის ჭამა. ხოლო ჩეგემებთან კი შეხვდებით წმინდა წყაროებს, რომელთა მახლობლად ვერავინ გაბედავს შეშის მოჭრას. ამას გარდა, აღწერენ ერთ ძველ ეკლესიას, რომელიც თურმე ჯერ კიდევ მტკიცედ დგას მაღალი კლდის თავზე. მისკენ მიმავალი დაკლაკნილი გზა კლდეშია ამოკვეთილი და ორთავე მხარეს რკინის მოაჯირები აქვს. კავკასიის ხალხთათვის უჩვეულო, რასაც ამ შემთხვევაში ვხვდებით, ისაა, რომ ამ ეკლესიაში ინახება წმინდა ხელნაწერები: სახარება ძველ ბერძნულ ენაზე და ბერძნული საეკლესიო წიგნები.

ბასიანებს, კერძოდ, მის ორ ტომს — ჩეგემებსა და ბალყარებს, რომლებიც ნაწილობრივ ცალ-ცალკე (იზოლირებულად), ნაწილობრივ კი სოფლებად ცხოვრობენ (დაახლოებით 1600 კომლს), საკმაოდ დიდი მესაქონლეობა აქვთ. ზამთრობით, გარკვეული ღალის საზღაურად, მათ თავიანთი ცხვრები და თხები პატიმრებივით გადაჰყავ-გადმოჰყავთ განსაზღვრულ ფარგლებში ყაბარდოელთა ნაყოფიერ ველებზე. სახელი აქვს გავარდნილი ბასიანთა ჯორებსაც, რომელთაც ისინი ცხენის ნაცვლად იყენებენ. მათი სახელია "კადრა". მიწაა მათი სიმდიდრე და ისინიც ბეჯითად ამუშავებენ მას : თესავენ ფეტვს, ქერს კი სასმელების დასამზადებლად და ჯორების საკვებად

ხმარობენ. ამას გარდა, მათ აქვთ თაფლიც, ზოგჯერ დამათრობელი ხარისხისა. კარაგაშინ-თაუდან, ე.ი. ტყვიის მთიდან, ბასიანები მოიპოვებენ ტყვიის მადანს, ამზადებენ გვარჯილას და ყიდიან დენთს.

ჩეგემები და ბალყარები ეწევიან ვაჭრობას; უხეში მაუდის, თექის, სერთუკების (ახალუხის), მელიის ან კვერნის ბეწვის, ტყვიის, გოგირდისა და დენთის სანაცვლოდ ისინი იღებენ ყველაფერს, რაც მათ მოთხოვნილებას და კომფორტს ემსახურება. კერძოდ, ბალყარები იმერეთის საზღვრიდან — უხეში ბამბის ქსოვილებს და ქვამარილს, რომელსაც ისინი არცთუ იშვიათად კვლავ სვანებს უთმობენ; ჩეგემები — ყაბარდოდან უპირატესად ტილოს, ტარსიკონს, ბამბეულის ქსოვილს, და კავკასიაში პირველადი მოხმარების საგნებს შორის ყველაზე აუცილებელს — მარილს.

ყარაჩაები თითქმის მთლიანად თათრები არიან. თავიანთი მარტივი ადათების შესაბამისად ისინი უხუცესს ემორჩილებიან, რომელსაც ყოველწლიურად თითო ცხვარს უძღვნიან ხოლმე. ისინი ცხოვრობენ კავკასიონის უმაღლესი მწვერვალის – იალბუზის ჩრდილოეთი კალთის ძირას, ბალახეულით მდიდარ ველზე, გაფანტულად, დაახლოებით 200 კომლის რაოდენობით, მისდევენ მესაქონლეობას და ჩერქეზი თავადების მოხარკენი არიან. ქებულია მათი პატარა ტანის, მკვირცხლი, ღონიერი ცხენის ჯიში, რომელიც შესანიშნავი გამოსაყენებელია მთის ვიწრო და ძნელად სავალ გზებზე.

## IX. ოსები

ოსები ძველი კავკასიელები არიან, რომლებიც თოვლიან მაღალ მთებში ცხოვრობენ, ბასიანთა (ბალყართა) მეზობლად, და თავიანთი ღია წაბლისფერი თმებით, მოწითალო წვერით და მთელი ჩაცმულობით ჩრდილოეთ რუსეთის გლეხებს ჰგვანან.

ქართველები მათ ოსებს ეძახიან, ჩერქეზები და თათრები – კუშაებს, ე.ი. ძვლებს, თვითონ კი თავს ირონებს უწოდებენ; ლაპარაკობენ ენაზე, რომელსაც მსგავსება უნდა ჰქონდეს გერმანულთან, სლავურთან, განსაკუთრებით კი – სპარსულთან, და ზოგიერთი ენათმეცნიერის გამოკვლევის მიხედვით, ჩამომავლები ან ნათესავები არიან უზების თუ ყივჩაყების. ეს უკანასკნელნი მეცხრე საუკუნეში მტრული ხაზარების ხარჯზე გავრცელდნენ ტერიტორიაზე ქალაქ დერბენდსა და მდინარე ვოლგას შორის, მე-12 საუკუნეში რუსების მიერ იქნენ დამარცხებული დონთან და მე-14 საუკუნეში კი აქეთ-იქით გაიფანტნენ.

ოსეთი, რომელსაც რუსეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც აღმოსავლეთ საქართველოსთან დამაკავშირებელ ხიდს, გადაჭიმულია თერგის სათავეებიდან მტკვრის ჩრდილოეთ შენაკადებამდე და იმდენად მაღალი მდებარეობა აქვს, რომ აქ ყველა ნაკადული, აღმოსავლეთით თუ დასავლეთით, არაჩვეულებრივად ჩქარ დინებას იღებს. მაგრამ აქ გზას ამ ხალხის ხასიათიც აძნელებს. რადგან, თუმცა ოსებს სიმამაცისა და ღონის სახელი აქვთ გავარდნილი, მაგრამ აგრეთვე სიტლანქის, უვიცობის, მძარცველობის. ასე ასახავენ მათ რუსი მოგზაურები, თუმცა არასდროს უნდა დავივიწყოთ, რომ უცხოელთაგან ძალიან ცოტათ იციან, როგორ მიუდგნენ კავკა-

სიელებს,[17] და რომ თავისუფალ ხალხს თითქმის ყველა საშუალება ეპატიება, როდესაც სადავოდ უხდიან მათ ქონებას და სიმდიდრეებს.

ოსები კარგი აღნაგობის, სუფთა, გაჭირვებისა და ხიფათის ამტანი პატარა ხალხია, ძალზე მარტივი დამახასიათებელი ადათებით. კაცის ან ქალის მკერდზე შეხებით ისინი გამოხატავენ ამბორს, კეთილგანწყობას, შერიგებას; წერითი ხელოვნების ნაცვლად ისინი იყენებენ საჭდე ჯოხებს, რომლებზეც აკეთებენ ნაჭდევებს რიცხვის ან რაიმე საკითხის აღსანიშნავად; მსგავსად ჩერქეზებისა, ისინიც აბარებენ ხოლმე თავიანთ შვილებს მამობილებთან, რომლებიც ზრუნავენ მათი ბავშვების სამხედრო განათლებისათვის და ამგვარად ხშირად მთელი სოფლებისა და მთელი ოლქების აღმზრდელებად გვევლინებიან. ოსეთში გავრცელებული უნდა იყოს აგრეთვე სტუმარმასპინძლობისა და სისხლის აღების ადათიც. შინაგანი შუღლი კი ხელს უშლის ოსებს, დაიცვან თავიანთი თავისუფლება ყაბარდოელებისაგან[18].

20-დან 100-მდე კომლი, რომლებიც თავადების ან არჩევითი უხუცესების ხელქვეითნია და უსუსურ აზნაურებს შეიცავენ, ჩვეულებრივ, სოფლად ცხოვრობს. 5-დან 10-მდე ასეთი სოფელი კი ერთ ოლქად ითვლება; მიუხედავად ამისა, მათი ცხოვრება მაინც მოხეტიალედ ჩაითვლება, რადგან ისინი მსუბუქი მასალისაგან ნაგებ სახლებს ხშირად უცვლიან ადგილს და სანადირო ხელსაწყო-იარაღებით ხელში მომთაბარეობენ. მოგვითხრობენ, რომ ამ განმარტოებულ თოვლიან მთებში ჭრელი, ლამაზბუმბულიანი დიდი ფრინველი ცხოვრობს, ხოხბების თუ მწყერის-

---

[17] გამონაკლისს წარმოადგენს კავკასიაში 1787 წლის მოგზაურობის დღიურების ავტორი. იხ. პალასის "N. nordischen Beiträge", Bd. VII.
[18] ყაბარდოელებმა ალანები გამოყარეს.

ნაირთა წარმომადგენელი[19]; ოსები მას «სიმს» უწოდებენ, თათრები და ჩერქეზები — «ჩუმარუკს»; მამალი — კი, რადგან მას მეხუთე თითი ანუ დეზი აქვს, იწოდება «ბეშბარმუკად». საოცარია ამ ფრინველის კავშირ-ურთიერთობა ჯიხვებთან, რომლებიც მისი მარტოობის თანაზიარნი არიან: შენიშნავს თუ არა ბოროტი მონადირის მოახლოებას, იგი ხმამაღლა უსტვენს. ამგვარად, ამ ფრინველის ინსტინქტი ერთსა და იმავე დროს გაფრთხილებაცაა და გამცემლობაც.

ოსებთან შეხვდებით ყოფილი ველურობის ნაშთებსაც; ესენია უმეტესად 10 საჟენი სიმაღლის მღვიმური გამოქვაბულები, რომლებიც მიუვალ კლდეებში, თვალუწვდენელ მთებში მდებარეობენ და მხოლოდ ვიწრო, პატარა კიბით შეინიშნება; ამჟამად ისინი მიტოვებულია, მაგრამ ძველი ნასახლარის კვალი ჯერ კიდევ მოჩანს.

ოსეთის აღმოსავლეთ საზღვართან მდებარეობს კავკასიის ჭიშკარი და სასაზღვრო ციხესიმაგრე დარიალი (დარი ალან – ალანების კარი), რომელიც მცირე რაზმით, გარკვეული გამაგრების შემდეგ აუღებელი და დაუძლეველი მთის ვიწრობი იქნებოდა. ამ ციხესიმაგრეს თავის მაღალ, ფრიალო კლდეზე, მხოლოდ დასავლეთიდან თუ მიუდგება კაცი, ველის მხრივ, რომელიც მის მახლობლად ციცაბო მთებს შორის მდებარეობს და ქარაფებითაა შემოჯარული. ამ ადგილებში მიედინება კეზილი ანუ ოქროს მდინარე, რომლის სახელწოდებაც ამ ქვეყნის წიაღში დაფარულ მინერალებზე მიგვანიშნებს; აქვეა კოშკიც, რომელიც ოდესღაც ევროპელ ხანს რეგენტი ქალის ღალატით ჩაუგდია ხელში, და რომლის მახლობლად ფრანკებს, ოსური გადმოცემის მიხედვით, მდიდარი მაღაროები გაუმართავთ.

---

[19] აქ ლაპარაკია კავკასიურ შურთხზე.

ოსების ყველაზე უფრო საყურადღებო ტომებია დუგორები (დიგორები), ჩერკესეტები და დომფარები[20].

დიგორებში, რომლებიც ქვეყნის ჩრდილოეთში ცხოვრობენ, გავრცელებულია მსხვერპლშეწირვის ადათი. რაიმე საქონელს დაკლავენ ხოლმე, ძვლებს — ტაძარს ან საკურთხეველს აძლევენ, თვითონ კი ხორცს მიირთმევენ. დიგორები დამოკიდებულ მდგომარეობაში უნდა იყვნენ ბადილების ანუ ბადილეტებისაგან[21] — მთებში მცხოვრებ მხედართა გვარისაგან: ამ უკანასკნელთ კი, რომლებიც სრულიადაც არაოსები არიან, პატარა მდინარე გამოჰყოფს ნიტიგურებისაგან, რაც ჰუნური წარმომავლობის სახელია.

დიგორებს მიაკუთვნებენ პატარა მშვიდობიან ხალხს ჩერქესეტებს. ამათ უჭირავთ ნაკურთხი ჭალა, რომელიც კომლებს შორისაა განაწილებული. ყოველწლიურად ისინი მართავენ ებრაული ტალავრის დღესასწაულის მსგავს 8-დღიან ზეიმს და მოგზაურს ან გამვლელ-გამომვლელს სტუმართმოყვრულად აიძულებენ მონაწილეობა მიიღოს მასში, ერთ-ერთი რომელიმე ოჯახი კი კისრულობს გამასპინძლებას.

დიგორებს ესაზღვრებიან მამაცი და რესპუბლიკელი დომფარები, რომლებიც დიგორების მტრები არიან. ძველი სარწმუნოების ნაშთად მათ აქვთ გამოქვაბული წმინდა ნიკოლოზისა. ეს უკანასკნელი თურმე არწივად მოევლინება გამოქვაბულს ხორცის წასაღებად, რომელიც თავიანთი ღვთისმოშიშობის ნიშნად მოაქვთ ხოლმე მორწმუნე ადამიანებს. ისეთი მტაცებელი ფრინველის ნაკლებობა კი, რომელთაც შეეძლებოდათ მოფრენა და ხორცის წაღება, აქ მართლაც რომ არაა.

---

[20] დონიფარს — დასახლებაა.
[21] ბადილათა — დასახლება ურუხის ხეობაში.

## X. ქისტები (ინგუშები)
## (ილუსტრაცია იხ. სურ. № 3)

ოსების მეზობლად ცხოვრობს ხალხი, რომელსაც ქართველები ქისტებს ეძახიან, თათრები — მიცშეგის, თვითონ კი ლამურად (სწორია — ლო ამრ), ე.ი. მთიელებად იწოდებიან. მათი სახელია აგრეთვე ინგუშები, რაც მათი ატამანის სახელიდან წარმოდგება. ეს ხალხი შედგება რამდენიმე ტომისაგან, კერძოდ — ინგუშების, ჩაჩნების, ყარაბულახებისა და თუშებისაგან[22]. ეს ტომები ზედმიწევნით ჯერაც არ არიან შესწავლილნი, მაგრამ მათთვის, საერთო დედაენისა და მეზობლობის გამო, ერთი აღნიშვნა მიუციათ; ესაა ხალხი, რომელიც სავსებით თავისებურ ენაზე ლაპარაკობს, უხსოვარი დროიდან უცვლელად შემონახულა და არ იცნობს არც დამწერლობას და არც ისტორიას; ასეთი ხალხის წარსული ბნელით იქნებოდა მოცული, ზოგიერთი დარჩენილი კვალი (კერძოდ, ყარაბულახებსა და თუშებში) ალანებსა და აღვანებზე რომ არ მიგვანიშნებდეს.

ქისტები გულადი, მუდამ იარაღში ჩამსხდარი, ღონიერი, ზორბა, ახოვანი, ყოჩაღი და მოხერხებული კავკასიელებია, რომლებიც სისხლში გამჯდარი ადათის მიხედვით, კავკასიის ყველა ხალხის მიმართ მტრულად არიან განწყობილი. მაღალი მთებით უზრუნველყოფილნი ყოველგვარი მდევრისაგან, ისინი მეზობელ ადგილებში ადამიანებსა და საქონელს იტაცებენ, თვითონ უხუცესებისა და თავადების ხელქვეით ცხოვრობენ ტლუდ და უვიცებად და თავიანთი თავისუფლება ყოველგვარ ოქრო-ვერცხლს ურჩევნიათ.

---

[22] ალბათ, წოვა-თუშებისგან.

ინგუშებში, რომლებიც ქისტთა ქვეყნის დასავლეთში, მდინარე სუნჯას სათავესთან ცხოვრობენ, განსაკუთრებით შეინიშნება კვირის დღესასწაული, მარხვა, ღმერთის იდეა, მრავალცოლიანობა, ღორის ხორცის ჭამა. მათში მოძღვრის მოვალეობას ასრულებს განდეგილი ანუ წმინდა კაცი, რომელიც ზანისტაგად იწოდება. ესაა უცოლო, ძვირუხსენებელი კაცი, რომელიც ცხოვრობს განმარტოებული ეკლესიის თუ ძველი ტაძრის მახლობლად. დიდი ყრილობის თანდასწრებით იგი ქვის სამსხვერპლოზე სწირავს რამდენიმე თეთრ ცხვარს, რომლებიც წარჩინებულ და მდიდარ ოჯახებს მოჰყავთ. ეს ძველი, მაგრამ ჯერ კიდევ ურყევი, გოთურწარწერიანი ეკლესია[23], რომელსაც ინგუშეთში შეხვედრიან, გადმოცემის თანახმად, თურმე ქრისტეს საფლავის მოდელს წააგავს. მასში ინახება ლათინურ ენაზე დაწერილი, მოოქროვილი ლურჯი და შავი ასოებით შემკული წიგნები, რომლებსაც ისინი მოწიწებით ეპყრობიან, როგორც წმინდა — სათაყვანო რასმე; ამ ეკლესიას დღესაც უნდა ჰქონდეს თავისი შემოსავალი; მას უფრთხილდებიან და იცავენ, რადგან იგი თავშესაფარია უბედურების დროს, ხოლო ავადმყოფობის დროს კეთილისმყოფელი და შემწე; მის მახლობლად ოცდაათი პატარა საცხოვრებელი დგას; ამ ეკლესიასთან დებენ ინგუშები ფიცს, მის სიახლოვეს ლოცულობენ ისინი და ვერავინ გაბედავს ამ წმინდანთან ძალზე ახლოს მისვლას.

ინგუშები მამაცი, პატიოსანი და თავისუფლებისმოყვარე ხალხია. მათ დამახასიათებელი სახის ნაკვთები და იმდენად მაგარი გამოთქმა აქვთ, რომ კაცს ეგონება პირში კენჭები უწყვიათო. ტყავგადაკრული და რკინის

[23] ტყობა-ერდი?

ზოლებით მოჭედილი ხის ფარები და მოკლე კორძიანი შუბი, რომელსაც იარაღადაც ხმარობენ და თოფის ჩამოსადებ საყრდენადაც — ასეთია აღჭურვილობა ხუთი ათასი ბრძოლისუნარიანი ინგუში მამაკაცისა. ნადირობის ან ლაშქრობის დროს მათი წინამძღოლია მმართველი უხუცესი და არა დიდებული.

ინგუშების ხელშია ძალზე შემოსავლიანი, მძლავრი მარილის წყარო, რაც მათ თითქმის იმაზე მეტს აძლევს, ვიდრე მესაქონლეობა და მიწათმოქმედება; მაგრამ ისინი, გადმოცემის თანახმად, შენატრიან ბარის მცხოვრებთა წყნარ ცხოვრებას და სურთ რუსებისაგან მიიღონ მიწები, რომლებსაც ისინი, როგორც მშვიდობიანი და ბეჯითი მიწათმოქმედნი დაამუშავებდნენ.

ინგუშებს ესაზღვრებიან ყარაბულახები[24]. ასე იწოდებიან ისინი მდინარე ყარაბულახის ე.ი. შავი წყაროს მიხედვით. ესაა მომთაბარე ხალხი, რომელსაც სათავეში უხუცესი უდგას და შეიძლება განხილული იქნას როგორც ძველი ალანების ნაშთი; ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის, რომ უძველეს ხელნაწერებში ყირიმის ქალაქი ფეოდოსია აღინიშნებოდა ალანური სიტყვით "არდაუდა" (არ დაუდა), რაც შვიდ ღმერთს ნიშნავს. ამ სიტყვას ქისტურ-ყარაბულახურ ენაზე ამჟამადაც იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

ყარაბულახთა გვერდით ცხოვრობს ჩაჩნების შვიდი სოფელი; ესაა მოუსვენარი, მტრული ხალხი, რომელიც ტყენარი, ციცაბო, დასერილი მთების საფარქვეშ დაუსჯელად აშფოთებს რუსულ (მესაზღვრე) ხაზს. ცრუ წინასწარმეტყველს — შეიხ მანსურს, რომელიც ამ

[24] ნახების თემი.

მიდამოებში აჯანყდა, ესენი უწყობდნენ გასაკუთრებით ხელს.

ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდესთან ცხოვრობს ნახევრად ქართული ტომი თუშები, ანუ მეოცნებენი. ეს სახელი მათ ალბათ ცრუმორწმუნეობის გამო შეერქვათ. ისინი აჰვანების ანუ აღვანების მსგავსად თავს ისე იკრეჭენ, რომ თმას ყურებს ზემოთ, ერთი-ორი თითის დადებაზე იტოვებენ. ღარიბი, კმაყოფილი, მაგრამ მამაცი და მეომარი პატარა ხალხია თუშები. გაზაფხულის დამლევს ისინი გაუთავებელ დავაში არიან ყაჩაღ ლეკებთან ყანების არევის გამო, ზამთარში კი, ღრმა თოვლს რომ დადებს — ღომით და დამარილებული (გამხმარი) ხორცით იკვებებიან. მათში შეიძლება შეხვდეთ ქრიტიანობის კვალსაც. მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მაინც არ ჭამენ ღორის ხორცს, ახასიათებთ მრავალცოლიანობა და თაყვანს სცემენ კატებს[25]. მომშობიარებული ქალი ორმოცი დღის განმავლობაში ოჯახს მოშორებული და უცნობ ადგილზეა. მამაკაცების სიკვდილს სამდღიანი დიდი ნადიმით აღნიშნავენ; გარდაცვლილს ადიდებენ, ლოცავენ, აქებენ მისი სპილენძის ქვაბის სიდიდეს. თუშებში გავრცელებული უნდა იყოს პატარა ღონიერი ჯიშის ჯორი, რომელიც ვირისა და ძროხის ნაჯვარი ყოფილა.

---

[25] პირიქით, კატა იყო წყევლა.

## XI. ლეკები (ლეზგები)

ქისტების მეზობლად იწყება ლეკების მთიანი ქვეყანა. ლეკებს თავიანთი სხვადასხვა, ნაწილობრივ ჯერ კიდევ აღმოუჩენელი ტომებით, თათრებთან ერთად, რომლებიც მათ მეზობლად და მათ შორისაც ცხოვრობენ, მთელი აღმოსავლეთ კავკასია უკავიათ. ესაა საშინელი ბარბაროსი ხალხი, რომელიც დაუძლეველია თავის უდაბურ და ციცაბო მთებში. მეზობელ მიდამოებში ლეკი ადამიანებს და საქონელს იტაცებს, ნადავლს მკვირცხლი ცხენებით მიაქროლებს და ზურგს უკან წინასწარ გადახერხილ ხიდებს ყრის. ასეთი ხიდები, ჩვეულებრივ, ღრმა ხრამებზეა გადადებული. შაჰ-ნადირმაც კი, როდესაც მე-18 საუკუნის შუა წლებში მთელი კავკასია დალაშქრა, ვერ შეძლო მათი დამონება. ტყუილად კი არ ამბობს სპარსული ანდაზა: "მეფეს თავში უნდა აკლდეს, როს ლეკებზე გაილაშქრებს". ლეკები თათრების მსგავსად მსუბუქად იცვამენ. უხეში მაუდის სერთუკები, ფართო კრაველით მორთული ქუდები, მოპარსული თავი, მოკლე წვერი — ასეთია ლეკის გარეგნობა. წარმოუდგენლად შეჩვეულნი შიმშილსა და წყურვილს, მათ თავიანთი თარეშების დროს თან მხოლოდ მცირე საგზალი მიაქვთ გუდით, ან თხის ტყავში შეხვეული. ცხოვრების ხასიათი და მთის ჰაერის სიკეთე წარმოუდგენლად ამაღლებს მათ ასაკს. სიკვდილის დროს მოხუცი ლეკი, თუ კი იგი ბრძოლის ქარცეცხლში არ კვდება, მოიხმობს თავის ნათესავს და მემკვიდრეს და მას შემდეგ, რაც მას მიასწავლის, თუ სად აწყვია მისი ოქრო-ვერცხლი და პატიოსანი თვლები, დამშვიდებით განუტევებს სულს. ყაჩაღობა და საკუთარი წიაღისეული სიმდიდრეებია მათი შეძლებულობის წყარო; ვაჭრობა და ხელოსნობა იშვიათია, მხოლოდ შირვანის მიდამოებში

წარმოებს გაცვლა-გამოცვლა, კერძოდ, საქონელი იცვლება ხორბალზე. დაღესტანში კი ლეკებს მთებიდან ჩამოჰყავთ ფარები და საიჯარო ქირის საზღაურად საძოვრებზე აბალახებენ.

ლეკის ქალები ლამაზებია და გამოირჩევიან გმირობით და შემართებით. ისინი არიან სწორედ, თავიანთ ბავშვებს ვაჟკაცებად რომ ზრდიან და ქმრებს ამხნევებენ, როდესაც ისინი მეგობართან ორთაბრძოლაში ან მტერთან საომრად მიდიან. ლეკებში ვერ შეხვდებით ვერც ერთ ჩირქის მომცხებ მანკს. ყველაზე უბრალო სასჯელი ქურდობისათვის ან ყაჩაღობისათვის თემიდან გაძევებაა. ისინი პატივს სცემენ აგრეთვე უხუცესებს; მაჰმადიანურ ოლქებში კი მომრიგებელი მოსამართლის მოვალეობას სასულიერო პირები ასრულებენ და აგვარებენ სადავო საკითხებს.

გარდა მაჰმადიანური რელიგიისა, ხვდებიან ქრისტიანობის კვალსაც. ყველაზე გაუთლელი ლეკები კი, როგორც მოგვითხრობენ, აღმერთებენ მზეს და მთვარეს, ხეებს და ნაკადულებს. ლეკების ენა თავისებურია და მხოლოდ ფინურს თუ წააგავს. წერილობით გადმოცემებსა და მიმოწერაში კი ისინი უნდა იყენებდნენ ძველ არაბულ ენასაც. კავკასიაში არაბთა ბატონობისდროინდელია კანონთა წიგნი ანუ ყურანი, რასაც მათ შორის ნახულობენ[26]. მას ლეკები უდიდესი პატივისცემით ეპყრობიან.

დიდია განსხვავება ლეკურ დიალექტებს შორის; ასე რომ, ლეკები, არცთუ უსაფუძვლოდ, შეიძლება მიჩნეულ იქნან ბევრ, ძალზე განსხვავებულ ხალხთა შერწყმა-

---

[26] ლეკებთან ნაპოვნია აგრეთვე დერბენდის ისტორია, ანუ დერბენდნამე, თათრულ-თურქული წიგნი, რომლის ასლიც რაინეგსმა გადაიღო და გეტინგენის ბიბლიოთეკას აჩუქა. თვით ნაწყვეტებშიც, რომლებსაც რაინეგსისეული კავკასიის აღწერა შეიცავს, ბევრია ისეთი რამ, რაც შუქს ჰფენს ხალხთა ისტორიას.

გაერთიანებად, ხალხებისა, რომლებიც ისტორიაში თავიანთი ხვედრის, თავგადასავლის, შერევის მიხედვით ცოტად თუ ბევრად ცნობილნი არიან. ამ უკანასკნელ დროს ლეკების და დაღესტნის ყველა ამ ტომებმა რვა დიალექტამდე დაგვიყვანა, თუმცა ზოგიერთი ტომი ჯერ კიდევ რამდენადმე იდუმალებითაა მოცული.

პირველ ლეკურ დიალექტზე ლაპარაკობენ ავარიელები (ხუნძები) თავიანთ 14 მონათესავე ტომთან ერთად ლეკეთის ჩრდილოეთ მიდამოებში. ოლქი ავარ (აორ), ნაშთი აორზებისა, მუდმივი ადგილსამყოფელი ავარიელებისა, იწოდებოდა აგრეთვე "ხუნზაი", ე.ი. ხუნძების ქვეყანა. დაახლოებით 1500-მდე წყნარი მაჰმადიანური კომლი ცხოვრობს აქ, ხანის ხელქვეით. ეს ხანი კავკასიის ერთ-ერთ უძლიერეს მთავრად ითვლება. მის სახლს სხვებისაგან განსხვავებით ფანჯრები და მინები აქვს. ავარიელთა ხალხს ეკუთვნიან აღმ. საქართველოს საზღვართან მცხოვრები ჭარები — სხვადასხვა ხალხთა ნაკრები. ესაა ყაჩაღური ტომი დამახასიათებელი ქართული ადათებით. აქ გადის მთავარი გზა ყაჩაღი ლეკებისა საქართველოსკენ. ამ ადგილებში ნახულობენ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გადაჭიმული კავკასიის კედლის ნაშთს. 20 საჟენი სიმაღლის და 150 ვერსის სიგრძის ეს კედელი ქართულ მდინარე ალაზნის ნაპირებამდეა გადაჭიმული და იდენტური უნდა იყოს იმისა, რაც დერბენდთან კასპიის ზღვის სანაპიროზე ჯერ კიდევ დგას ნანგრევების სახით. ძველი, მაგრამ არასარწმუნო თქმულების მიხედვით — ეს კედელი ვრცელდებოდა თურმე ზღვის მთელი სრუტის გასწვრივ, ე.ი. დაახლოებით 100 გეოგრაფიული მილის მანძილზე; ის კედელი კი, რომლის

შესახებაც სტრაბონი ლაპარაკობს, მდინარე მტკვრამდე უნდა ყოფილიყო გადაჭიმული[27].

მეორე დიალექტზე ლაპარაკობენ ტომები — დიდო და (ჰ)უნზო (ხუნძახი). ისინი ჭარების ოლქის ჩრდილოეთით ბინადრობენ, თავიანთ ცხვრებს კახეთში აძოვებენ და ბედნიერ უვიცობაში ცხოვრობენ. ესაა ღარიბი, მაგრამ მშვიდობიანი ხალხი, რომლებშიც რელიგიის ან ცრუ-მორწმუნეობის კვალსაც კი ვერსად შეხვედრიან. თავიანთი ცხვრების გარდა, ისინი ფლობენ აგრეთვე ტყვიას, სპილენძს, რკინას, თუთიას, გვარჯილას, დენთს, სუფრის მარილს, თექას და უხეშ მაუდს, რომლისგან ისინი ტანსაცმელს იკერავენ, მაგრამ ყოველივე ეს მათ ძლივს ჰყოფნის გაცვლითი ვაჭრობის საწარმოებლად, რასაც შეეძლო დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნილებანი. დიდოელები ცოტათი უფრო ბევრნი არიან, ვიდრე ჰუნზიბელები (ხუნძახები), ორივე ერთად კი 1000 კომლს არ აღემატება.

მესამე დიალექტზე ლაპარაკობენ კაბუჩები (კაპუ-ჭები)[28], რომლებიც აღმოსავლეთით, დიდოელთა გვერდით ცხოვრობენ და ზნე-ჩვეულებებსა და ხასიათში მათთან საერთო აქვთ.

მეოთხე დიალექტზე ლაპარაკობენ მდ. ყოისუს ერთ-ერთ განშტოებაზე მცხოვრები ანდები (ანდალალები) — ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი ხალხი –, რომელიც სახელის მიხედვით შეიძლება ანტების ნაშთი იყოს. ეს უკანასკნელნი ვენედებთან და სლავებთან ერთად ხალხთა დიდ შტოს მიეკუთვნებოდნენ და ისტორიულად გაკვეულ

---

[27] იხ. Rommel's Caucasus, გვ.30.

[28] კაპუჭები — კაპუჭის თავისუფალი მეთემეები.

ხანაში შავ ზღვასთან ბინადრობდნენ; მათგან ზოგ მწერალს პოლონელები და რუსები გამოჰყავს.

მეხუთე დიალექტზე 3 ტომი ლაპარაკობს — აკუშები, კუვეშები (კუბაჩები) და წუდახარელები —, რომლებიც კიდევ უფრო სამხრეთით, მდ. ყოისუსთან ცხოვრობენ. ამათ შორის კუვეშები (კუბაჩები) ყველაზე საყურადღებო ტომია. ბეჯითი, მოხერხებული, განათლებული, შეძლებული, ოდნავ უცნაური, მაგრამ პატიოსანი, გაუფუჭებელი, ზომიერების მოყვარული — ასეთია ეს პატარა ხალხი, რომელიც თვითონ თავს ფრანკებს (ფრენკებს) უნდა უწოდებდეს, საკუთარი გადმოცემის მიხედვით ევროპული წარმოშობისაა და სავსებით სამართლიანად შეგვეძლო იმ ვენეციელებისა და გენუელების ჩამომავლებად მიგვეჩნია, რომლებიც მე-15 საუკუნეში შავი ზღვის სანაპიროს ხშირი სტუმრები იყვნენ, – თუ კი დავუჯერებდით მათში გავრცელებულ თქმულებას, თითქოს კონსტანტინოპოლში ჩამოსულმა კუვეშმა (კუბაჩმა) თავისი ენით ვენეციელს გაუგოო. მაგრამ ამ ვარაუდის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს არა მარტო ლეზგიური ენა, არამედ უახლესი გამოკვლევების მიხედვით, მათი ნათესაური კავშირიც — აკუშებთან, წუდახარელებთან და თვით ყაზიყუმუხებთანაც კი. გამოდის, რომ ენები უფრო ადვილად იცვლებიან და ქრებიან, ვიდრე ადათები და ძვალ-რბილში გამჯდარი ცხოვრების ნირი.

კუვეშები (კუბაჩები) სუფთა, კარგად ნაგებ სახლებში ცხოვრობენ, კარგად იცვამენ, თითქმის ყველაფერი აქვთ, რაც კარგად მოწყობილ შინამეურნეობას შეეფერება; მათი საქმიანობა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა ან ნადირობა როდია, ან ყაჩაღობა და მტრობა. პირიქით, ისინი ადნობენ და ჭედენ რკინას, ოქროს და ვერცხლს, ამზადებენ აბჯარკაზმულობას (აქედან უნდა იყოს ნაწარმოები მათი

სახელი), ნაზი მაუდის ქსოვილებს, ნაბდებს, ნოხებს; ქარგავენ და სხვა სამუშაოებსაც ასრულებენ, რაშიც მათ გამოცდილი, ჭკვიანი, ყოჩაღი და, როგორც ამბობენ, განსწავლული ცოლები ეხმარებიან. მათ შორის ვერ შეხვდებით უსაქმურებს, მათხოვრებს, ზარმაცებს; ასეთებს, ჩვეულებრივ, თემიდან აძევებენ. მათ კეთილშობილებისა და პატიოსნების იმდენად დიდი სახელი აქვთ გავარდნილი, რომ ლეკთა ყაჩაღი თავადებიც კი თავიანთ საუნჯეებს შესანახად მათ აბარებენ ხოლმე. დიდად აფასებენ მათ აგრეთვე როგორც მედიატორებს. მათი საზოგადოებრივი წყობილება იდუმალებითაა მოცული და გარეშე პირებისათვის მიუწვდომელი. საქონლის მთავარი საწყობი კუვეშებს (კუბაჩებს) მათი ქვეყნის საზღვართან აქვთ. აქვე გადის სავაჭრო საქარავნო გზა, რომელიც სპარსეთს დაღესტანთან აკავშირებს. კუვეშები სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან, ღორის ხორცს არ ჭამენ, ცოლს კი მხოლოდ ერთს ირთავენ; მთელი მათი განძი — მათი შრომის შემოსავალი და კეთილდღეობის საზომი — 12 უხუცესს აბარია შესანახად. საყურადღებო და თვალში საცემია კავკასიის ამ ხალხში ქალებთან ურთიერთობის მანერაც და მამაკაცი ახალგაზრდობის ღამის თავისუფლება. ამით ისინი ძალზე ჰგვანან ამაზონებსა და გარგარეებს, რომელთაც სტრაბონი აღწერს. ქვრივები, აგრეთვე თემიდან გარიყული ქალები ღამით შეფუთნილნი სხდებიან ხოლმე რომელიმე ყმაწვილის კარის ზღურბლთან და ამგვარად ნებდებიან სრულიად უცნობ ახალგაზრდებს. ასეთი ურთიერთობის შედეგად გაჩენილ ბავშვებს კუვეშებში არ გამოარჩევენ სხვებისაგან, და ეს არც სასირცხოდაა მიჩნეული, რადგან ჯერ ერთი, თესლი აკეთილშობილებს ადათ-წესს და მეორეც — ჩვეულების ნაყოფია. აკუშებისა და წუდახარელების შესახებ შედარებით ცოტა რამაა ცნობილი;

ორივენი, კუვეშებთან (კუბაჩებთან) ერთად, უნდა ემორჩილებოდნენ ერთის მხრივ უცმეის, მეორის მხრივ — შამხალს, რომლებიც არაბთა ბატონობის დროიდან უცვლელი და უკვდავი მმართველებია დაღესტნისა, ე.ი. კასპიის ზღვისპირეთის.

მეექვსე დიალექტზე ლაპარაკობს მდ. ყოისუს ერთ-ერთ ტოტზე მცხოვრები ყაზიყუმუხების დიდი ტომი, თავზე ხელაღებული ყაჩაღები, რომლებიც თავიანთ თოვლიან მთებში დაზღვეული არიან ყოველგვარი მდევრისაგან. ესენი ლეკებია, რომელთა ნათესაური კავშირი ყუმუხებთან ჯერ კიდევ გამოკვლევას საჭიროებს.

მეშვიდე დიალექტზე უნდა ლაპარაკობდნენ ხაიდაყები (დარგიელები) და ყარახაიდაყები, რომლებიც ქალაქებს — ტარკისა და დერბენდს შორის მდებარე რაიონებში ცხოვრობენ და საკუთრივ უცმეის სახელმწიფოს შეადგენენ. ზოგიერთები მათ თათრებად მიიჩნევენ. მათი დიდებულები, ყველაზე ნაკლები, თურქულად ლაპარაკობენ. ოდესღაც ამ ადგილებში ჩინგიზ-ხანს ქალაქი აუშენებია ხაიდაყის სახელწოდებით. თოფებითა და ხმლებით შეიარაღებული ხაიდაყები (დარგიელები) და ყარახაიდაყები გამოირჩევიან როგორც კარგი მებრძოლები და მკვირცხლი ყაჩაღები. მაგრამ ხაიდაყები (დარგიელები) უფრო შეძლებულნი არიან, ვიდრე ყარახაიდაყები (ე.ი. შავი ანუ ცუდი ხაიდაყები). მათი ნაყოფიერი, ლამაზი სოფლებით გაშენებული ქვეყანა ისეთი თვალწარმტაცი ვაკე ადგილებით გამოირჩევა, რომ ზომიერ ზამთარში, როდესაც მთებში ღრმა თოვლს დადებს, აკუშებს და სხვა ლეკებს მის მდელოებზე 100000 ცხვარი ჩამოჰყავთ საძოვებლად, რისთვისაც უცმეის კუთვნილ საიჯარო ქირას უხდიან.

აქვე ცხოვრობს თვითონ უცმეიც. მოგვითხრობენ, რომ მის ვაჟიშვილს თურმე ამ ქვეყნის ყველა ქალი აწო-

ვებს ძუძუს — ალბათ ერთმანეთთან კავშირისა და ურთიერთსიყვარულის დამყარების მიზნით. ყარახაიდაყები ეწევიან მიწათმოქმედებასა და ვაჭრობას, პირველს — ველად, უკანასკნელს — მთებში.

მერვე დიალექტზე — კურ(ა)ელების ტომი ლაპარაკობს. ისინი ცხოვრობენ თაბასარანის დიდი რაიონის მახლობლად, ათიდან — თორმეტამდე სოფელში.

ლეზგიური ენის 8 დიალექტიდან ერთ-ერთზე ლაპარაკობენ არა მარტო მდ. ყოისუსპირელი მაქსილაიები, არამედ თაბასარანელებიც. ამ უკანასკნელთ საკუთარი თავადები ჰყავთ და იმ სავაჭრო არტერიის გულს წარმოადგენენ, რომელიც, როგორც ვიცით, სპარსეთიდან დაღესტნამდე და, კერძოდ, კუვეშების (კუბაჩების) ტომზე გადის.

## XII. თათრები — ყუმუხები, ტრუხმენები (თურქმენები) და ნოღაელები

### (ილუსტრაციები იხ. მე-3-4 სურათებზე)

კავკასიაში, გარდა აქა-იქ გაფანტული ანდა მთლიანად აღრეული თათრებისა (როგორებიცაა, მაგ. ბასიანები), შეხვდებით თათრების კიდევ სამ ტომს, რომლებიც სამ განსხვავებულ, თუმცა მონათესავე დიალექტზე ლაპარაკობენ; ესენია: ყუმუხი, ტრუხმენი (თურქმენი) და ნოღაელი თათრები.

### 1. ყ უ მ უ ხ ე ბ ი

ყუმუხები ცხოვრობენ კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაყოფიერ და ვაკე პროვინციაში, კასპიის ზღვის პირას. აქვე ბინადრობენ ქართველი და სომეხი ვაჭრები და თავიანთ ვაჭრობას ეწევიან. ყუმუხები, დაახლოებით 1200 კომლი, ბაის ქვეშევრდომნი არიან. ისინი ცხოვრობენ ტირიფის წნელით წნულ მსუბუქ ქოხებში და თავს ირჩენენ ხორბლით, ქერით, ფეტვით, შვრიით, უფრო მეტად კი ბრინჯით, რასაც მათ მიწათმოქმედება აძლევს; ისინი მისდევენ აგრეთვე, თუმცა შედარებით უმნიშვნელო რაოდენობით, მესაქონლეობასა და მეთევზეობას. გარდა ბამბის მოყვანისა, ყუმუხები ეწევიან მეაბრეშუმეობასაც. ყუმუხების მთავარი ქალაქია ტარკი — მმართველის ანუ, ყუმუხურად, შამხალის რეზიდენცია. ამ ადგილებში მდებარეობს ფართოდ სახელგანთქმული მარილის ტბა, რომელსაც ტურული-ს ეძახიან.

ყუმუხებთან და მათ შორის მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან ნოღაელები, რომელთა ენა დაახლოებით ისეთსავე მიმართებაშია ყუმუხურთან და ტრუხმენულთან, როგორც, მაგალითად, პორტუგალიური — ესპანურთან და

იტალიურთან. მხოლოდ ესაა, რომ კავკასიის ეს ენები ნაკლებ რბილად და ნაკლებ სასიამოვნოდ ჟღერენ.

## 2. ტ რ უ ხ მ ე ნ ე ბ ი (თურქმენები)

ტრუხმენები ანუ თარაქამები მთელ აღმოსავლეთ კავკასიაზე განევრცობიან, მაგრამ განსაკუთრებით მაინც უზარმაზარ პროვინცია შირვანში — ალანებისა და ავღანელების (აღვანების) ყოფილ სამშობლოში — გრძნობენ თავს ქვეყნის სრულ ბატონ-პატრონებად. ისინი, თითქმის უცვლელად, ლაპარაკობენ თათრული ენის თურქულ დიალექტზე. მათი ქვეყნის კასპიისპირა ლანდშაფტები მსოფლიოში ყველაზე უფრო თვალწარმტაცი ადგილებია. აქ იყო სწორედ, რომ სტრაბონის მიხედვით, მკვიდრნი წელიწადში 40-იდან 50-ჯერად მოსავალს იწევდნენ.

ახლაც კი, ჯერ კიდევ, აქა-იქ ნიადაგი ისეთი ნოყიერია, რომ მის დასამუშავებლად მცხოვრებლები 6-8 ხარკამეჩს უბავენ ხოლმე გუთანს. მაგრამ შირვანში გვხვდება აგრეთვე მხეცებისა და ნადირის ყველა სახეობაც, ხოლო ბაქოს მიდამოებში გავრცელებულია ობობა-მორიელი, რომლის მომშხამავი კბენა გამიზეზებულ სიმსივნეებს აჩენს და დროული დახმარების გარეშე, ადამიანს კლავს. განთქმულია ბაქოს თიხნარი, მარილითა და მთის ფისით გაჯერებული ნიადაგი, რომელიც ნავთის, მაზუთისა და მარილის წყაროა. ამ ნიადაგის ზედაპირზე ყოველი ნებისმიერად აღებული ადგილი აალებადია.

ტრუხმენები, ისევე როგორც თითქმის ყველა სხვა თათრები, მომთაბარედ ცხოვრობენ. ძალზე დიდი სიცხეების დროს ისინი უძველესი დროიდან, მიაშურებენ ხოლმე მთებს, სადაც გრილ მიწურებში აფარებენ თავს. იმდროინდელი წარმოშობის უნდა იყოს მღვიმეები, რომლებსაც კუბისა და დერბენდის მახლობლად ხვდებიან. იმის გამო,

რომ მათში შენიშნული იქნა ჰაერის ნაკადის მოძრაობა, ფიქრობენ, რომ ისინი ერთმანეთს სადღაც უნდა უერთდებოდნენ, და რომ ისინი ძველად განდეგილთა საცხოვრებლებს წარმოადგენდა. კუბის სამხრეთით მდებარეობს შაბრანი, რომელიც თურქ-თათრების ანუ ტრუხმენების საცხოვრებელი ადგილია. ოდესღაც იგი გაშენებულ იქნა ისრაელთა მიერ სამარიას სახელწოდებით და ახლაც ჯერ კიდევაა გარემოცული იუდეველთა ოჯახებით, რომლებიც შეძლებითა და კარგი განათლებით გამოირჩევიან.

ტრუხმენულია აგრეთვე რაიონები შამახი და ჯიქი. მათ ტრუხმენი ხანი განაგებს. მტკვრის შესართავთან მდებარე, თავისი თევზით განთქმული სალიანი კი კუბის ხანის განმგებლობაშია. კუბის ხანი უძლიერესია სხვა ხანთა შორის და ბატონობს კასპიის ზღვისპირეთზე. ამ ადგილებს ოდესღაც მკვიდრნი ვარდთა სამოთხეს ეძახდნენ.

## 3. ნოღაელები

ნოღაელებს კაცი მათი მონღოლური სახის ნაკვთებით იცნობს. თათრებთან ძველი ჰუნების ან შემდეგდროინდელი მონღოლების შერევით წარმოიშვა ეს ხალხი. ჯერ კიდევ სულ რაღაც რამდენიმე საუკუნის წინ ეს ხალხი მთელ ჩრდილოეთ კავკასიაზე იყო განფენილი. შემდეგ კი მის მიერ დამსახურებული, თუ მისთვის დაუმსახურებელი უბედურების შედეგად, იგი ისე ჩამოდნა, რომ ახლა კავკასიაში მის მოხეტიალე ცალკეულ ურდოებს თუ ნახავთ.

ნოღაელები საგულვებელი არიან ყუმუხთა შორის და ყუბანზეც. ამ უკანასკნელზეა ამ თათრების მთავარი საბინადრო.

ნოღაელები, რომელთაც ყუმუხთა შორის ვხედავთ (დაახლოებით 1000 კომლი), მომთაბარედ, კარვებში ცხოვრობენ. მათ კარგად აქვთ დაყენებული მესაქონლეობა და შედარებით ნაკლები ყაჩაღობით ხასიათდებიან, ვიდრე მათი ყუბანზე მცხოვრები ურდოები.

ყუბანისპირა ნოღაელები, ანუ ყუბანელი თათრები, ასეთსავე ცხოვრებას ეწევიან. ესენი არიან უბედური მსხვერპლნი უცხო ძალისა, რომელიც მათ ერთი სტეპიდან მეორეში ერეკება. მათ ახლაც კი, ჯერ კიდევ, არა აქვთ გარკვეული, უსაფრთხო საბინადრო. ისინი, ვინც მთის ხალხთა ნადავლი არ გამხდარა, ცხოვრობენ მომთაბარედ და ურდოებად, უმეტესად მემკვიდრეობითი თავადების ხელქვეით, რუსების მეურვეობის ქვეშ. მეჯოგეობა, ქერის მოყვანა და ყაჩაღობაა მათი შემოსავლის წყარო. საშინელმა სასჯელებმა, რაც ხელის ან ფეხის მოკვეთაში გამოიხატება, ამ მოხეტიალე, უბედურ ადამიანებში შიში დათესა. ამაღელვებელია თვითმხილველთა ნაამბობი, თუ როგორ აიყვანენ ხოლმე თვისტომნი ამგვარად დასახიჩრებულს ხელში, როგორ უჩერებენ ცხელი რძით ან ცხიმით სისხლის დენას, და როგორ მიჰყავთ იგი სახლში.

# კავკასიის ისტორიისათვის[29]
# 1.
# კავკასიური პერიოდები

ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი

——— . ———

თუ გვერდს ავუვლით მითოსურ დროს, როდესაც პრომეთეს და დევკალიონის, ფრიქსეს და იასონის სახელები მოიხსენიება, აგრეთვე მთელ პრეისტორიულ ხანას, როდესაც მთელი ევროპული ადამიანის მოდგმა კავკასიაზე გავლით თავის ახლანდელი ადგილსამყოფელისაკენ მიემართებოდა, მაშინ კავკასიის ისტორიაში შეგვეძლება დაახლოებით ხუთი პერიოდის გამოყოფა:

## I. ბერძნული პერიოდი

იგი იწყება დაახლოებით მერვე საუკუნით ქრისტეს დაბადებამდე. ამ დროიდან იწყებენ სწორედ მცირეაზიელი ბერძნები, კერძოდ მილეტელები, თავიანთ კოლონიზაციას, სახლდებიან შავი ზღვის სანაპიროზე, აარსებენ დიოსკურიას და კავკასიასთან თავიანთი კავშირ-ურთიერთობით, ავრცელებენ მის ამბავს.

ესქილე (რომელთანაც, რამდენადაც ვიცი, სიტყვა "კავკასია"-ს პირველად ვხვდებით).

ფსევდო-ორფევსი

სკილაქსი

ჰეროდოტე, რომელიც საკუთარ წყაროებს ემყარება.

---

[29] ამ სტატიათაგან — ექვსი უკვე გამოქვეყნდა ცალ-ცალკე (Geograph. Ephemeriden, 1806). ისინი იბეჭდება აქ ხელახლა, მთლიანად გადამუშავებული და შემოკლებული სახით, ამასთან დაემატა №№ 6, 7 და 8.

აპოლონიოს როდოსელი.

ძალზე უმნიშვნელოა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა წვლილი კავკასიის გაცნობის საქმეში; რაც შეეხება კიდევ უფრო ადრინდელი ხანის — კიროსს, ეტყობა აქ პოვა მან თავისი ძლიერების ქარაფი ან მიჯნა.

## II. <u>რომაული პერიოდი</u>

იგი იწყება დაახლოებით მეორე საუკუნით ქრისტეს დაბადებამდე და მოიცავს რომაელთა ბრძოლებს მითრიდატეს წინააღმდეგ, რომელიც კავკასიაზე გავლით უკან იხევდა; რომაელთა შემდეგდროინდელ იბერიულ და ალბანურ ომებს, კერძოდ, კორბულონის ხელმძღვანელობით (ეს პიროვნება აღსანიშნავია იმით, რომ მან რომში გაგზავნა ამ მიდამოების რუკა), აგრეთვე მათ ომებს კავკასიაში — დიოკლეტიანეს წინამძღოლობით, რომლებშიც, ისევე როგორც თითქმის მუდამ, პართელები და არმენები მონაწილეობდნენ. მითრიდატული ომების ნადავლი, ომებისა, რომლის დროსაც პომპეუსმა კავკასია აღმოაჩინა, სწორედ რომ მისწრება იყო კაპადოკიელი სტრაბონის ცოცხალი წყაროებისათვის. იბერიულ-ალბანური ომების შემოსავალი თვალწინ ედგათ პლინიუსსა და პტოლემეს; დიოკლეტიანესდროინდელ რომაელთა ომებს, შემდგომ პერიოდში, მოიხსენიებენ ბიზანტიელები.

გარდა სტრაბონის, პლინიუსისა და პტოლემესი — ესენია: დიონისე პერიეგეტე და მისი კომენტატორი ევსტათიუსი

აპიანე

დიონ კასიუსი

პლუტარქე, პომპეიელი

ტაციტუსის ანალები

პომპონიუს მელა

შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მოგზაურობის აღწერის ავტორი

ამიანე მარცელინუსი.

## III. ბიზანტიურ — სპარსული პერიოდი

იგი იწყება დაახლოებით მე-5 საუკუნით და მოიცავს ხანგრძლივ ომებს ბიზანტიელ რომაელებსა და სპარსელებს შორის კავკასიის მიწაზე, ომებს, რომლებშიც ლაციელები, იბერიელები და ალბანელები იყვნენ ჩათრეულნი. ამ ომებმა იმდენი წვლილი შეიტანეს კავკასიის გაცნობის საქმეში, რომ მაგ. პროკოპი კავკასიის ზოგიერთ ადგილს გაცილებით უკეთ იცნობს, ვიდრე რომელიმე მწერალი მასზე ადრე ან მის შემდგომ იცნობდა.

გარდა თანადროული პროკოპისა:

აგათია

პრისკე

ზონარა და ა.შ.

კონსტანტინე პორფიროგენეტი

იხ. შტრიტერის "Memoriae Populorum ad Danubium" და ა.შ.

ამათვე მიეკუთვნებიან სტეფანე ბიზანტიონელი და იორდანე, აგრეთვე ზოგიერთი აღმოსავლელი მწერალი, რომელთაც ჰერბელო იმოწმებს.

## IV. სპარსულ — თურქული პერიოდი

იგი იწყება დაახლოებით მე-14 საუკუნით და მოიცავს მონღოლ-თათართა სწაფწარმავალ ლაშქრობებს ჩინგიზხანის და თემურის წინამძღოლობით; შემდეგ, სპარსელე-

ბის და თურქების ომებს კავკასიაში, აგრეთვე მოვლენებს, რომელთა შედეგად თითქმის მთელი კავკასია, უძლეველი მთიელების გამოკლებით, სპარსელებისა და თურქებისაგან დამოკიდებულ მდგომარეობაში მოექცნენ. სამეგრელო, იმერეთი და გურია იქცა თურქულ, ქართლი და კახეთი – სპარსულ საქართველოდ.

ამ დროიდან იწყება საუკუნე არა მარტო ისტორიული ხასიათის თხზულებებისა, რომლებიც ამ დროთა შესახებ მეტყველებენ, არა მარტო სპარსელი და თურქი გეოგრაფებისა, რომელთაც ნაწილობრივ ჰერბელო იმოწმებს, არამედ აგრეთვე ევროპელი მოგზაურობის აღმწერლებისა. ესენია:

| | |
|---|---|
| იოსაფატ ბარბარო<br>კონტარინი<br>გეორგიო (ჯორჯო) ინტერიანო | XV საუკ. |
| დელა ვალე<br>ოლეარიუსი<br>ტავერნიე<br>შარდენი<br>სტრუისი<br>დე ლუკა<br>ლამბერტი<br>ძამპი<br>ტურნეფორი | XVI და XVII საუკ. |

უადრესი პერიოდის ევროპელი მოგზაურობის აღმწერლები — (როგორიცაა) პლანი, კარპინი და რუბრუკვისი — 13 საუკუნეში (იხ. ჰაკლუიტის და ფერჩიზის კოლექციები), და მონდევილი მე-14 საუკუნიდან, მხოლოდ ზღაპრულ ნაწყვეტებს გვთავაზობენ.

## V. რუსული პერიოდი

იგი იწყება დაახლოებით მე-18 საუკუნით და მოიცავს ხანას, რომელშიც რუსები, მიუხედავად სპარსელების მუდმივი პრეტენზიებისა, რაც ქართველთა გულადი მეფის ერეკლეს მეფობამდე გრძელდებოდა და რასაც თურქები დღესაც აცხადებენ, სულ უფრო მეტ გავლენას იხვეჭდნენ კავკასიაზე, ვიდრე ბოლოს უახლოეს ხანაში გეორგია, ანუ გრუზია ოფიციალურად არ შეუერთდა რუსეთს:

ლე ბრენი
შობერი
დე ლა მოტრაიე
ლერხი
სოიმონოვი
სერბერი
პ. ჰ. ბრიუსი
ჯ. კუკი
ჰანვეი
პეისონელი
შტელინი
გმელინი
გიულდენშტედტი
რაინეგსი
ენგელმანი
პალასი
ბიბერშტაინი
} XVIII საუკ.

ბევრი ამ მოგზაურობის აღმწერელი მოგზაურობდა რუსეთის ავტორიტეტით. ამ წყაროებიდან კიდევ მოელიან ახალ ახსნა-განმარტებებს.

მსგავსი შინაარსისაა აგრეთვე: Witsen, Noorden oofl Tartarye etc. Amsterdam 1705.

გარდა ამისა, შემდეგი თხზულებანი: 1. Memoir of a map of the countries comprehended between the Black Sea and the Caspian etc. Lond., 1788; 2. Memoires historiques et géographiques sur les pays situés entre la Mer Noire et la Mer Caspienne etc. Paris, 1798.

მას დართული აქვს ორი საუცხოო რუკა: ერთი ძველი, მეორე – ახალი გეოგრაფიისათვის.

## 2.
## ებრაული სამოთხე და ებრაული წარღვნა[30]

### ა.

სისულელეა, კაცმა ებრაელთა სამოთხე და მათი წარღვნა თავდაპირველი ადამიანის სამოთხედ მიიჩნიოს და ალალბედზე დაუწყოს აზიის იმ უმშვენიერეს ადგილს ძებნა, სადაც ყველაზე შესაძლებელი იქნებოდა ეცხოვრა პირველყოფილი ადამიანის მოდგმას. ჩინელებსაც აქვთ, ან შესაძლებელია ჰქონდეთ, თავიანთი სამოთხე, და თუ კი ჰუნებშიც არსებობდა ტრადიციები, მაშინ მათაც ემახსოვრებათ მათი წინაპრების მიერ გადატანილი წყალდიდობანი. რამდენი წყვილისგან წარმოიშვა ადამიანის მოდგმა — ერთი, ორი თუ სამისაგან? ეს საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია, რადგან ერთი ისევეა შესაძლებელი, როგორც მეორე, უტყუარი კი — არც ერთი.

ებრაელთა სამოთხე უნდა მოიძებნოს გეოგრაფიულად; და თუ სავარაუდოდ მივიჩნევთ, რომ ებრაული წარღვნა სამოთხისგან არ იყო მრავალი მილით დაშორებული, მაშინ

---

[30] შეად. № 1. ქართველები.

იმაზე, თუ სად უნდა ვეძიოთ ორივე (სამოთხეც და წარღვნაც), ნათლად მიგვითითებს სახელწოდება არარატი; ასევე ღირსსაცნობია მდინარეების ევფრატის, ტიგროსის, ფასისისა და არაქსის (გიჰონ, იხ. Reland de Paradiso) სახელწოდებანი; ხოლო კასპიის ზღვის წარმოშობის ისტორია, შავი ზღვის რევოლუციები, – მიგვანიშნებენ იმ მოვლენებზე, რომლებიც აბრაამის წანაპრებს თავს გადახდათ ამ ადგილებში. ამგვარად, აბრაამი სწორედ იმ მხარიდან (ქალდეა შავი ზღვის სანაპიროზე, იხ. მიქელის სპიცილეგიუმი) წამოსულა, სადაც მის წინაპრებს ხმელეთზე — სიხარული, წყალში კი — ტანჯვა-ჭმუნვა ხვდათ წილად.

ბ.

მდინარე, რომელიც ედემზე მიედინებოდა (დაბადება, II, 10) და რომლიდანაც, სავარაუდოა, რომ ოთხი დანარჩენი მდინარეც იღებდა სათავეს, საეჭვოა, ამჟამად იპოვოს კაცმა. ებრაული სამოთხის ნაწილთან ერთად, ალბათ იგიც დაინთქა კასპიის ან შავ ზღვაში.

რადგან, შავი და კასპიის ზღვებით გარემოცულ კავკასიის ყელზე ბუნებამ უკვე უძველეს ხანაში რომ განიცადა დიდი ცვლილებები — ამჟამად ყოველგვარ ეჭვს გარეშეა.

მოსეს თქმულებამ არაფერი არ უნდა იცოდეს ამ ზღვების არსებობის შესახებ. იგი ასახელებს ფასისს (ფიშონი), რომელიც კოლხეთზე (ხარილა) მოედინება, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, რომ პონტოს ერთვის; იგი ასახელებს არაქსს (გიჰონი), ისე რომ არ ახსენებს, რომ იგი კასპიის ზღვას შეერთვის.

სავსებით შესაძლებელია, კასპიის ზღვა პონტოს ზღვასთან მიწისქვეშა კავშირში იმყოფებოდეს. ორთავე

ზღვას ერთნაირი თევზის სახეობანი და ხშირი მიწისძვრები ახასიათებს, რაც მოგზაურების მიერ იქნა შენიშნული და რაც მიწისქვეშა ქვაბულების არსებობაზე მიუთითებს. ერთი მოგზაური კი ირწმუნება, რომ საქართველოს მინდორ-ველად ცხენით მგზავრობის დროს საკმაოდ ხშირად გაურჩევია ყრუ მიწისქვეშა გუგუნი.

ბოლოს უდავოა, რომ კავკასიის ჩრდილოეთში, იქ, სადაც კუმისა და ყუბანის სტეპებია განფენილი, კასპიისა და შავი ზღვები ოდესღაც ერთმანეთს უერთდებოდნენ; პალასი, რაინეგსი და გიულდენშტედტი ერთხმად ამტკიცებენ, რომ იქ ზღვის ფსკერი უნდა ყოფილიყო. ამაში ყოველგვარ ეჭვს ფანტავს მარილის ტბათა ის სიმრავლე, რასაც ამ ადგილებში ხვდებიან.

სულაც, იქნებ მოსეს წარღვნა კასპიის და პონტოს ზღვებით, ან თუ ესენი ჯერ კიდევ არ არსებობდნენ, იმ მიმძლავრებული რევოლუციებით გამოწვეული კავკასიის წარღვნა იყო, კასპიისა და შავი ზღვები რომ წარმოშვა და კუმისა და ყუბანის სტეპებიდან საქართველო–სომხეთის საზღვრებამდე განევრცო.

რადგან, ტურნეფორის აზრით, ებრაელთა სამოთხე, როგორც ჩანს, ისეთ კალმით აუწერელი მშვენების ადგილას მდებარეობდა, როგორიცაა მიდამო კასპიის ზღვის სანაპიროზე, ანუ ვარდთა სამოთხეში, როგორც მას მკვიდრნი უწოდებდნენ.

## 3.
## კოლხები, ლაზები და მეგრელები

კოლხები, რომლებსაც ერთ დროს დარიოს ჰისტასპეს ძისათვის ყოველ 5 წელიწადში 100-100 ქალ-ვაჟი უნდა ეგზავნათ, ჰეროდოტეს წარმოშობით ეგვიპტელებად მია-

ჩნია; რადგან ისინი ფერად შავნი, თმახუჭუჭა ყოფილან, ტილოს ეგვიპტელების მსგავსად ქსოვდნენ და თავიანთ ბავშვებს წინადაცვეთას უტარებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომ ბავშვების წინადაცვეთა კასტრირებაში გადავიდა. ამასთან კოლხების მეზობელმა აბაზგებმა ისე მოუხშირეს ჯერ კიდევ იუსტინიანეს დროს ბიზანტიის საიმპერატორო კარის დასაჭურისებული ბიჭებით დასაჩუქრებას, რომ ბოლოს და ბოლოს მათ უნდა აკრძალვოდათ ეს საქმიანობა და აეკრძალათ კიდეც.

კოლხების გაქრობის შემდეგ ამ ქვეყანაში გამოჩნდნენ ლაზები. პტოლემეს და არიანეს დროს მათ კოლხეთის მხოლოდ ნაწილი უჭირავთ, ბიზანტიის იმპერიის დროს კი ძალზე მდიდარი და ძლიერი ხალხის სახელს იხვეჭენ.

მაგრამ სწორედ ამ პტოლემეს მიერ მოიხსენიება სახელი "მანრალები"; ეჭვგარეშე უნდა იყოს, რომ ღარიბ, უვიც, ცრუმორწმუნე მეგრელებს, ახლა ძველი კოლხეთის მთავარი ნაწილი და შემდეგდროინდელი ლაზიკა რომ უჭირავთ, ისევე გაუძევებიათ ლაზები, როგორც ამათ — კოლხები. ასე და ამგვარად, ქვეყანა, რომლის სიმდიდრეთა შესახებ ჯერ კიდევ მოსე ლაპარაკობდა მოიარებით (დაბ. II, 11), ფრიქსესა და იაზონს იზიდავდა და თავისი ნაოსნობის გამო შურს აღუძრავდა ბიზანტიელებსა და სპარსელებს, დღეს უბეჩავესი ხალხის ადგილსამყოფელია; და თუ მართალია, რომ ბედნიერება ხალხთან უნდა იყოს დაკავშირებული და არა ქვეყანასთან, მაშინ მართალია ისიც, რომ მეგრელებს ჯერ კიდევ არ უნახავთ იგი ბედნიერება.

## 4.
## ამაზონეები (ამორძალები) და მათი კვალი კავკასიაში

დიდი ხანი არაა, რაც ინგლისელმა მწერალმა ქალმა[31] დაამტკიცა, რომ ამაზონები კავკასიის ხალხებში გაითქვიფნენ. მაგრამ აი, გერმანელ მამაკაც რეცენზენტს არც თარიღი მიაჩნია სარწმუნოდ, რომელიც მწერალმა დაადგინა, და არც მისგან გამომდინარე დასკვნები. მაშასადამე, როგორც ჩანს, ღირს არაერთგზის ნათქვამი კიდევ გავიმეოროთ.

ამაზონები ანუ ემეჩ-ები ძველი აზიური ეროვნების მამაცი მეომარი ქალები იყვნენ და ოდითგან კავკასიის ძირას, ე. ი. დღევანდელი ტრაპიზონის მიდამოებში ცხოვრობდნენ. თავდაპირველად ეს ხალხი როგორც მამაკაცებისაგან, ასევე ქალებისგან შედგებოდა. მაგრამ ერთხელ უცხოეთში, რამოდენიმე ხნით წასული მამაკაცები უცხო მხარეში გადაგვარებისა თუ დასუსტების გამო, როდესაც დაბრუნდნენ, ქალების მიერ იქნენ დამონებულნი; 3000 წლის წინათ კი ამაზონები, ბერძნებთან მდ. თერმოდონთან და თავიანთ ქალაქ თემისკირაში დამარცხების შემდეგ ორად გაყოფილან; ბერძნების მიერ ტყვექმნილმა და პონტოსკენ გემებით წაყვანილმა ერთმა ნაწილმა, კერძოდ, გზაში დახოცა ბერძნები. ქარიშხალმა ისინი პონტოს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გამორიყა; ასე მოხვდნენ ისინი დღევანდელი ე.წ. აზოვის ზღვის სანაპიროზე, იქ თავისუფალ სკვითებს შეხვდნენ და შეუერთდნენ. ამ გაერთიანების შემდეგ მათ გადალახეს დონი და სწორედ იქ დაბინავდნენ, სადაც ამჟამად ჩერკასკი მდე-

---

[31] Mrs. Guthrie. A tour performed in the year 1795 – 1796 through the Tauriden etc.

ბარეობს, სამი დღის სავალზე დონის აღმოსავლეთით და ასეთსავე მანძილზე აზოვის ზღვის ჩრდილოეთით (იხ. ჰეროდოტე). ამ ე. წ. სარმატებისაგან დღევანდელი ჩერქეზების წარმოშობაზე მიგვითითებს კერძოდ ყაბარდოელი ჩერქეზების ადათები და მათი ურთიერთობა თავიანთ ცოლებთან.

ამაზონთა მეორე ნაწილი თერმოდონთან დარჩა, შემდეგ ამისა კავკასიას გასწია, სადაც სტრაბონის დაწვრილებითი გადმოცემით (წიგნი XI) ისეთ ცხოვრებას ეწეოდა მეზობელ გარგარეებთან, როგორსაც შეიძლება შევხვდეთ კუვეშებში[32] (კუბაჩებში), ლეკურ ხალხში (იხ. № XI).

## 5.
## ალბანელები, ალანები და ავღანელები

ამიანე მარცელინუსი გვასწავლის (XXXII:2), რომ "ალბანელი" სხვას არას ნიშნავს, თუ არა მთიელს; ასევე განმარტავს იგი "ალანებს". ამის მიზეზი ისაა, რომ ალანები — ალბანელები, ე.ი. აღმოსავლეთ კავკასიის მთიელები იყვნენ. კერძოდ, იოსები ირწმუნება ამ ადგილებიდან მათ წარმომავლობას. ბიზანტიელებში ორივე სიტყვა ეკვივალენტური მნიშვნელობისაა, ხოლო აღმოსავლეთის მწერლები [იხ. ჰერბელო (Herbelot)] ალბანეთს, ე.ი. შირვანს, დაღესტანს და ლეკეთს ასევე სხვას არას უწოდებენ, თუ არა — "ალანს".

მაგრამ არა მარტო ალანები, ევროპის ხალხთა ისტორიაში ცნობილი ეს ხალხი უნდა გამოვიყვანოთ ალბანელებისაგან, რომლებიც უკვე სტრაბონის დროისათვის 26

---

[32] და არა კაბუჩებში (კაპუჭებში), როგორც ეს ჩემს თხზულებაში "De Amazonibus" წერია (გვ.48).

ენაზე ლაპარაკობდნენ და უცხოელებში ხშირი შერევა-გათქვეფის გამო ოდითგან სხვადასხვა მთიელების შერწყმას წარმოადგენდნენ; არამედ აღვანებიც ანუ ავღანელებიც, სპარსეთის ისტორიაში ეგზომ სახელგანთქმული ხალხი, რომელიც 1800 წელია სპარსეთისა და ინდოეთის საზღვრებთან ცხოვრობს და ერთ დროს იმდენი მხნეობაც გამოიჩინა, რომ ჯერ შეერყია, შემდეგ კი დაეკავებინა სპარსეთის ტახტი.

სომხური ქრონიკები (იხ. რაინეგსი), რომლებშიც თუმცა აღვანები წერია[33] ალბანელების მაგივრად, რადგან სომხური ენა "ლ"-ს ვერ იტანს, მოგვითხრობს, რომ უცნობია თუ რა დროს, ავღანელების დიდი ნაწილი აყრილა და ინდოეთის საზღვრებამდე მიუღწევია. წარსულის მოგზაურობის აღმწერი გერბერი კი გვამცნობს (იხ. Müller's Samml. Russ. Gesch. IV), რომ ყანდაარის მიდამოებში მცხოვრები აღვანები, რომლებსაც შეცდომით ავღანელებს უწოდებენ, ბაქოსა და დერბენდს შორის მდებარე ადგილებიდან გადმოსახლებულან.

შესაძლებელია ეს ფაქტი ისე მოხდა, როგორც ამიანეს მიაჩნია, ალანებზე რომ გვიამბობს, – ჩემამდე სულ ცოტა ხნით ადრე განგამდე მიაღწიესო, – სახელდობრ, მე-3 საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე; ან, რაც უფრო სარწმუნოა, — უფრო ადრეც.

საყურადღებოა გამოთქმა — ალბანელები ანუ ალპანელები (მთიელები), რადგან სიტყვის ძირს "ლპ", რომელიც ჩვენს სიტყვაშიც "ალპი" შემონახულა, ძველ კავკასიურ სახელწოდება "კასპიუსშიც" ვხვდებით. ერატოსთე-

---

[33] შეად. მოსე ხორენელი. ასევე წერს სპარსელ მწერალთა უმრავლესობა. შეად. Wahl's Asien (ვალი, "აზია"). ხოლო სხვა აღმოსავლელნი, როგორც მაგ. ინდოელები, ლაპარაკობენ კიდევ უფრო რბილად, წარმოთქვამენ რა "აჰვანებს" (იხ. რაინეგსი).

ნეს გადმოცემით, რომელსაც სტრაბონი იმოწმებს, ასე უწოდებდნენ თურმე თავდაპირველი მკვიდრნი კავკასიას. სახელწოდება "კასპიუს", როგორც ჩანს, მხოლოდ მას შემდეგ შეცვლილა, რაც საბერძნეთზე გალაშქრებულ სპარსელებს აქ ჩაუვლიათ და უცხოელის პირით "კავკასიად" აჟღერებულა, რაც ნახევრად სპარსული და ნახევრად სკვითური სიტყვაა.

რადგან "კას-პი" სკვითურად ანუ კავკასიურად (იხ. Isidori Etymol.) თეთრ (თოვლით დაფარულ) მთას ნიშნავს. ასევე – კავკასიონიც, კავკასიაც, რადგან "კასის" ან "კას" სკვითურად — თეთრია, "კაუ ანუ კოუ" კი – მთაა სპარსულად.

## 6.
## ისრაელის 10 დაკარგული ტომის შესახებ

თუ კი აბრაამი კასპიისა და შავ ზღვებს შორის განფენილი მიდამოდან ე.ი. კავკასიიდან წამოვიდა, რაშიც ერთი წუთითაც არ შეიძლება დაეჭვება (იხ. Michaelis Geogr. sacr.), ადვილი საფიქრებელია, რომ ებრაული სამოთხის და წარღვნის ეს ადგილი ძალიან ძველ დროს ებრაელებით ანუ იბერიელებით, ე.ი. გადმოხვეწილებით ყოფილა დასახლებული; და ამიტომაც ქართველები, რომლებიც ოდესღაც იბერებად იწოდებოდნენ, ისტორიამ ერთზე მეტი საფუძვლის გამო ებრაელების ჩამომავლებად ან ნათესავებად[34] უნდა გამოაცხადოს.

---

[34] ძველი ქართული მმართველი ოჯახი ბაპარატ ანუ ბაგრატიონ, რაინეგსის მიხედვით, იყო ებრაული; სომხურ ქრონიკებს იბერიელები მიაჩნიათ იმ ებრაელთა ჩამომავლებად, რომლებიც ნაბუქოდონოსორს ამ ადგილებში გამოუგზავნია; კონსტანტინე პორფიროგენეტის მიხედ-

მაგრამ საკითხავია, სად ამოყო თავი, ან სად დარჩა ისრაელის 10 ტომი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ამ ტომების მეომრები, მღვდლები, ხელოვანები – იერობეამის წინამძღოლობით რომ გავიდნენ იუდას სახელმწიფოდან? ცნობილია, რომ ისინი ასურელების მიერ ტიგლათფილესერის, და უფრო მეტად, სალმანასარის წინამძღოლობით, მათი დედაქალაქის სამარიას აღების (ქრისტეს დაბადებამდე 721 წ.) შემდეგ, სპარსეთამდე იქნენ ოტებულნი.

აქ საჭიროა ერთმანეთში არ ავურიოთ ამის შემდეგ, ე.ი. 588 წელს ქრისტეს დაბადებამდე ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დანგრევის შემდეგ ბაბილონს წაყვანილი ტყვექმნილი ებრაელები (რომლებიც მხოლოდ სპარსეთის მეფის კიროსის დიდსულოვნებამ გაანთავისუფლა 50 წლის შემდეგ), – იმ ისრაელებში, რომელთა ბედის შესახებ სრულიად არაფერია ცნობილი.

ინგლისელი მწერალი თავის "აზიურ გამოკვლევებში", რომელსაც ეთანხმება ჯოუნზი (Jones), ავღანელებს ანუ აღვანელებს, სპარსეთისა და ინდოეთის საზღვართან მცხოვრებ კავკასიური წარმოშობის ამ ძლიერ ხალხს, ისრაელთა ნამდვილ ნაშთად აცხადებს. ამის საბუთია არა მარტო ის, რომ აღვანურ ოჯახებს ისრაული ტომების სახელები ჰქვია, ხოლო მათი ერთ-ერთი ოლქი არსარეთად ანუ ჰაზარეთად იწოდება — მსგავსად ისრაილიტების ებრაული ქვეყნის სახელწოდებისა, – არამედ ისიც, რომ ეს აღვანები ლაპარაკობენ ენაზე, რომელსაც ბევრი საერთო უნდა ჰქონდეს ქალდეურთან; ყოველწლიურად ჭამენ, როგორც სხვები დასძენენ, დამწნილებულ პურს,

---

ვით კი, მათ თავიანთ თავი მიაჩნდათ მეფე დავითის შთამომავლებად — ურიას ცოლის ხაზით.

და მათივე თქმულების მიხედვით, მეფე საულის შვილიშვილის ჩამომავლები ყოფილან.

დერბენდის ისტორია კი, რომლითაც რაინეგსმა ისარგებლა, ცხადზე ცხადს ხდის, რომ ამ მუდამ დევნილმა და უმაგალითო ექსცენტრულობისათვის (დაქსაქსულობისაკენ) დაწყევლილმა ხალხმა, სხვა ბედიც გამოსცადა, ვიდრე ფეხს შედგამდა დიდების საფეხურზე — ავიდოდა სპარსეთის ტახტზე.

დიდი ხნით ადრე ქრისტეს დაბადებამდე, დაახლოებით კიროსის მეფობის ხანაში, კავკასიაში მოვიდა ლტოლვილი ხალხი, რომელსაც იესერ ერქვა, სპარსელების მიერ კი, რომელთაგან ისინი დამარცხებულ და ოტებულ იქნენ, ტალანებად ე.ი. გადმოხვეწილებად იწოდებოდნენ. და აი, ამ იესერებმა შემოაღწიეს აღმოსავლეთ კავკასიაში, ალბანელთა ანუ მთიელთა (იხ. № 5) საბინადროში, შეებრძოლნენ მკვიდრთ, გარეკეს ისინი მთებში (სადაც დღესაც ცხოვრობენ) და განსაკუთრებით მტკიცედ შირვანში მოიკიდეს ფეხი. ლეკები, რომლებიც ქისტების გამოკლებით, ალბანელებად უნდა იქნან მიჩნეულნი, ებრაელებს დღესაც კი იესერებს უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ ეს ხალხი არსად არ შემონახულა იმაზე უფრო წმინდად და კეთილსახიერად, ვიდრე შირვანში. აქ მათ ხელახლა აღაშენეს ძველი სამარია, – ახლანდელი შაბრანი, და დღესაც ლაპარაკობენ სპარსულ დიალექტზე (იხ. რაინეგსი).

რამდენიმე საუკუნე უნდა ეცხოვრათ ამ ისრაელებს ალბანეთში და იქ შეთვისებოდნენ იქაურობას, ვიდრე ადგილობრივ მკვიდრებთან შერეულნი[35], ან თუნდაც

---

[35] ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ სომხური ქრონიკების მიხედვით (იხ. რაინეგსი), ეს ემიგრანტი ალბანელები ანუ აღვანელები სომხური ეკლესიისათვის მიუწერიათ, რასაც ისრაელების შემთხვევაში, ცხადია, არ შეიძლება ჰქონოდა ადგილი.

თავიათი ახალი სამშობლოს სახელით, ე.ი. როგორც ალბანელები ანუ აღმოსავლელთა გამოთქმით – როგორც ავღანელები, უცნობია, დევნისა თუ მოსახლეობის სიჭარბის გამო, სპარსეთისა და ინდოეთის მიდამოებისაკენ გასწევდნენ, სადაც ისინი დღესაც ბინადრობენ და სადაც ძველად ამდენი უსიამოვნება გადახდათ თავს.

ყველა იესერი რომ არ წასულა ალბანეთიდან, ჩანს გისერების მაგალითზე, მე-5 საუკუნეში, რომლებსაც მოსე ხორენელი როგორც ნაშთს ტყვექმნილი იუდეველთა ტომებისა, სხვებთან ერთად იბერიის მიდამოებში ასახელებს. ეს უდავოდ იგივე ხალხია, შემდგომში ევროპის ისტორიაში ხაზარების სახელწოდებით რომ გამოჩნდა, სპარსელთა ძველი მტრები; შუა საუკუნეებში ისინი კავკასიას მოედვნენ, ჯერ ჰუნებს ებრძოდნენ, შემდეგ მათი ჩაგვრის ქვეშ მოექცნენ, ბოლოს კი, თავიანთ ახალ ბატონებთან ერთად, მაჰმადიანმა არაბებმა დაამარცხეს, გაფანტეს და ამოჟლიტეს.

ასე და ამგვარად, ისრაელების 10 დაკარგული ტომი საგულვებელი ყოფილა არა მარტო სპარსეთის საზღვართან, ავღანელთა შორის, არამედ კავკასიაშიც, სადაც ისინი ნაწილობრივ დაიფანტა და ამოიჟლიტა, ნაწილი კი დღესაც, თუმცა შედარებით მცირე რიცხვით, უნდა ეწეოდეს მშვიდ ცხოვრებას.

## 7.
## ჰუნების ანუ ხუნების შესახებ

მოთხრობის მიხედვით, რომელიც დერბენდის ისტორიაშია შემონახული (იხ. რაინეგსი), ჰუნების მონღოლურ დუნდგოს (ასე უწოდებს მათ პტოლემე, ასევე ეძახიან მათ ქართველებიც, რადგან მათი ნამდვილი საკუთარი სახელი

სწორედ ესაა) დაახლოებით 700 წელს მაჰმადის დაბადებამდე გამოუწევია ტიბეტის ჩრდილოეთით მდებარე მიდამოებიდან და ყიფჩაკიდან (ყიშლაყიდან), რათა ჩინელებთან ხანგრძლივი ომების შემდეგ უფრო მშვიდობიანი ყიფჩაკი დაეარსებინა კავკასიის მიდამოებში. ხუნ, გუნ დღესაც ნიშნავს მონღოლურად და ყალმუხურად მამაკაცს. მაგრამ არა მარტო მონღოლებსა და ყალმუხებს შორის უნდა ვეძებოთ ეს ქამელეონები; ქამელეონებიო, რადგან ჯერ იყო და მათ ბულგარების სახელით გადმოლახეს ვოლგა, მერე როგორც მადშარებმა, მადშაიმ (მადიარებმა) — უნგრელებმა თათრებთან გაერთიანების შემდეგ დააარსეს უნგრეთი; კიდევ უფრო ადრე, მათ მიერ ლეკებისა და იესერების ანუ ხაზარების (ეს უკანასკნელნი მხოლოდ იმისათვის ეცილებოდნენ მათ კავკასიაში, რომ ბოლოს მათ დამორჩილებოდნენ და დაკავშირებოდნენ კიდეც) წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების შემდგომ ისტორიის ასპარეზზე ვხედავთ ჰუნების ხაკანს, რომელიც ჩინეთის მთავრადაც იწოდებოდა და რამდენიმე საუკუნე კავკასია ეპყრა როგორც ბატონს ყოველთა ისრაელთა ზედა. ისრაელებიო, ვამბობთ, რადგან ის ხაზარები ანუ იესერები სხვანი რომ არ არიან, თუ არა ისრაელები — გვასწავლის სწორედ აღნიშნული დერბენდის ისტორია.

მე-4 საუკუნეში ჰუნები შეუერთდნენ ალანებს და დალაშქრეს გოთები, მე-5-ში მათ თავზარი დასცეს ევროპას დიდი ხანის ატილას წინამძღოლობით, მე-6-ში მათმა მეგობრებმა და ნათესავებმა ავარიელებმა გადალახეს დუნაი, მე-7-ში გაერთიანდნენ ხაზარებთან არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მე-8-ში კი მათი ხაკანი არა მარტო დამარცხდა, არამედ მოკლეს კიდეც.

ამ დროისათვის ჰუნური ტომები, მათ შორის ალბათ ის უნგრელებიც, ილტვიან კავკასიის ჩრდილოეთით

მდებარე კუმა და მადშარ-იდან (კუმა-მანიჩი) ვოლგასა და დონს გადაღმა, რითაც დასაბამს აძლევენ აგრეთვე ბულგარებს ანუ ვალახებს (ვოლგელებს). იწყება ახალი, არაბების ბატონობა, რომელიც რამდენადმე უკეთესი იყო ჰუნებისაზე, და ჰუნების სახელიც დავიწყებას ეძლევა იმ დრომდე, ვიდრე ჩინგიზ-ხანი და თემური, მათი მემკვიდრეებიდან, არ აღმართავენ აზიაში მსგავს კოლოსალურ ნაგებობას, რომლის კვალი ახლაც შეიძლება ნახოს კაცმა კავკასიაში.

უკვე დიონისე პერიეგეტე იცნობს კავკასიის მახლობლად მცხოვრებ ჰუნებს. ბიზანტიელი მწერლები კი ამ ჰუნებს ათასგვარი სახელით ნათლავენ და ხან აქ, ხან იქ, თუმცა იმავე მიდამოებში, ასახელებენ. მიუხედავად ამისა, მაინც შეიმჩნევა ის უდავო ლოგიკური კავშირი, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, ბიზანტიელი მწერლებისა და მეორე მხრივ, ჩინელ მემატიანეთა გამონათქვამებს შორის, რომელთაც დე გინესი (Des Guignes) იმოწმებს. მართლაც, ჰუნების წარმოშობა ძველი რითინუსის მიდამოებიდან, რომელიც ჩინეთისა და ტიბეტის ჩრდილოეთით მდებარეობს, მათი ომები ჩინელებთან, მათი გარეკვა ჩინელების მიერ და მათი შემდეგდროინდელი საცხოვრებლები კავკასიაში, სადაც მათ ლეზგების სახით ხანგრძლივი დროისათვის მეზობლები შეიძინეს (იხ. რაინეგსი), მათი ღონისძიებანი კავკასიაში და კავკასიის გარეთ, – რის შესახებაც ბიზანტიელები მოგვითხრობენ, – ყოველივე ამაში წინაალმდეგობრიობის ნატამალიც არაა.

მხოლოდ ესაა კიდევ საკითხავი: რა კავშირი აქვს ამას ავარიელებსა და აორზებთან, რომელთაც ძალზე ბევრი რამ აქვთ ჰუნური.

ძალზე შესაძლებელია, რომ სტრაბონის აორზები, ჩრდილო კავკასიის მოხეტიალე ვაჭარი ხალხი, სწორედ იმ

მონღოლთა დუნდგოს მიეკუთვნება, 700 წელს მაჰმადის დაბადებამდე რომ გამოსწია კავკასიისაკენ, და, დერბენდის ისტორიის მიხედვითაც, მოსახლეობის სიჭარბის გამო რამდენიმე ურდო ასტრახანამდეც გაუგზავნია; ბატონმა პროფ. მანერტმა მისთვის ჩვეული გონებამახვილობით უკვე ნათელყო აორზებისა და ჰუნების იდენტურობა. ამასთან, ლეკეთში დღესაც ცხოვრობს ხალხმრავალი ტომი, რომელიც თავისი საკუთარი გადმოცემით აორზების შთამომავალია; მის მთავარ ოლქს "ავარ" ანუ "აორ" ჰქვია. ესაა მთავარი სამკვიდრო იმ ავარიელებისა, რომლებმაც მე-7 საუკუნეში ევროპაში გასწიეს, მე-9-ში კი ოტებული იქნენ; და როგორც ჩანს, ჰუნებთან ნათესაურ კავშირში უნდა იყვნენ, რადგან იგი (მთავარი ოლქი) ხუნზაიდ ანუ ხუნძეთად იწოდება ქართულ ენაზე[36], ე.ი. ჰუნების სამეფოდ.

აღსანიშნავია, რომ აორზები თავს ასევე მამაკაცებს ან ადამიანებს უწოდებენ თავიანთ ენაზე; რადგან, ძველსკვითურად სიტყვა "აიორ" ანუ "აორ" რომ მამაკაცს ნიშნავს — გვასწავლის ჰეროდოტე, როდესაც ამაზონების შესახებ ჰყვება — ისინი სკვითების მიერ აიორპატად, ე.ი. მამაკაცების მკვლელებად იწოდებოდნენო.

## 8.
## ფინელების წარმოშობის შესახებ

ფინური ტომები, რომლებიც კავკასიონზე გადმოვიდნენ და ამჟამად რუსეთის აზიურ ნაწილში ცხოვრობენ, წარმოშობით სხვანი არა არიან, თუ არა დიდი მონღოლი

---

[36] შეად. ჩემი სტატია აორზების, ავარიელებისა და ჰუნების შესახებ, მოთავსებული – "Geographischen Ephemeriden", 1806.

ხალხის ჩამომავლები და ნათესავნი. ხუნების ანუ ჰუნების სახელით ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე ჩრდილოეთ ტიბეტიდან და ჩინეთიდან გამოძევებულნი, ჩინელებთან ძველი და ხანგრძლივი ბრძოლებით მოღლილნი, ისინი კავკასიისაკენ გაემართნენ, იქ რამდენიმე საუკუნე დაჰყვეს, და ბოლოს, მე-4 საუკუნეში, სხვადასხვა სახით და სახელით, დონის და ვოლგის გადალახვით, ფინეთამდე მივიდნენ.

ლეკები კავკასიაში, რომლებიც ჰუნებს შეერივნენ, რომ ფინურის მონათესავე ენაზე ლაპარაკობენ, ჯერ კიდევ გატერერმა შენიშნა; რომ იმავე მოვლენას ადგილი აქვს ფინელთა მეზობლებში — სამოედებში, – სხვებმა შენიშნეს. ამას ისღა შეიძლება დაემატოს, რომ ფინელებს, რომლებიც ამდენი ხნის განმავლობაში კავკასიელ ალბანელთა, ე.ი. მთის მკვიდრთა შორის იმყოფებოდნენ, ალბათ ატილას ძლევამოსილმა დაპყრობებმა გააწევინა ევროპისა და აზიის ჩრდილოეთისაკენ, სადაც დღესაც ბინადრობენ.

საყურადღებო უნდა იყოს, რომ ფინელთა მთავარი შტო — ვოტები ანუ ვოტიაკები ყაზანელი და ორენბურგელი თათრების მიერ "არად" იწოდებიან, — აორ, ავარების ტომის სახელწოდების მსგავსად, რომელიც ხუნთა სამეფოს (ხუნძეთის) სახელითაცაა ცნობილი. და თუ კი ფინელთა ამ უკანასკნელი წარმოშობის (ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიიდან) საკითხის გადაჭრა ვერ მოხერხდა, მაშინ, ყოველ შემთხვევაში, მათი მეორე წარმოშობა — კავკასიიდან, ნაკლებად ეჭვმისატანი უნდა იყოს.

## 9
## სამოედების წარმოშობის შესახებ

ფინელებს გარდა, სამოედებიც უნდა ყოფილიყვნენ ნათესავები და თანამზრახველები ჰუნებისა, რომლებმაც, ილტვოდნენ რა ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიიდან, რამდენიმე საუკუნე კავკასიაში შეისვენეს, და თუ კი კავკასია არ შეიძლება ხელაღებით მიჩნეულ იქნას სამოედების თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილად, მაშინ ამ უკანასკნელთა ენა და ადათები — ხალხთა ნათესაობის ეს უმთავრესი კრიტერიუმები — იმაზე მაინც მიუთითებს, რომ მათ არცთუ ცოტა ხანი დაუყვიათ კავკასიაში და კავკასიელებს შორის.

ძველი ალბანელების ანუ მთიელების მთავარ ნაწილს კავკასიაში — ლეკებს, რამდენადაც ცნობილია, აქვთ ენა, რომელიც 8 დიალექტად იყოფა. შემჩნეულია, რომ მას მსგავსება გააჩნია სამოედურთან (Ellies, Memoir of a map etc.).

მაგრამ სტრაბონიც ჰყვება ძველი ალბანელების ერთ ადათზე, რომელიც ძალზე უცნაურია, რომ შეიძლებოდეს სრულიად სხვადასხვა ხალხებისათვის საერთო ყოფილიყო; და აი, ამ ადათს კვლავ ვხვდებით სამოედებში. ძველი ალბანელები (რომელთაც ჰუნები შეერივნენ, და რომელთაგან ავარიელები და სხვა ლეკები წარმოიშვნენ) დანაშაულად თვლიდნენ წუხილს მიცვალებულისათვის ან მის ხსენებას. ამას გარდა, მთელ მოძრავ ქონებას ჩაატანდნენ მიცვალებულს საფლავში, და ერჩივნათ სიღარიბესა და გაჭირვებაში ეცხოვრათ, ვიდრე რამე მიესაკუთრებინათ გარდაცვლილი მშობლების განძიდან. ასევე იქცევიან სამოედებიც, რომელთა შესახებ პალასი ჰყვება (Reise in

verschiedene Provinzen des Russischen Reichs, Th.3, p.75. folg.), რომ მათში არავინ არ ახსენებს მიცვალებულის სახელს, მხოლოდ დიდი მიკიბვ-მოკიბვით შეიძლება ასეთზე ლაპარაკი, ხოლო ვინც გაბედავს ამას, იგი ნათესაობის აშკარა მტრად იქნება მიჩნეული; და ბოლოს, რომ სამოედები მიცვალებულს კუბოში უწყობენ ძვირფასეულობას და იარაღს, და რომ არავინ მისცემს თავს ნებას, რაიმე მიითვისოს იქედან.

ხუნებს ანუ ჰუნებს თავიანთი სახელი ნაწარმოები ჰქონდათ "გუნ" ანუ "ხუნ"-იდან, რაც ყალმუხურად და მონღოლურად დღესაც ნიშნავს — მამაკაცს. ასევე სამოედებიც, თავიანთ თავს საკუთარ ენაზე უწოდებენ მამაკაცს; ამას ნიშნავს, მოგზაურობის აღმწერელთა რწმუნებით, სახელები "რენეჩ" და "ხოზოვო", რაც სამოედებს თავისთვის შეურქმევიათ.

## 1 - 4 სურათებზე გამოსახული კავკასიის ხალხების ჩაცმულობის განმარტება[37]

### პირველი სურათი

**ფიგ. 1. ჩერქეზი დიდებულის ჩვეულებრივი ჩაცმულობა:** ვერცხლით მოსირმული ტარსიკონის წითელი წინდები, სირმებითვე გაწყობილი მაუდის შარვალი; ბამბის თეთრი ქსოვილის ქვედა სამოსი, რომელიც კანჭებამდე სწვდება; შარვლის მსგავსად მაუდის, და მუხლებამდე ჩამოშვებული ზედა სამოსი; მკერდის ორთავე მხარეს — ვერცხლით მოქარგული წითელი ტარსიკონის ოთხ-ოთხი მასრა, წელზე — მაგრად შემოჭერილი ვერცხლით მოჭედილი ქამარი. მასზე ჰკიდია ბასრი, პირიდან ძალიან მოხრილი ხმალი — ჭრელქსოვილგადაკრულ ქარქაშში. მოპარსულ თავზე ახურავს ნესვის ფორმის ვერცხლით გაწყობილი, თეთრი მაუდით გამოჩითული ქუდი. პირში გაჩრილი აქვს გრძელი თურქული ყალიონი.

**ფიგ. 2. შეიარაღებული ჩერქეზი:** აცვია შედარებით მოკლე შარვალი, მუხლები — შავი მბზინავი ფოჩებით აქვს დაფარული; მაუდის ღია ყავისფერი, მაღალყელიანი წინდები და მოკლე წინდები — წითელი ტარსიკონისა, სირმებით გაწყობილი. თეთრი ქვედა სამოსი ისეთივე, როგორც წინა ჩერქეზს; ზემოთ — ჯაჭვის პერანგი,

---

[37] რამდენიმე კავკასიელი ხალხის ტანსაცმლის საინტერესო ილუსტრაციები ეკუთვნის ნიჭიერი ლაიფციგელი ხელოვნის, ბატონ გაისლერის ხელს. ხუთი წლის მანძილზე ცხოვრობდა იგი სამხრეთ რუსეთში, სახელმწიფო მრჩეველ პალასთან როგორც მხატვარი და ამის გამო ბევრჯერ ჰქონდა შესაძლებლობა ამ დიდ ბუნების მკვლევართან ერთად, მოევლო კავკასიის ქვეყნები. ყველა სურათი ჩახატულია მის მიერ ნატურიდან, ადგილზე, და ამის გამო ისინი თანდართულ ახსნა-განმარტებებთან ერთად ორმაგ ღირებულებას სძენენ ზემოაღნიშნულ თხზულებას. დ.რ.

რომელიც ულამაზესი პრიალა ფოლადის რგოლებისაგან შედგება და ბარძაყებს სანახევროდ სწვდება; მას ზემოთ – მთლად მოკლე, თეთრი ფერის პერანგი; მკლავების შემოსილობა ასევე ფოლადის ბადისაა, მაგრამ ფოლადისავე საკინძებით იკვრება; ხელნავები კი, რომლებიც იდაყვებს იქით სწვდება, კრიალა ფოლადისაა. ამ ადგილას მთელი მკლავის დამფარავი ფოლადის ბადე გადაკეცილია და მოჩანს ვერცხლით მოქარგული წითელი ტარსიკონის სარჩული. ქამარზე, მარჯვნივ ჰკიდია ვერცხლით გაწყობილი წითელი ტარსიკონის კაპარჭი, მარცხნივ კი, მოკლე ხმალ-ხანჯალთან ერთად, მშვილდი — ტარსიკონისვე ბუდეში; თავზე ახურავს პატარა, მრგვალი ამოჩითული ქუდი, მას ზემოთ კი – ჩაჩქანი, რომელსაც ფრთების ჯიღის ნაცვლად ვერცხლით მოქარგული ტარსიკონის ნაკუწები ამშვენებს; მარჯვენა ხელში უპყრია კანჩუჰ ანუ მათრახი, რომელსაც დეზების მაგივრად მოიხმარს.

**ფიგ. 3. ჩერქეზი თავადის ასული:** წინდები — წითელი ტარსიკონისა, მასზე, გაჭუჭყიანებისაგან რომ დაიცვას, ხის ქოშები ჩაუცვამს; ვერცხლის საკინძებით შესაკრავი აბრეშუმის ქვედა სამოსი, მას ზემოთ — ასევე წინშესაკრავი, უსახელო, აბრეშუმის ზედა სამოსი (რომელსაც იგი ზაფხულობით ზურგზე გადაიკიდებს ხოლმე). საფეთქლის თმები ყურის ბიბილოებთან სწორადაა შეჭრილი; გრძელი, ბოლოზე ბაფთიანი ნაწნავი ბამბის თეთრი ქსოვილით აქვს შემოკრული. თავზე — ყაითნებიანი, ჩერქეზული ქუდი ახურავს.

## მეორე სურათი

**ფიგ. 1. ცხენზე ამხედრებული ჩერქეზი თავადი სრული აღჭურვილობით** მხოლოდ იმით განსხვავდება წინა

სურათზე წარმოდგენილთაგან, რომ იგი წარმოსახულია მოკლე ზედა პერანგის გარეშე.

**ფიგ. 2. რიგითი ჩერქეზი.** ესეც მცირედ განსხვავდება ჩაცმულობით წინა ფურცელზე წარმოსახული ჩერქეზი დიდებულისაგან; მას აქვს ჭრელი ქსოვილის გულისპირი, უხეში მაუდის ყელიანი წინდები, შავი ფერის ტყავის წინდები, თეთრი შარვალი — უხეში მაუდისა, მასრებიანი ჩოხა. ქამარზე ჰკიდია ხმალი და კვესი; ავდრისაგან მას იცავს ბანჯგვლიანი თექის საწვიმარი ნაბადი (ბურკად წოდებული). სოფელში ისე არ გავა, რომ ყველაზე ნაკლები, რკინის დიდი ბუნიკიანი ჯოხით ან ბოძალით, თავის ხმალთან ერთად, მაინც არ იყოს შეიარაღებული.

## მესამე სურათი

**ფიგ. 1. ინგუში.** თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის შედარებით პატარა ტანს, ცოტათი განსხვავდება რიგითი ჩერქეზისაგან. თეთრ გრძელ შარვალს მასზე ვერ ვხედავთ, სამაგიეროდ მას აცვია უფრო მოკლე, მაგრამ ზოლებიანი. მის შეიარაღებას შეადგენს რკინით მოჭედილი ხის ფარი, და შუბი, რომელსაც როკებიანი ტარი აქვს. თოფის სროლის დროს ინგუში მიწაში ასობს შუბს, თოფს კი მის როკებზე ჩამოსდებს, რომ უფრო დაიმედებული იყოს თავის ნასროლში.

**ფიგ. 2 და 3. ტრუხმენი (თურქმენი) თათრები.** ამ ხალხში ვერ შევნიშნე რაიმე განსაზღვრული ტანისამოსი. მათ უყვართ მორთვა-მოკაზმვა და ხან უფრო თათრულად, ხან უფრო ჩერქეზულად, ხშირად კი ამ ორივე ხალხის ჩაცმულობის მიხედვით ეწყობიან. ორივე აქ წარმოსახული ფიგურა ნატურიდანაა ჩახატული.

**ფიგ. 2.** ჩექმები — ყვითელი ტარსიკონისა, ზედა სამოსი — ვერცხლის ფარჩისა; მშვილდ-ისარი, ვერცხლით მოვარაყებული ვადიანი ხმალი, ჩერქეზული ქუდი.

**ფიგ. 3.** ტარსიკონის ჩექმები, აბრეშუმის შარვალი, მაუდის ზედა სამოსი, კრაველშემოვლებული ქუდი.

## მეოთხე სურათი

**ფიგ. 1. ნოღაელი დიდებული.** ტარსიკონის ჩექმები, ლურჯი ფერის მაუდის შარვალი, ქვედა სამოსი — ნახევ-რად აბრეშუმის ქსოვილისა; მელის ბეწვშემოვლებული ქუდი, გრძელი თურქული ყალიონი.

**ფიგ. 2. ნოღაელი ქალი.** ტარსიკონის ფეხსაცმელები, ვერცხლის საკინძებიანი თურქული აბრეშუმის ქვედა სამოსი; ვერცხლის, ქვებით მოჭედილი ქამრის ბალთა; ვერცხლის და მოოქროვილი ღილებით და ციყვის ბეწვით გაწყობილი აბრეშუმის ზედა სამოსი; თავზე – თეთრი ლეჩაქი.

**ფიგ. 3. ნოღაელი ქალიშვილი.** ტარსიკონის საშინაო ფეხსაცმელი და ხის ქოშები; გრძელი პერანგი, ქვედა სამოსი; ზემოდან — მოკლე წითელ- და ყვითელზოლე-ბიანი, ოქრომკედით ნაქსოვი, ვერცხლის საკინძებიანი აბრეშუმის მოკლე კაბა; ქვებით მოოჭვილი ვერცხლის ქამრის ბალთა. ოქროს ფარჩის — ქვებითა და მინის ბურთულებით შემკული საყელო; ზედა სამოსი თურქული აბრეშუმისა — ციყვის ბეწვით გაწყობილი. ჩერქეზული ქუდი, ტილოთი შემოკრული ნაწნავი, რომლის ბოლოზე ქვებითა და ძოწით მორთული ძეწკვია დამაგრებული და ტილოს ამოქარგული ბოლოები ჰკიდია.

*გაისლერი.*

*სურ. 1.*

1. ჩერქეზი დიდებული ჩვეულებრივი ჩაცმულობით;
2. შეიარაღებული ჩერქეზი;
3. ჩერქეზი თავადის ასული.

სურ. 2.

1. ცხენზე ამხედრებული ჩერქეზი თავადი სრული აღჭურვილობით;
2. რიგითი ჩერქეზი.

სურ. 3.

1. ინგუში;
2 და 3. ტრუხმენი (თურქმენი) თათრები.

სურ. 4.

1. ნოღაელი დიდებული;
2. ნოღაელი ქალი;
3. ნოღაელი ქალიშვილი.